

ურთიერთმიმართება სახელმწიფო მშენებლობასა და პოლიტიკურ
მონაწილეობას შორის საქართველოში

ნინო პოკლება

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინარული სადოქტორო
პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გია ნოდია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020 წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო პოკლება

2020 წ.

აბსტრაქტი

მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში მდგრადი, ქმედითუნარიანი და ანგარიშვალდებული დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის დამყარება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ისმის კითხვა, რა არის ამ წარუმატებლობის მიზეზი, რა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში თვისობრივი პროგრესი მოხდეს. მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურების მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის ურთიერთმიმართების გამოკვლევა, ვინაიდან ვთვლით, რომ ეს ორი კომპონენტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს იმის განსაზღვრაში, თუ რა მიმართულებით განვითარდება ტრანზიციამდე მყოფი ქვეყანა: ჩამოყალიბდება ის დემოკრატია თუ ავტორიტარიზმად.

გაანალიზებულია საქართველოში ბოლო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მონაწილეობის სფეროები და ფორმები სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების ფონზე, დაზუსტებულია სამოქალაქო საზოგადოების, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არასახელმწიფოებრივი სფეროს ცნება და დასაბუთებულია, რომ თანამედროვე პირობებში სამოქალაქო საზოგადოება იძენს პოლიტიკურ ელფერს, რაც აისახება მის სტრუქტურაზე და სახელმწიფოსთან ურთიერთობის პროცესზე.

ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო მშენებლობაზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ხოლო ნაშრომის ემპირიული ნაწილი ეფუძნება როგორც წერილობით წყაროებს, ასევე ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს.

კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის კუთხით, პროგრესი თუ რეგრესი, დროის შედარებით მოკლე პერიოდში, შეიძლება იყოს შესამჩნევი, პოლიტიკური მონაწილეობის სფეროები და ფორმები, გარკვეული გამონაკლისის გარდა, ხასიათდება ნაკლები დინამიზმით. პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში არათანმიმდევრული და არასტაბილურია; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ამ ტენდენციას არის სამოქალაქო საზოგადოების საკუთარი ინტერესების გარშემო თვითორგანიზების უუნარობა და შედეგად,

შუალედური ინსტიტუტების სუსტი განვითარების დონე, რომლებთაც არ შესწევთ უნარი ეფექტურად იმოქმედონ მთავრობის საპირწონედ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური მონაწილეობა, სამოქალაქო საზოგადოება, შუალედური ინსტიტუტები, პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო.

Abstract

Despite numerous attempts, the creation of a stable, effective and accountable democratic political regime in Georgia remains to be of utmost challenge. The research poses a question: what is the reason for this failure, what should be done in order to achieve qualitative progress in the political system of the country? The proposed work aims to explore the interrelation between state building and political participation in the Georgian case because we believe that the interplay between these two components is the key to understanding vagaries of state-building and democracy development in many transitional countries.

Within the framework of the research the domains as well as methods of civic engagement and political participation have been analyzed against a backdrop of the state institutional building in the recent history of Georgia. The meaning of civil society as that of the concept of areas of public life has been specified and it has been argued that the civil society takes on the political overtones in the modern context, which is reflected both on its social structure and on how it builds relationships with state institutions.

A theoretical and methodological approach of the paper is the analysis of scholarly literature and theories on state building and civil society. And the empirical part of the work is based both on written sources and semistructured interviews.

The findings of the research demonstrate that while either progress or regress with regard to state building in Georgia can be tangible within short space of time, domains and methods of political participation with certain exceptions are characterized by less dynamism. The political participation in Georgia is unstable and inconsistent; and one of the major factors which contribute to this trend is a low capacity of the civil society to organize itself around its interests and,

therefore, a lack of sufficiently developed intermediary institutions powerful enough to effectively act as a counterweight to the government.

Key words: 'Political participation', 'civil society', 'intermediary institutions', 'political parties', 'state'.

სარჩევი

განაცხადი.....	ii
აბსტრაქტი.....	iii
Abstract	iv
შესავალი	1
თემის აქტუალობა.....	3
ნაშრომის მიზანი, საკვლევი ჰიპოთეზა, კითხვები და მეთოდოლოგია.....	4
ნაშრომის სამეცნიერო სიახლე.....	11
ნაშრომის სტრუქტურა.	11
თავი 1. ლიტერატურა	13
1.1. მოდერნიზაციის თეორიების მიმოხილვა.....	13
1.2. დელეგაციური დემოკრატია.....	21
1.3. პოლიტიკური განვითარება თუ დაკნინება.....	23
1.4. სამოქალაქო საზოგადოება	27
1.5. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციაზე....	46
1.6. სოციალური გახლეჩები და პარტიული სისტემები	52
თავი 2. საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები	61
თავი 3. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში და მოქალაქეთა მონაწილეობა: ფორმები და მეთოდები	70
3.1. მესამე სექტორი	71
3.2. მოხალისეობის ახალი სფეროები	79
3.3. პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაცია	89
3.4. საზოგადოების ღირებულებები.....	97
თავი 4. სამოქალაქო საზოგადოების გავლენა პოლიტიკურ კურსზე	109
ძირითადი დასკვნები.....	125
ბიბლიოგრაფია.....	131

შესავალი

წარმოდგენილი სადოქტორო კვლევა შეისწავლის საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმწიფო მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის ურთიერთმიმართებას და ქვეყნის პოლიტიკური განვითარების გზაზე სამოქალაქო საზოგადოების როლს და მნიშვნელობას.

მაქს ვებერის¹, სემუელ ჰანტინგტონის², ფრენსის ფუკუიამას³ და სხვა მეცნიერთა ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ძირითად ორ კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფო მშენებლობის და პოლიტიკური მონაწილეობის პროცესები. პოლიტიკური განვითარება გულისხმობს როგორც სახელმწიფო ძალაუფლების რაციონალიზაციას, ასევე საზოგადოების სოციალური ჯგუფების მზარდ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში.

სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის წარმატებულად განხორციელება ნიშნავს, რომ განვითარებულია სტაბილური და ქვედითუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტები, დამკვიდრებულია მდგრადი პოლიტიკური რეჟიმი და სახელმწიფო არის უზენაესი ძალაუფლების ერთადერთი მატარებელი. სახელმწიფოს ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, მაქს ვებერის თანახმად⁴, არის მონოპოლია ლეგიტიმური ძალის გამოყენებაზე და რადგან არსებობს რისკი იმისა, რომ შესაძლოა სახელმწიფომ ერთპიროვნულად, ბოროტად გამოიყენოს ეს მონოპოლია, უნდა მოხდეს ძალაუფლების გადანაწილება არა მხოლოდ სახელმწიფოს სამ შტოს შორის, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. პოლიტიკური მონაწილეობა წარმოადგენს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს. პოლიტიკური

¹ Weber, M., 1958, ed., *The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism*, New York: Charles Scribner's Sons; 1978, *Economy and Society*, 2 vols. Berkeley: University of California Press; Weber, M., Gerth, H. H. and Mills, C. Wright, 2012, *From Max Weber: Essays in Sociology*, Ulan Press.

² Huntington, S. P., 1993, *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century*, University of Oklahoma Press; 2006, *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press.

³ Fukuyama, F., 2004, *State-Building: Governance and the World Order in the 21st Century*, Ithaca, NY: Cornell University Press; 2011, *The Origins of the Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, New York: Farrar, Straus and Giroux; 2014, *Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy*, New York: Farrar, Straus and Giroux.

⁴ Weber, M., *Politics as a Vocation (Politik als Beruf - an essay, originated in the second lecture of a series Weber gave in Munich to the Non-incorporated Students Union of Bavaria on 28 January 1919)* In Weber, M., Gerth, H. H. and Mills, C. Wright, 2012, *From Max Weber: Essays in Sociology*, Ulan Press.

მონაწილეობის ხარისხსა და მასშტაბებს განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოება. საზოგადოებას, რომელსაც გააჩნია თვითორგანიზების უნარი, ქმნის სხვადასხვა გაერთიანებებს - ადვოკატირების ორგანიზაციებს, სამეთვალყურეო ჯგუფებს და ა.შ. - უკეთ შეუძლია გააწონასწოროს და აიძულოს სახელმწიფო ანგარიშვალდებული იყოს მის მიმართ, ვიდრე არაორგანიზებულ, ცალკეული ინდივიდებისაგან შემდგარ საზოგადოებას.

ამგვარად, ხელისუფლება ანგარიშვალდებული რომ იყოს, აუცილებელია ძლიერი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, პოლიტიკაში მონაწილე ჯგუფების სისტემაში ინტეგრირება და პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოება. სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური მონაწილეობა ჩვეულებრივ აძლიერებს სახელმწიფოზე კონტროლს და სახელმწიფოს, შესაძლოა, გაუჭირდეს შეეგუოს საზოგადოებრივი ჯგუფების მზარდ პოლიტიკურ ჩართულობას. თუ სახელმწიფო ვერ შეურიგდება სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ მონაწილეობას, თვით პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობას მიაღება ზიანი. თუ სათანადოდ არ განვითარდა პოლიტიკურ პარტიათა სისტემა, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკურ ჩართულობას შეუწყობს ხელს, სახელმწიფოში გაჩნდება არასტაბილურობის საფრთხე.

მაგრამ, ზედმეტად აქტიური საზოგადოებაც, განსაკუთრებით თუ ეს აქტივობა სცდება დადგენილ ინსტიტუციურ ჩარჩოებს, შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს დემოკრატიისთვის⁵, სამოქალაქო საზოგადოების მიერ ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების პოლიტიზირებამაც კი შეიძლება არასტაბილურობის გაღვივებას შეუწყოს ხელი. მითუმეტეს, რასობრივ ან ეთნიკურ შოვინიზმზე დაფუძნებულმა ჯგუფებმა შეიძლება ხელი შეუწყონ არატოლერანტობის გავრცელებას. ამიტომ, ამ ორ კომპონენტს - სახელმწიფოს მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის მუდმივად არსებობს

⁵ Fukuyama, F., 1996, *Trust: The Social Virtues and The Creation of Prosperity*, Free Press; 1st Free Press Pbk. Ed edition; *Social Capital and Development: The Coming Agenda*, 2002, SAIS Review, 22(1): 23-37.

გარკვეული დაძაბულობა, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესში.

თემის აქტუალობა.

მოცემული კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკური სისტემის რეფორმირების პირობებში დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა არის მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობა. თავისთავად, აუცილებელია არსებობდეს შესაძლებლობა, რომ საზოგადოებამ გააკონტროლოს როგორც სახელმწიფოს სტრუქტურები, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ პრაქტიკაში არსებული ძალადობის, პოლიტიკური კორუფციის და სამართალდარღვევების შემთხვევები.

პოლიტიკური რეჟიმის მდგრადობა უშუალოდ დამოკიდებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების პოლიტიკური მონაწილეობის ფორმებს შორის არსებულ ურთიერთმიმართებაზე. სხვადასხვა სახის პოლიტიკური პროტესტების გავრცელება გამოწვეულია პიროვნების პოლიტიკური თვითგამოხატვის მოუქნელობით და ინდივიდებისა და სახელმწიფოს ურთიერთობების არსებული ფორმების კრიზისით. პოლიტიკური მონაწილეობის ფორმები, როგორიცაა სახელმწიფო აპარატის დაკომპლექტება, პოლიტიკური ელიტების მონაცვლეობის უზრუნველყოფა და საზოგადოების სტაბილურობის შენარჩუნება, საზოგადოების ჩართულობის ბუნებიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, განსხვავებულია: მას შეიძლება ჰქონდეს როგორც ლეგიტიმური ფორმები - არჩევნებში, პოლიტიკურ დისკუსიებში, დემონსტრაციებში ან პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობა, ამა თუ იმ პარტიისთვის შემოწირულობები, პარტიაში გაწევრიანება, კანდიდატად წარდგენა და სხვა, ასევე არალეგიტიმური ფორმები - ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლა, აჯანყებები, სამხედრო გადატრიალებები, მოსყიდვები და სხვა. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის „უკუკავშირის“ მექანიზმის ეფექტურობა დიდწილად განსაზღვრავს რამდენად წარმატებით ხორციელდება სასიცოცხლოდ საჭირო სოციალური გარდაქმნები.

ქართული სოციუმის მოდერნიზაციის მიზნიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში სახელმწიფოსა და პოლიტიკური მონაწილეობის ურთიერთკავშირის პროცესის გაანალიზება. მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების შეფასება, რომლებიც თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში გავლენას ახდენენ პოლიტიკური მონაწილეობის ფორმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ პროცესში საზოგადოების სოციალური ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკური ორგანიზაციები უნდა ვითარდებოდნენ სოციალურ გარემოსთან კავშირში. სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე ინტერპრეტაციის დროს ხაზს უსვამენ მის დამოუკიდებლობას და გამიჯვნას სახელმწიფოსგან. მაგრამ სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს შორის უნივერსალური საზღვრის მკვეთრად გატარება საკმაოდ რთულია. რეალურ ცხოვრებაში ვხედავთ, რომ ადგილი აქვს სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და არაპოლიტიკური სფეროების გადაფარვას და ურთიერთგავლენას. უფრო მეტიც, კლასიკურ პოლიტიკურ თეორიებში სამოქალაქო საზოგადოების კატეგორია დეტალურად განიხილება სახელმწიფოს ცნებასთან კავშირში. მათ ზოგჯერ გამიჯნავდნენ ერთმანეთისგან და ზოგჯერ არა, მაგრამ სამეცნიერო წრეებში ისინი ყოველთვის შეისწავლებოდნენ ტანდემში.

ნაშრომის მიზანი, საკვლევი ჰიპოთეზა, კითხვები და მეთოდოლოგია.

მოცემული ნაშრომის მიზანია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის სფეროების და ფორმების ურთიერთმიმართების დინამიკის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონის - უნარის, განახორციელოს მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია გავლენა მოახდინოს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულ განვითარებაზე - ანალიზი. პოლიტიკური რეჟიმი სახელმწიფოში დამოკიდებულია არა მხოლოდ არსებულ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზე, ძალაუფლების განხორციელების საშუალებებზე და მეთოდებზე, არამედ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხარისხსა და დონეზე.

საზოგადოებისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურის ტიპი განაპირობებს კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობას და ფუნქციონირებას. რეჟიმი, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებსა და ღირებულებებს ეფექტურად ვერ იფუნქციონირებს. ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარება წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

დემოკრატიაზე გადასვლის რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, საქართველომ ვერ მიაღწია წარმატებას. ექსპერტთა უმრავლესობა საქართველოს აფასებს როგორც „ჰიბრიდულ რეჟიმს“⁶, რომელსაც ახასიათებს როგორც დემოკრატიის, ასევე ავტოკრატიის ნიშან-თვისებები. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, თუ რატომ ვერ ახერხებს საქართველო სტაბილური დემოკრატიული ქვეყნების კატეგორიაში გადასვლას შესაძლოა პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული სისუსტე იყოს. დემოკრატიული სტრუქტურული სისუსტე განპირობებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების სისუსტით. ავტორიტარული რეჟიმები დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ძალაუფლებაში მოსვლის შედეგად ჯერ სუსტ დემოკრატიებად ჩამოყალიბდებიან, ხოლო შემდგომ სუსტი დემოკრატიები გარდაიქმნიებიან ინსტიტუციონალიზირებულ და კონსოლიდირებულ დემოკრატიებად.⁷ მაგრამ გარდაქმნა სუსტი დემოკრატიიდან კონსოლიდირებულამდე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განვითარდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, ზოგადად დემოკრატიის შუალედური ინსტიტუტები - სამოქალაქო ასოციაციები, პოლიტიკური პარტიები და ა.შ., რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებაში. თანამედროვე კომპლექსურ საზოგადოებაში შუალედური ინსტიტუტები

⁶ დიამონდი, ლ., საჯარო ლექცია „Democracy and State-Building in the Post-Soviet Realm: Where We Stand Twenty-Five Years Later“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015; *ფრიდომ ჰაუსის* შეფასებები, წყარო: <https://freedomhouse.org/>, წვდომა, 15 ოქტომბერი, 2017.

⁷ O'Donnell, G., 1994, *Delegative Democracy*, Journal of Democracy 5(1):55–69.

უზრუნველყოფენ ურთიერთობას, ერთის მხრივ, სტრუქტურულ ფაქტორებსა და, მეორეს მხრივ ინდივიდებსა და განსხვავებულ ჯგუფებს შორის⁸.

კვლევის ჰიპოთეზაა - საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს არ შესწევთ უნარი შეასრულონ დემოკრატიის შუალედური ინსტიტუტების როლი, პოლიტიკური მონაწილეობა არასტაბილური და არათანმიმდევრულია⁹ და სამოქალაქო საზოგადოება არ არის „საკმარისად ძლიერი და შეკრული საიმისოდ, რომ აიძულოს სახელმწიფო, მის წინაშე ანგარიშვალდებული იყოს“¹⁰.

დასმული მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომის ფარგლებში ვცდილობთ, პასუხი გავცეთ შემდეგ ძირითად კითხვებს:

- პოლიტიკური მონაწილეობის რა ფორმებია განვითარებული საქართველოში;
- რამდენად შეუძლიათ საზოგადოებრივ ჯგუფებს გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებსა თუ გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

იმისათვის, რომ შევაფასოთ პოლიტიკური მონაწილეობის არსებული ფორმების და დონის გავლენა პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესზე, მომიხდება აგრეთვე პასუხი გავცე შემდეგ უფრო ზოგად კითხვებსაც:

- რამდენად მრავალფეროვანია ქართული საზოგადოება, რამდენად არტიკულირებულია და გამოხატულია განსხვავებული ინტერესები და იდეები და რამდენად განვითარებულია საზოგადოებაში თვითორგანიზების უნარი;
- რამდენად გამოხატავს სამოქალაქო სექტორი ფართო საზოგადოების ინტერესებს;
- როგორია პოლიტიკური პარტიების ურთიერთმიმართების სპეციფიკა საქართველოში და რამდენად გამოკვეთილია მათი იდეოლოგიები.

სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების თემატიკაზე ორიენტირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე გამოვიმუშავე ნაშრომის

⁸ O'Donnell, G., 1994, *Delegative Democracy*, Journal of Democracy 5(1):55–69; pg. 59.

⁹ Huntington, S.P. *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press, 2006, pg. 78-92;

¹⁰ Fukuyama, F., *The Origins of Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, New York: Farrar, Straus and Giroux, 2011.

თეორიული საფუძველი. მოცემული კვლევის ძირითად საფუძველს წარმოადგენს გ. ო'დონელის¹¹ ნაშრომი, რომელიც აღწერს კონკრეტულ პოლიტიკურ რეჟიმს - დელეგაციურ დემოკრაციას, სადაც აღმასრულებელი შტო არ არის ანგარიშვალდებული როგორც სახელმწიფოს სხვა - საკანონმდებლო და სასამართლო - შტოების, ასევე პოლიტიკური პარტიების თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ. დემოკრაციის დეფიციტზე საუბრისას, ის ხაზსგასმით აღნიშნავს სტრუქტურული ფაქტორების - დემოკრაციის შუალედურ ინტიტუტთა - მნიშვნელობას, რაც მეტად რელევანტურია ასევე საქართველოს შემთხვევისთვის. ს. ჰანტინგტონი¹² იკვლევს ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაციის პროცესის პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურებებს, პოლიტიკური პარტიების როლს თანამედროვე საზოგადოებაში და ხაზსგასმით აღნიშნავს სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარების მნიშვნელობას, იმიტომ რომ თუ პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება ჩამორჩება სოციალური მობილიზაციის და პოლიტიკური მონაწილეობის ზრდის ტემპს, ქვეყანა არასტაბილურობის და პოლიტიკური დაკნინების საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. ჰანტინგტონი მოცემული კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან ავტორად არის მიჩნეული და სადისერტაციო ნაშრომი მას ეყრდნობა, ვინაიდან მან ხაზი გაუსვა პოლიტიკური მონაწილეობის სოციალურ ინსტიტუციონალიზაციას - რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების პრობლემატიკას. მაშინ როდესაც ჰანტინგტონი თვლის, რომ მოდერნიზაციის განსხვავებული კომპონენტები გარკვეული თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს, დემოკრატიული მმართველობის შემოღებამდე, სახელმწიფოებს სჭირდებათ პოლიტიკური წესრიგი და ისინი მეტ წარმატებას მიაღწევენ, თუ ავტორიტარული მმართველობის ქვეშ გაივლიან გარდამავალ პერიოდს და შემდეგ გადავლენ დემოკრატიულ მმართველობაზე, ფ. ფუკუიამას¹³ აზრით ეს არ არის მისაღები არგუმენტი და რომ ძლიერი სახელმწიფო უნდა შეიქმნას დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის

¹¹ O'Donnell, G., 1994, *Delegative Democracy*, Journal of Democracy 5(1):55-69.

¹² Huntington, S. P., 2006, *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press.

¹³ Fukuyama, F., 2011, *The Origins of the Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, New York: Farrar, Straus and Giroux & 2014, *Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy*, New York: Farrar, Straus and Giroux.

კონტექსტში. ფუკუიამას მტკიცებულებით, პოლიტიკური განვითარება სამი კომპონენტისაგან შედგება - სახელმწიფო, კანონის უზენაესობა და ანგარიშვალდებულება, და ლიბერალური დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია, რომ სამივე ეს ინსტიტუტი შერწყმული და გაწონასწორებული იყოს. ერთ-ერთი მექანიზმი - რითაც შეიძლება სახელმწიფოს დაბალანსება, ანგარიშვალდებულებაა, ხოლო სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე უზრუნველყოფილია სამოქალაქო საზოგადოების მუდმივად ფუნქციონირებადი არხების, დემოკრატიის შუალედური ინსტიტუტების საშუალებით, რაც პირდაპირ კავშირშია ურთიერთმიმართებასთან თანამედროვე ტიპის სახელმწიფო მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის, ფუკუიამას ნაშრომი მოცემული კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სამოქალაქო საზოგადოების, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არასახელმწიფოებრივი სფეროს ცნების დაზუსტების მიზნით კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გამოყენებულია რიგი ავტორების ნაშრომები, მათ შორის, პოლიტიკის თეორიის კლასიკოსების: გ. ჰეგელის¹⁴ და ა. დე ტოკვილის,¹⁵ და თანამედროვე ავტორების: პ. მანანის,¹⁶ რ. პატმენის,¹⁷ ლ. დაიამონდის,¹⁸ ჰ. ლინცისა და ა. სტეფანის ნაშრომები.¹⁹ განვიხილავთ პოლიტიკური პარტიების როლსა და მნიშვნელობას, მათ ურთიერთობებს ერთმანეთთან, სახელმწიფოსთან თუ სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან. ამ მხრივ გამოვყოფდით ჯ. სარტორის,²⁰ მ. დიუვარჟეს,²¹ ლ. დაიამონდის და რ. განტერის ნაშრომებს,²² ასევე. ს. ლიპსეტის და ს. როკანის ნაშრომს,²³ რომელშიც

¹⁴ Brooks, T., 2012, *Hegel's Philosophy of Right*, Wiley-Blackwell; 1 edition.

¹⁵ Tocqueville, Alexis de, 2006, *Democracy in America*, Harper Perennial Modern Classics.

¹⁶ Manent, P., 2003, *Modern Democracy as a System of Separations*, *Journal of Democracy* 14(1): 114–125.

¹⁷ Putnam, R., 1994, *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*, Princeton University Press, & 2001. *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community*, 1st ed. New York: Touchstone Books by Simon & Schuster.

¹⁸ Diamond, L., 1999, *Developing Democracy: Toward Consolidation*, Baltimore: Johns Hopkins University Press & 2009, *The Spirit of Democracy: The Struggle to Build Free Societies Throughout the World*, 1 Reprint ed. New York: St. Martin's Griffin.

¹⁹ Linz, J.J. and Stepan, A., 1996, *Problems of Democratic Transition and Consolidation, Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*, Baltimore: Johns Hopkins University Press.

²⁰ Sartori, G., 1976, *Parties and Party Systems: A Framework for Analysis*, Cambridge University Press.

²¹ Duverger, M., 1954, *Political Parties: Their Organisation and Activity in the Modern State*, Wiley; 1st English language ed edition.

²² Diamond, L. and Gunther, R., eds. 2001, *Political Parties and Democracy*, Baltimore: John Hopkins University Press.

²³ Lipset, S. M. and Rokkan, S., 1967, *Cleavage Structures, Party Systems, and Voter Alignments: An introduction*, Party systems and voter alignments: Cross-national perspectives, eds., New-York: The Free Press, pp. 1–64.

ერთმანეთთან დაკავშირებულია საზოგადოებაში გავრცელებული ღირებულებები და პარტიული სისტემების ფორმირება. წარმოდგენილ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ფორმებსა თუ ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის პოტენციალზე, არამედ თავად საზოგადოების ღირებულებებზე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ლეგიტიმურობის და სანდოობის საზომზე; ამ მხრივ გამოვყოფთ, ს. ლიპსეტის,²⁴ რ. ინგლჰარტის და ქ. ვენცელის²⁵ ნაშრომებს. და ბოლოს, მიმოვიხილეთ, აგრეთვე, მოდერნიზაციის თეორიები, მნიშვნელოვანი მოცემული კვლევისთვის, ვინაიდან აქტიური, ძლიერი და კარგად ინსტიტუციონალიზირებული სამოქალაქო საზოგადოება, რაციონულად მოაზროვნე და თვითორგანიზების შემძლე საშუალო კლასი, მხოლოდ მოდერნიზებული საზოგადოების პირობებშია შესაძლებელი, ამიტომ დემოკრატიზაციის თეორია გადამხდილია მოდერნიზაციის თეორიასთან; განვიხილეთ ისეთი ავტორების ნაშრომებიც, - მაგალითად, მ. ვებერი,²⁶ რომელიც საუბრობს კავშირზე საზოგადოებრივ ღირებულებებსა / რელიგიასა და მოდერნიზაციას შორის, ჩ. ტილი²⁷ და ბ. მური,²⁸ რომლებიც ასევე საზოგადოების ტრანსფორმაციის საკითხებს იკვლევენ.

დაწვრილებით ამ ნაშრომებს და დებულებებს შესაბამის თავში - ლიტერატურის მიმოხილვაში განვიხილავთ.

მოცემული კვლევის ფოკუსია სამოქალაქო საზოგადოება, მისი მონაწილეობის ფორმები და პოტენციალი გავლენა მოახდინოს მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე და სახელმწიფოს მშენებლობის ტენდენციებზე. შესწავლილია როგორც რელევანტური წერილობითი წყაროები, ასევე ჩატარებულია რესპონდენტებთან ინტერვიუები. გამოყენებულია სხვადასხვა დოკუმენტური წყაროები: მას-მედია,

²⁴ Lipset, M. S., 1994, *The Social Requisites of Democracy Revisited: 1993 Presidential Address*, American Sociological Review, Vol 59, No 1, pp. 1-22; 1959, *Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy*, American Political Science Review 53(1): 69-105; 1963, *Political Man: The Social Bases of Politics*, Anchor Books edition.

²⁵ Inglehart, R. and Welzel, C., 2005. *Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence*, Cambridge University Press.

²⁶ Weber, M., 1958 ed., *The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism*, New York: Charles Scribner's Sons; 1978, ed., Roth, G. & Wittich, C., *Economy and Society*, University of California Press.

²⁷ Tilly, C., 1978, *From Mobilization to Revolution*, Addison-Wesley.

²⁸ Moore, B., Jr., 1993, *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World*, Beacon Press.

ინტერნეტ-წყაროები, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები, ანალიტიკური ნაშრომები, გამოქვეყნებული კვლევები, პუბლიკაციები და სტატისტიკური მონაცემები. სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყენებულია მეორადი წყაროები²⁹ - ამ საკითხზე არსებული ლიტერატურა.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები,³⁰ როგორც არასამთავრობო სექტორის, პოლიტიკური პარტიების, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან. რესპონდენტთან საუბრის დროს, ჩამოყალიბებული კითხვების სტრუქტურა იყო მოქნილი და საუბრიდან გადახვევის საშუალებასაც იძლეოდა, რაც რესპონდენტის მოსაზრებათა უფრო სრულფასოვანი წარმოდგენის საშუალებას იძლეოდა.

რესპონდენტების შერჩევაში გადამწყვეტი ფაქტორი იყო მათი განსხვავებული გამოცდილება, კავშირები, გარემოცვა, კონკრეტულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები. შეიქმნა ყოველი ჩაწერილი ინტერვიუს საუბრის ტრანსკრიპტი, მოხდა ტექსტის დამუშავება და ანალიზი. შეგროვილი მონაცემების ანალიზი ინტერვიუების ჩატარების პარალელურად მიმდინარეობდა, რაც საშუალებას იძლეოდა კითხვები შემდეგი ინტერვიუებისათვის უკეთ ყოფილიყო შერჩეული. კვლევის მასალა, როგორც დოკუმენტური წყაროები ასევე ინტერვიუების ტრანსკრიპტები, დამუშავდა თვისებრივი (კონტენტ-ანალიზი) მიდგომით.

²⁹ Beissinger, M. R., and Crawford Y, eds. 2002. *Beyond state crisis? Post-colonial Africa and post-soviet Eurasia in comparative perspective*, Washington DC: Woodrow Wilson Center Press; Coppieters, B., and Legvold, R., 2005, eds., *Statehood and Security: Georgia After the Rose Revolution*. Cambridge: The MIT Press; Nodia, G. ed., *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University Press; Huber, M., 2004, *State-Building in Georgia: Unfinished and at Risk?*, Clingendael Institute; World Bank, 2012, *Fighting Corruption in Public Services: Chronicling Georgia's Reforms*, International Bank for Reconstruction and Development / International Development Association or the World Bank, Washington, DC; ნოდია, გ. და სქოლტაზი, ა.პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, შვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთოს დემკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

³⁰ სულ ჩატარებულია 30 ინტერვიუ. კვლევამ მოიცვა შემდეგი ინსტიტუტები: არასამთავრობო ორგანიზაციები - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა), საქველმოქმედო ფონდი „ბორანი“, საზოგადოებრივი მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია, საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალფეროვანი საქართველო“, პოლიტიკური პარტიები - ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, საქართველოს ლეიბორისტული პარტია; უნივერსიტეტები - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიტერატურის მუზეუმი.

მაქსიმალურად სრული და ობიექტური ინფორმაციის და დასაბუთებული მონაცემების მისაღებად მოხდა კვლევის შედეგების შეჯერება სხვა კვლევებში მიღებულ ანალოგიურ რეზულტატებთან.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე.

მოცემული კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გამოყენებული იქნა საქართველოში არსებული ლიტერატურა სამოქალაქო საზოგადოებაზე როგორც არასამთავრობო სექტორზე, პოლიტიკურ პარტიებზე და სახელმწიფო მშენებლობაზე, მაგრამ ჩვეულებრივ, ეს სამი სფერო ერთმანეთისგან განცალკავებით განიხილება.

მოცემული ნაშრომის სამეცნიერო სიახლე კი განპირობებულია თვით პრობლემის დასმით, დასახული ამოცანებით და მდგომარეობს იმაში, რომ სამოქალაქო საზოგადოებას განვიხილავთ უფრო ფართოდ - მასში ჩართულია პოლიტიკური პარტიებიც, და სამოქალაქო საზოგადოებას განვიხილავთ არა თავისთავად, არამედ როგორც პოლიტიკური სისტემის ზოგადი ტრანსფორმაციისთვის საკვანძო ცვლადს.

ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომი შეიცავს შესავალს, ოთხ თავს, ძირითად დასკვნებს და გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ სიას.

შესავალში დასაბუთებულია წარმოდგენილი თემის აქტუალობა, განსაზღვრულია ნაშრომის მიზანი და საკვლევი კითხვები, თეორიულ-მეთოდოლოგიური და ემპირიული საფუძვლები და მისი სამეცნიერო სიახლე.

პირველ თავში წარმოდგენილია ლიტერატურა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე, სამოქალაქო საზოგადოების ბუნებასა და სტრუქტურაზე, სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ ფუნქციებზე.

მეორე თავში განხილულია საქართველოს სახელმწიფოს ტრანსფორმაციის პროცესი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში.

მესამე თავში გაანალიზირებულია ქართული სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა და ფუნქციები, არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედების არეალი, ნებაყოფლობითი გაერთიანებების სფერო, პოლიტიკური პარტიების, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტების, ინსტიტუციონალიზაციის პრობლემა, საზოგადოებაში გავრცელებული ღირებულებები. გაანალიზირებულია სამოქალაქო საზოგადოების როგორც სუსტი, ასევე ძლიერი მხარეები.

მეოთხე თავი ეძღვნება სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის - მთავრობაზე რეალურად გავლენის მოხდენის უნარის - ანალიზს.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია დისერტაციაში წამოყენებული პრობლემების კვლევის შედეგები.

თავი 1. ლიტერატურა

1.1. მოდერნიზაციის თეორიების მიმოხილვა

იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ძლიერი და ინსტიტუციონალიზირებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მოდერნიზირებული საზოგადოების პირობებში, მოკლედ განვიხილავთ მოდერნიზაციის თეორიებს.

მოდერნიზაცია ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების, სოციალური მობილიზაციის მრავალსაფეხიანი პროცესია. ამ პროცესის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სფეროები შეიძლება სხვადასხვა ტემპით და სხვადასხვა კურსით ვითარდებოდნენ. მოდერნიზაცია არ არის შეუქცევადი პროცესი, ის მკვეთრი გადასვლებით და პაუზებით ხასიათდება. ის ხდება წარმატებული, როდესაც პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება სოციალური ცვლილებების, ეკონომიკური ზრდის და ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული იდეების გავრცელების პარალელურად მიმდინარეობს³¹.

ბევრი ევროპელი სოციალური თეორეტიკოსების წარმოდგენები კაცობრიობის განვითარებაზე ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. მოდერნიზაციის ბევრი თეორია, დაშვება თუ მიდგომა დროთა განმავლობაში იქნა გაკრიტიკებული, უარყოფილი და/ან გადაფასებული.

მოდერნიზაცია ფართო გაგებით განიხილებოდა, როგორც ტრადიციული საზოგადოებიდან თანამედროვე საზოგადოებამდე განვითარების უნივერსალური პროცესი,³² როგორც საზოგადოების სისტემური ტრანსფორმაცია, როდესაც იცვლება სოციუმის ყველა სფერო.

ტრადიციული საზოგადოება აღიქმებოდა როგორც ხისტი სოციალური სტრუქტურის, მემკვიდროებითი კულტურული ჰორიზონტების ფარგლებში მოქცეული, ურბანიზაციის

³¹ Fukuyama, F., 2014, *Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy*, New York: Farrar, Straus and Giroux.

³² Parsons, T., 1971, *The System of Modern Societies (Foundations of Modern Sociology)*, Prentice Hall.

და წიგნიერების დაბალი დონის საზოგადოება. მისი წევრი ფასდებოდა ამა თუ იმ ჯგუფთან კუთვნილების მიხედვით და პოლიტიკურად იმართებოდა ელიტების მიერ. თანამედროვე საზოგადოება, ამისგან განსხვავებით, უნივერსალური ღირებულებების მატარებელია, კულტურულად დინამიური, ორიენტირებული ცვლილებებსა და ინოვაციებზე; ხასიათდება შრომის დანაწილების, სპეციალიზაციის და ურბანიზაციის მაღალი დონით; მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში და აიძულებს სახელმწიფოს ანგარიშვალდებული იყოს მის მიმართ.³³

მოდერნიზაცია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ისეთი ტიპის ცვლილებების პროცესია, რომელიც მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში XVII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ითვლებოდა, რომ მსოფლიო უკეთესობისკენ სწორედ დასავლეთის განვითარების გზით უნდა შეცვლილიყო. უპირველეს ყოვლისა იგულისხმებოდა ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს.³⁴

XVI და XVII საუკუნეში, როდესაც ბრიტანეთში გაფართოვდა ვაჭრობა, ნათელი გახდა რომ ვაჭრობას ერისთვის სიმდიდრე მოჰქონდა. ქვეყანა აღიქმებოდა აყვავებულად თუ ექსპორტი აღემატებოდა იმპორტს და თუ რეზერვში იზრდებოდა არსებული ოქროს და ვერცხლის მარაგი. კლასიკურ ეკონომიკას საფუძველი ჩაეყარა მერკანტილიზმთან კონფლიქტში. მერკანტილიზმი გულისხმობდა სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს აუცილებელ აქტიურ ჩარევას, ძირითადად პროტექციონიზმის ფორმით, რომელიც მდგომარეობდა იმპორტზე მაღალი ბაჟის დაწესებაში, ეროვნულ წარმოებაზე სუბსიდიების გაცემაში და სხვ.

XVII - XVIII საუკუნეებში ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია მთელი კაცობრიობისთვის შემობრუნების წერტილი გახდა. უარყოფილ იქნა ტრადიციული

³³ Leys, C., 2009, *The Rise and Fall of Development Theory*, Indiana University Press; Rustow, D., 1970, *Transition to Democracy: Toward a Comparative Model*, *Comparative Politics* 2(2): 337–363; Eisenstadt, S.N., 1972, *Studies of Modernization and Sociological Theory*, *History and Theory*, 13(3): 225-252.

³⁴ Leys, C., 2009, *The Rise and Fall of Development Theory*, Indiana University Press.

რწმენა, რომ გარკვეულ ინდივიდებს დაბადებიდანვე სოციალური წარმოშობით მინიჭებული ჰქონდათ უპირატესი უფლებები. დაინერგა ახალი იდეები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ინდივიდუალიზმს და კერძო საკუთრებას. კონკურენტული ინდივიდუალიზმის და საზოგადოებრივი მორალურობის შეთავსება მოხდა არა რელიგიით, არა სახელმწიფო იძულებით, არამედ რწმენით (რაც დღეს მოდერნული ლიბერალიზმის ბაზისს წარმოადგენს), რომ ყველას გააჩნია ბუნებრივი უფლებები: შესაძლებლობების თანასწორობა, სამოქალაქო უფლებები და ა.შ. მიიღეს, რომ ადამიანს რაციონალური მიდგომით შეუძლია გადაჭრას პრობლემები. განმანათლებელმა ფილოსოფოსებმა ჰობსმა,³⁵ ლოკმა,³⁶ ჰიუმმა³⁷ და სხვებმა ბევრი მიმზიდველი იდეა წამოაყენეს, ამ იდეების რევოლუციური სიახლე პოლიტიკურად ნეიტრალური არ იყო, ის ემსახურებოდა კაპიტალისტური კლასის ინტერესებს.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის ჩამოყალიბდა კლასიკური საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტები. ევროპის ქვეყნებში შეიცვალა ეკონომიკური სისტემა, მოდერნული ეკონომიკა ჯერ განვითარდა ინგლისში და შემდგომ გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. საუბარია ინდუსტრიალიზაციის პროცესზე და მის მიერ სავაჭრო სტრუქტურების განვითარების სტიმულირებაზე, რასაც საზოგადოების ტრანსფორმაცია მოყვა. თუ ადრე მოსახლეობა ძირითადად დაკავებული იყო აგრარულ სექტორში, ახლა ეკონომიკის წამყვანი დარგი გახდა ინდუსტრია. ინდუსტრიული რევოლუციის განხორციელებას თან სდევდა ურბანიზაცია, მეცნიერების და კომერციული საქმიანობის განვითარება, კანონის უზენაესობის დამკვიდრება.

ეკონომიკურ სფეროში რევოლუციური აზროვნების დანერგვაში მეტად მნიშვნელოვანი იყო ადამ სმიტის იდეები;³⁸ მათგან მთავარი იყო შრომის დანაწილება და სამეურნეო საქმიანობის თავისუფლება. სმიტის თანახმად საბაზრო სისტემას არეგულირებს ე.წ. უხილავი ხელი („invisible hand”), რომელიც ქმნის ეფექტურ ეკონომიკას და ინდივიდის

³⁵ Hobbes, T. 2010, *Leviathan: Or the Matter, Forme, and Power of a Common-Wealth Ecclesiasticall and Civill*, ed. by Ian Shapiro, Yale University Press.

³⁶ Locke, J., 1988, *Two Treatises of Government*, Cambridge University Press.

³⁷ Hume, D., 1987, ed. *Essays: Moral, Political and Literary*, Indianapolis: University of Indiana Press.

³⁸ Smith, A., 2009, *Wealth of the Nation*, Thrifty Books.

თვითინტერესს საჯარო სიკეთედ აქცევს. ა. სმიტი თვლის, რომ კომერციული სფერო არის სოციალური პროდუქტიულობის ფუნდამენტალური ინსტიტუტი და წარმოადგენს გამომგონებლობის და რისკზე წასვლის ძირითად მამოძრავებელ იმპულსს. როგორც პროტესტანტი, ის მიიჩნევს, რომ თვითინტერესი და ეგოიზმი უნდა რეგულირდებოდეს ინდივიდის მორალური პრინციპებით და ასეთების არ არსებობის შემთხვევაში - სახელმწიფო კანონებით.

მნიშვნელოვანი იყო განვითარების ეკონომიკური თეორიის XIX საუკუნის წარმომადგენლების იდეები. ჯონ სტიუარდ მილის³⁹ აზრით, მთავრობის არ ჩარევა ეკონომიკაში უნდა იყოს წესი, სახელმწიფოს ჩარევა და მის მიერ ინდივიდის ქცევის გაკონტროლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც ხდება სხვა ინდივიდებისთვის ზიანის აცილება, მაგალითად საერთო კეთილდღეობის ხელშესაწყობად სიმდიდრის გადანაწილება, შრომის პირობების შექმნა და ა.შ.

ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორია (XX ს.) ამტკიცებს, რომ საბაზრო ძალები ეფექტურად ანაწილებენ რესურსებს, კონკურენტულ პირობებში ამცირებენ ხარჯებს და ზრდიან მოგებას.⁴⁰ ნეოკლასიკური ეკონომიკის ჰარმონია დაარღვია ჯონ კეინსმა,⁴¹ მისი აზრით აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტერვენცია ფისკალური და სავალუტო პოლიტიკის საშუალებით.

კეინსიანური სახელმწიფოს კონცეფციის წინააღმდეგ გამოვიდა ფონ ჰაიეკი.⁴² მისი აზრით, სახელმწიფოს როლი უნდა შეიზღუდოს, მან კანონის უზენაესობა უნდა უზრუნველყოს, მაგრამ ეკონომიკაში მისი ინტერვენცია მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. ძალაუფლების კონცენტრაციის პირობებში, მაგალითად ისეთში, როგორიც იყო ფაშისტურ და სოციალისტურ რეჟიმებში, რომლებშიც სწამდათ, რომ ეკონომიკური

³⁹ Mill, J. S., 1909 ed., *Principles of Political Economy*, London: Longmans.

⁴⁰ Marshall, A., 1920, *Principles of Economics*, London: Macmillan; Clark, J. B., 1899. *The Distribution of Wealth: A Theory of Wages, Interests, and Profits*, New York: Macmillan.

⁴¹ Keynes, J. M., 1936, *The General Theory of Employment, Interest and Money*, New York: Harcourt Brace.

⁴² Hayek, F.A., 1994, ed., *The Road to Serfdom*, University of Chicago Press.

დაგეგმვა ჩაანაცვლებდა კონკურენციის სისტემას, დემოკრატია დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს, დაგეგმვა და დემოკრატია შეუთავსებელია.

განმანათლებლობის საუკუნემ შექმნა მსოფლიოს რაციონალური ხედვა, რომლის საფუძველსაც მტკიცებულების ემპირიული სტანდარტები, ბუნებრივი მოვლენების მეცნიერული ახსნა და სამყაროს ტექნოლოგიური დაუფლება წარმოადგენდა. მაქს ვებერმა⁴³ პირდაპირი კავშირი დაამყარა კულტურასა, უფრო ზუსტად, რელიგიასა და მოდერნიზაციას შორის. ვებერის თეორია ეფუძნება რელიგიების შედარებით სოციოლოგიას. კაცობრიობის პირველ საზოგადოებებს სწამდათ ჯადოსნური სამყარო, სადაც ბუნებრივი მოვლენების უკან იდგნენ ძლევამოსილი ძალები. ადამიანის ბედს მისი ქცევა კი არა, ჯადოქრობა განაპირობებდა. ადამიანები უკავშირდებოდნენ ღმერთებს რიტუალებით და ტაბუებით. როდესაც გაჩნდა რწმენა, რომ ღმერთებმა ადამიანებისთვის შექმნეს წესები და ითხოვდნენ ამ წესების (ლოცვის, ცოდვის აღიარების, შეწყალების) შესრულებას, ამ დოგმების შესრულებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე ჯადოქრობას და ტაბუებს.

ვებერმა ყურადღებით განიხილა იუდეველ - ქრისტიანული ტრადიცია, რომელმაც შუა საუკუნეების კათოლიციზმი მიიყვანა კალვინიზმამდე. კალვინისტებს სწამდათ, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო, მაგრამ შექმნის შემდეგ მიატოვა ის, აღარ ამჟღავნებს ქედმაღლურ ინტერესს მის განვითარებაში. კალვინისტები აქტიურად მონაწილეობდნენ ცხოვრების ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. იმის ნაცვლად რომ ელოცათ, კალვინისტები თვლიდნენ, რომ დაუღალავი შრომით უნდა მიეღწიათ შემოსავლის მუდმივი ზრდისთვის, ყოფილიყვნენ რჩეულთა შორის და ამით დაემსახურებინათ მუდმივი ნეტარება. საზოგადოება, რომელზედაც იმოქმედა კალვინიზმმა, ჩამოყალიბდა მეცნიერულ საზოგადოებად. მეცნიერული ცოდნის და განათლების ხელმისაწვდომლობამ მასებში ფართომასშტაბიანი სოციალური გავლენა იქონია. განვითარდა რაციონალიზმი, როგორც ადამიანის გონების გამარჯვება ბუნებაზე.

⁴³ Weber, M., 1958 ed., *The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism*, New York: Charles Scribner's Sons; 1978, ed., Roth, G. & Wittich, C., *Economy and Society*, University of California Press.

მეცნიერები სისტემატურად იკვლევენ როგორც პოლიტიკური რეჟიმების სახეობების წარმოშობას, ასევე აყალიბებენ გარკვეულ წესებს რეჟიმების კლასიფიკაციის მიზნით,⁴⁴ სწავლობენ საზოგადოებების ტრანსფორმაციის საკითხებს, სოციალურ რევოლუციებს,⁴⁵ თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები ერთად საერთო მიზნების მისაღწევად.⁴⁶ ჩარლზ ტილი⁴⁷ თავის ანალიზში გამოჰყოფს კოლექტიური ქმედებების ოთხ კომპონენტს: ორგანიზებას - სპონტანურად ფორმირებული ბრბოდან მკაცრად დისციპლინირებულ რევოლუციურ ჯგუფებამდე; მობილიზაციას - კოლექტიური ქმედებისათვის საჭირო რესურსების - იარაღის, მატერიალური უზრუნველყოფის, პოლიტიკური მხარდაჭერის - მოპოვების მეთოდებს; საერთო ინტერესების არსებობას - კოლექტიურ ქმედებებში მონაწილე პირებს როგორ აქვთ წარმოდგენილი შესაძლო მოგებები ან წაგებები; და ხელსაყრელ გარემოებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ კოლექტიურ ქმედებებს. ტილის აზრით, სოციალური მოძრაობები იმ შემთხვევაში გადაიზრდება ჯგუფების მობილიზაციაში, თუ ადამიანებს არ აქვთ თავისი შეხედულებების გამოხატვის ინსტიტუციონალიზირებული ფორმები ან ხელისუფლება აშკარად რეპრესიულია. ხოლო რაც შეეხება კოლექტიური ქმედების ძალადობრივში, რევოლუციურში გადაზრდას, ტილის აზრით, ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მაგალითად, ხელისუფლების რეაქციაზე, კოლექტიური ძალადობის ინიციატორები და მატარებლები თავად რეპრესიული ინსტიტუტები არიან თუ არა. ტილის თანახმად, არსებობს ურთიერთკავშირი სტრუქტურულ ცვლილებებს - სახელმწიფო მშენებლობის, კაპიტალიზმის გავრცელების, ურბანიზაციის, ინდუსტრიალიზაციის და ელექტორალური პოლიტიკის - და მოსახლეობის კოლექტიურ ქმედებებს შორის.

⁴⁴ Przeworski, A., et.al.2000, *Democracy and Development: Political Institutions and Material Well-Being in the World, 1950-1990*, Cambridge: Cambridge University Press; Levitsky, S. and Lucan A. W., 2010, *Competitive Authoritarianism*, Cambridge: Cambridge University Press; Linz, J.J. and Stepan.A., 1978, *The Breakdown of Democratic Regimes: Crisis, Breakdown and Reequilibrium*, Baltimore, John Hopkins University Press; 1996, *Problems of Democratic Transition and Consolidation, Southern Europe, South America, and post-communist Europe*, Baltimore: Johns Hopkins University Press; 1996, *Toward Consolidated Democracies*, *Journal of Democracy* 7(2):14-33; 2000, *Totalitarian and Authoritarian Regimes*, Boulder, CO: Lynne Rienner; Ishiyama, J.T., *Comparative Politics: Principles of Democracy and Democratization*, 2011, Wiley-Blackwell; 1 edition; Tilly, C., 2007, *Democracy*, New York: Cambridge University Press.

⁴⁵ Skocpol, T., 1994, *Social Revolutions in Modern World*, Cambridge University Press.

⁴⁶ Tönnies, F., 1955, *Community and Association (Gemeinschaft und Gesellschaft)*, London: Routledge; Olson, M., 1965, *The Logic of Collective Action, Public Goods and the Theory of Groups*, Cambridge MA: Harvard University Press.

⁴⁷ Tilly, C., 1978, *From Mobilization to Revolution*, Addison-Wesley.

პოლიტიკურ მეცნიერებაში ხშირად ერთ ტანდემში განიხილავენ საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესს და სახელმწიფო მშენებლობისა და პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბების ტენდენციებს.⁴⁸ ბევრი სოციალური მეცნიერი და ისტორიკოსი თვლის, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს დემოკრატიზაციის პროცესში განსხვავებული წვლილი შეაქვს. თუმცა რომელი სოციალური ჯგუფი - განდევნილი, დაქვემდებარებული, მუშათა კლასი თუ ელიტები - თამაშობს გადამწყვეტ როლს დემოკრატიზაციაში, საერთო შეთანხმება არ არსებობს.

მეცნიერებმა, ცდილობდნენ რა გამოეკვლიათ თანამედროვე პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბების ისტორიული, პოლიტიკური და სოციალურ - ეკონომიკური პირობები, მიმართეს ევროპის, აზიის და ამერიკის ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების შედარებით ანალიზს. ბერინგტონ მური⁴⁹ ყურადღებას ამახვილებს XX საუკუნის სამი ძირითადი პოლიტიკური სისტემის - საპარლამენტო დემოკრატიის, ფაშიზმის და კომუნიზმის - ფორმირების ხელშემწყობ პირობებზე.

მურის თანახმად, დასავლეთ ევროპაში და შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმის განვითარებამ ბიძგი მისცა სოციალურ რევოლუციას, რის შედეგადაც გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა, განვითარდა მანუფაქტურული წარმოება და ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. ბურჟუაზიამ, გაძლიერდა რა ეკონომიკურად, მოინდომა პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების მოპოვება. მას მხარში ამოუდგა როგორც ქალაქის მოსახლეობა, ასევე მიწათმფლობელები, და ბურჟუაზია თავში ჩაუდგა რევოლუციას. რევოლუციები დასრულდა აბსოლუტური მონარქიების დამხობით და მმართველობის საპარლამენტო ფორმებზე გადასვლით, რამაც მოქალაქეები უზრუნველყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით და თავისუფლებებით.

⁴⁸ Rueschemeyer, D., Stephens, E.H. and Stephens, J.D., 1992, *Capitalist Development and Democracy*, University of Chicago Press; Acemoglu, D. and Robinson, J.A., 2005, *Economic Origins of Dictatorship and Democracy*, New York: Cambridge University Press; Collier, R.B., 1999, *Paths Toward Democracy: The Working Class and Elites in Western Europe and South America*, New York: Cambridge University Press; Midgal, J., 1988, *Strong Societies and Weak States: State-Society Relations and State Capabilities in the Third World*, Princeton: Princeton University Press.

⁴⁹ Moore, B., Jr., 1993, *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World*, Beacon Press.

საზოგადოების მოდერნიზაციის მეორე გზა, მურის აზრით, არის ფაშიზმი, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების რეაქციულ მიმართულებას. გერმანია და განსაკუთრებით იაპონია თავისი ქვეყნების მოდერნიზაციას ცდილობდნენ საზოგადოების ძველი სოციალური სტრუქტურის ბაზისზე. მაღალი სოციალური კლასების კონსოლიდაციის საფუძველი ეკონომიკის მილიტარიზაცია იყო. ამ ქვეყნებში ბურჟუაზია შედარებით სუსტი იყო, ხოლო მოსახლეობის რევოლუციურ გამოსვლებს სასტიკად აღშობდნენ. სახელმწიფომ ამ ქვეყნებში შექმნა ძლიერი ბიუროკრატიული აპარატი ჯარის და პოლიციის ჩართვით, რაც აუცილებელი იყო ოპოზიციურ ძალებთან საბრძოლველად და სახალხო მღელვარების ჩასახშობად. მურის აზრით, ხელისუფლების უუნარობამ გადაეჭრა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გზა გაუხსნა ფაშიზმს.

ფეოდალური ურთიერთობების გადმონაშთების და სუსტი კაპიტალიზმის ქვეყნებში ეკონომიკის მოდერნიზაციის ყველაზე რადიკალურ გზას წარმოადგენს კომუნიზმი. მაშინ როდესაც კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელი შეუწყო საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ტრანსფორმაციას, რუსეთში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციას. თუ დასავლეთში ცენტრალიზაცია ეყრდნობოდა მოსახლეობის განთავისუფლებულ კლასებს, რუსეთში თვითმყრობელობამ და ბატონყმურმა სისტემამ შეაჩერა კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბება, როგორც მრეწველობაში ასევე მიწათმოქმედებაში. მური ასკვნის, რომ ვერც რუსეთმა და ასევე, ვერც ჩინეთმა⁵⁰ - სადაც გლეხების რევოლუციები მოხდა - ვერ ჩაანაცვლა გლეხობის სოციალური სტრუქტურები ახლით და ვერ განავითარა სამრეწველო საზოგადოება. ვერც რუსეთში და ვერც ჩინეთში გლეხებმა ვერ შეძლეს რევოლუცია დამოუკიდებლად მოეწყოთ და მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლაში. რუსეთში გლეხები ბოლშევიკებს გაყვნენ, რომლებიც პირდებოდნენ ომის დასრულებას, მიწების დარიგებასა და მემამულეებისგან განთავისუფლებას. ჩინეთში კი გლეხებმა მხარი კომუნისტებს დაუჭირეს. როდესაც ძალაუფლება კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში, ორივე ქვეყანაში დამყარდა დიქტატურა.

⁵⁰ Moore, B., Jr., 1993, *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World*, Beacon Press, p. 372.

ბერინგტონ მურის ნაშრომებმა დღესაც არ დაკარგეს თავისი აქტუალობა და საშუალებას გვაძლევენ უფრო ღრმად გავიაზროთ პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაციის თავისებურებები. პოლიტიკური წყობილების ცვლილების მთავარ მიზეზად კვლავაც რჩება შეუსაბამისობა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებს შორის.

1980-იანი წლების დასასრულს და 1990-იანი წლების დასაწყისში გამოითქვა მოსაზრება, რომელიც დომინანტური გახდა, რომ ზოგიერთ კულტურებში არ არსებობს პოლიტიკური განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობა. ალმონდმა და ვერბამ⁵¹ ყურადღება გაამახვილეს სამოქალაქო პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის განვითარებასა და სტაბილურობას. ჯეიმს ქოულმენმა⁵² ხაზგასმით აღნიშნა ნდობის, როგორც სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა, რომელიც აძლევს ადამიანებს საერთო მიზნებისათვის ერთობლივი მოქმედების უნარს. მაშინ, როდესაც მიულერმა და სელიგსონმა⁵³ აჩვენეს, რომ დემოკრატიული გამოცდილება ხელს უწყობს სამოქალაქო კულტურის განვითარებას და რომ ამ ორ კომპონენტს შორის ურთიერთკავშირი არსებობს, ინგლჰარტმა და ველზელმა⁵⁴ დაასაბუთეს, რომ სამოქალაქო კულტურას, განსაკუთრებით კი ისეთ ღირებულებებს როგორიც არის თავისუფლებისკენ სწრაფვა, ტოლერანტობა და ნდობა, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცებაზე.

1.2. დელეგაციური დემოკრატია

არგენტინელმა პოლიტოლოგმა, ო'დონელმა⁵⁵ შემოიტანა პოლიტიკური რეჟიმის სპეციალური სახეობის, არსებული დემოკრატიების ქვეტიპის - ე.წ. დელეგაციური დემოკრატიის - ცნება. დელეგაციური დემოკრატიები შეიძლება ჩამოყალიბდნენ მდგრად რეჟიმებად, თუმცა ისინი არ წარმოადგენენ ინსტიტუციონალიზირებულ დემოკრატიებს.

⁵¹ Almond, G.A. and Verba, S., eds., 1989, *The Civic Culture. Political Attitudes and Democracy in Five Nations*, Newbury Park.

⁵² Coleman, J. S., 1988, *Social Capital in the Creation of Human Capital*, *American Journal of Sociology*, 94:S95-S120.

⁵³ Muller, E. N. and Seligson, M. A., 1994, *Civic Culture and Democracy: The Question of Causal Relationships*, *The American Political Science Review*, 88(3): 635-652.

⁵⁴ Inglehart, R. & Welzel, C., 2005, *Modernization, Cultural Change, and Democracy*, Cambridge University Press.

⁵⁵ O'Donnell, G., 1994, *Delegative Democracy*, *Journal of Democracy* 5(1):55-69.

დელეგაციურ დემოკრატიაში ძალაუფლება პერსონალიზირებულია, ამომრჩევლები ხმას აძლევენ იმ ინდივიდს რომელიც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ იზრუნებს ერის ბედზე. დელეგაციურ დემოკრატიებში არჩევნები ძლიერი ემოციებით და მაღალი ფსონებით გამოირჩევა: კანდიდატები იბრძვიან, რომ მოიპოვონ უფლება მართონ ქვეყანა პრაქტიკულად ყოველნაირი შეზღუდვების გარეშე. არჩევნების შემდეგ, ამომრჩევლები იქცევიან პასიურ და გულშემატკივარ მაყურებლებად. საზოგადოება თავის ბედს ერის პოლიტიკურ ლიდერს ანდობს. ასეთ პირობებში შეუძლებელია პოლიტიკური პლურალიზმის არსებობა, იმიტომ რომ ლიდერის გუნდისაგან განსხვავებული შეხედულებების პოლიტიკურ ძალებს საზოგადოება არ თვლის თავისი ნების და ინტერესების გამომხატველ და დამცველ ძალად. დელეგაციურ დემოკრატიაში არსებობს გარკვეული პოლიტიკური ინსტიტუტები - სასამართლოები, პოლიტიკური პარტიები, პარლამენტი - რომლებიც კონსტიტუციური სისტემის კომპონენტებს წარმოადგენენ. მაგრამ არსებული ინსტიტუტების სისუსტის გამო, მათ ადგილს იკავებს კლანური დამოკიდებულება და კორუფცია. არსებობს მხოლოდ ვერტიკალური ანგარიშვალდებულება. ლიდერს აქვს გადამწყვეტი სიტყვა გადაწყვეტილების გამოტანისას, არ არსებობს ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების მექანიზმები. გადაწყვეტილებები მიიღება სწრაფად, მაგრამ არსებობს შეცდომების დაშვების დიდი ალბათობა.

ო'დონელს მიაჩნია, რომ დელეგაციურ დემოკრატიაში დემოკრატიული სისუსტის სტრუქტურული მიზეზები გამოწვეულია დემოკრატიის შუალედური ინსტიტუტების სისუსტით. სამოქალაქო მონაწილეობა ასეთი ინსტიტუტების გარეშე არ არის სტაბილური, თანმიმდევრული და მიზანმიმართული და შედეგად ვერ ხერხდება არსებული დემოკრატიული სისტემის კონსოლიდაცია და მმართველობა დემოკრატიის თვალსაზრისით მხოლოდ ზედაპირული და ფასადურია.

1.3. პოლიტიკური განვითარება თუ დაკნინება

ჰანტინგტონი⁵⁶ არ ეთანხმება მოდერნიზაციის ეკონომიკური თეორიის იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკური განვითარება სოციალურ მობილიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროგრესს ცხოვრების ყველა სფეროში. ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება მოდერნიზაციის ორი დამოუკიდებელი კომპონენტია და პროგრესი ერთში, ავტომატურად არ იწვევს წარმატებას მეორეში. პოლიტიკური განვითარება არ არის უნივერსალური, ბუნებრივი და აუცილებლად შეუქცევადი. პოლიტიკური განვითარების ალბათობა პოლიტიკური დაკნინების ალბათობაზე დიდი არ არის. ჰანტინგტონი თვლის, რომ ქვეყნის მოდერნიზაციის ამოსავალ კრიტერიუმს არა პოლიტიკური თავისუფლება, არამედ პოლიტიკური რეჟიმის ეფექტურობა წარმოადგენს. „შეიძლება არსებობდეს წესრიგი თავისუფლების გარეშე, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს თავისუფლება წესრიგის გარეშე“⁵⁷, - ასე აცალიბებს ჰანტინგტონი თავის კრედოს. მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ქვეყნებს შორის არის არა ამ ქვეყნების იდეოლოგიები, არამედ ის, თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებენ ქვეყნების ხელისუფლებები და როგორია ამ ხელისუფლებების მიერ პოლიტიკური წესრიგის უზრუნველყოფის უნარი. განვითარებად ქვეყნებში ლიბერალურმა პრინციპებმა შეიძლება ხშირად ხელი შეუშალოს ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებას, ძალთა გადანაწილების პრინციპმა შეიძლება გამოიწვიოს მმართველობაში ქაოსი, ხოლო „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით“ შეიძლება, და არც თუ ისე იშვიათად, გაიმარჯვონ მოდერნიზაციის მოწინააღმდეგე რეაქციულმა ძალებმა.

ჰანტინგტონი თვლის, რომ ქვეყნის მოდერნიზაციისთვის აუცილებელია ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები. ეფექტურ ინსტიტუციონალიზირებულ პარტიულ სისტემას აქვს უნარი გააფართოოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მონაწილეობა ისე, რომ თავიდან აიცილოს რევოლუციური ქმედებები და პოლიტიკური რღვევები. ხოლო თუ სოციალური მობილიზაცია და პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოება წინ უსწრებს პოლიტიკური

⁵⁶ Huntington, S.P., 2006, *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press.

⁵⁷ Huntington, S.P., 2006, *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press, pp. 7-8.

ინსტიტუტების განვითარებას, პოლიტიკური მონაწილეობა არაორგანიზებული და არათანმიმდევრულია, იღებს ძალადობრივ ხასიათს და ქვეყანა დაკნინების საფრთხის წინაშეა.

ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ მოდერნულობის მისაღწევად მოდერნიზაციის განსხვავებული კომპონენტები გარკვეული თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს. განვითარების, საზოგადოებაში აუცილებელი ცვლილებების გატარების პირველი გამოწვევა არის პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლების კონცენტრაცია. განვითარების მეორე გამოწვევა კი ძალაუფლების გადანაწილებაა. ჰანტინგტონის ამ სტრატეგიას „ავტორიტარული ტრანზიცია“⁵⁸ ეწოდა - როდესაც ავტორიტარული მმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია პოლიტიკური წესრიგი, კანონის უზენაესობა და ყველა პირობა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. ხოლო შემდეგ აღმოცენდება მოდერნულობის დამახასიათებელი სხვა ასპექტები, როგორც არის დემოკრატია და სამოქალაქო მონაწილეობა.

ფუკუიამა თავის წიგნში⁵⁹ მიმოიხილავს პოლიტიკური ევოლუციის საკითხს. ჰანტინგტონის ნაშრომებზე დაყრდნობით ფუკუიამა ამტკიცებს, რომ პოლიტიკური წესრიგი განპირობებულია პოლიტიკური ინსტიტუტებით და რომ, კერძოდ, ლიბერალური დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს წონასწორობა სამ განსხვავებულ ინსტიტუტს - თანამედროვე ტიპის ძლიერ სახელმწიფოს, კანონის უზენაესობას და პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებას - შორის.

თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს ფუკუიამა განსაზღვრავს მაქს ვებერის⁶⁰ კრიტერიუმების მიხედვით. სახელმწიფოს წარუმატებლობის მიზეზი, პირველ რიგში, არაეფექტური ბიუროკრატიაა. ვებერი გამოყოფს ბიუროკრატიული ორგანიზაციის ორ არსებითად გასხვავებულ ტიპს: პატრიმონიალურს და რაციონალურს. პატრიმონიალურობის განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ მმართველობის აპარატი

⁵⁸ წყარო: *Samuel Huntington's Legacy*, <https://foreignpolicy.com/2011/01/06/samuel-huntingtons-legacy/>, წვდომა 2018 წლის 22 მარტი.

⁵⁹ Fukuyama, F., 2011, *The Origins of the Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, New York: Farrar, Straus and Giroux; 2014, *Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy*, New York: Farrar, Straus and Giroux.

⁶⁰ Weber, M., 1946, *From Max Weber: Essays in Sociology*, New York: Oxford University Press; 1978, *Economy and Society*, 2 vols. Berkeley: University of California Press; Weber, M., 1978, *Economy and Society*, 2 vols. Berkeley: University of California Press.

კომპლექტება მმართველის პირადი მსახურებისგან, სახელმწიფო უმნიშვნელოვანეს თანამდებობებს იკავებენ შესაბამისი განათლების და პროფესიონალიზმის არმქონე პიროვნებები, რომლებმაც ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაკარგონ თავისი მდგომარეობა მმართველის ნებით.

განსხვავებულ და საწინააღდეგო მმართველობის ტიპს წარმოადგენს რაციონალური ბიუროკრატია, რომლის დროსაც დაქვემდებარება ეფუძნება არა მმართველის მიმართ ერთგულებას, არამედ რაციონალურად დადგენილი ნორმებით, კორექტულად ფორმულირებულ და გასაჯაროებული წესებით განსაზღვრულ ობიექტურ სამსახურობრივ მოვალეობას. პირადი ერთგულება შეცვლილია მიუკერძოებელი, არაპიროვნული წესრიგით. როგორც აღნიშნავს ერნესტ გელნერი,⁶¹ ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების ლოიალური წევრი დარწმუნებულია მმართველობის ლეგიტიმურობაში, თვლის რომ აუცილებელია მისი და დადგენილი კანონების დაცვა მაშინაც კი, ისინი შესაცვლელია, მაგრამ ის არ აღმერთებს მმართველობის სტრუქტურებს და არ განიცდის თრთოლვას მათ მიმართ, ვინც სოციალურ კიბეზე მასზე მაღლა დგას.

ფრენსის ფუკუიამა ამახვილებს ყურადღებას პატრიმონიალურ და თანამედროვე ნეოპატრიმონიალურ სისტემებზე.⁶² თუ პატრიმონიალური სისტემა ყოვლად მისაღები იყო ყველასთვის, თანამედროვე პირობებში, ნეო-პატრიმონიალურ სისტემებში, ეს პრაქტიკა ფორმალურად გამორიცხულია, მაგრამ ის არსებობს თანამედროვე ტიპის ინსტიტუტების ფასადს მიღმა, ვითომც არსებობს „ნამდვილი“ თანამედროვე ტიპის სახელმწიფო.

ანგარიშვალდებულება, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია მრავალპარტიული არჩევნების სახით, თუმცა ის მხოლოდ არჩევნებით არ შემოიფარგლება: აღმასრულებელი ძალაუფლება შეზღუდულია და გაწონასწორებულია სხვა სამთავრობო ინსტიტუტების მიერ, მოქალაქეებს გააჩნიათ მუდმივად ფუნქციონირებადი არხები (ასოციაციები, სამოქალაქო ორგანიზაციები), თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ერთობლივი მოქმედებისთვის.

⁶¹ Gellner E., 1996, *Conditions of Liberty: Civil Society and its Rivals*, Penguin Books.

⁶² Fukuyama, F., 2011, *The Origins of Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, Farrar, Straus and Giroux; 2014, *Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy*, Farrar, Straus and Giroux.

ფუკუიამას აზრით, მნიშვნელოვანია დემოკრატიის სამი ინსტიტუტის განვითარების თანმიმდევრობაც (ქრონოლოგიური „რიგითობაც“). დღევანდელ ბევრ წარმატებულ დემოკრატიაში ჯერ ძლიერი სახელმწიფო დაარსდა და შემდეგ იქნა უზრუნველყოფილი მოსახლეობისათვის საყოველთაო ხმის უფლება. ანგარიშვალდებულება შესაძლებელია თანამედროვე ტიპის ეფექტური სახელმწიფო აპარატის არსებობის პირობებში. ის ქვეყნები, სადაც დემოკრატია წინ გაუსწრო სახელმწიფო მშენებლობას, გაცილებით უფრო მეტი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. არჩევნებში ხმის მიცემის უფლების გაფართოებამ ბევრ შემთხვევაში გამოიწვია არა ელიტების კონტროლის შემცირება, არამედ კლიენტიზმის - პოლიტიკური ელიტების მიერ ამომრჩევლების ხმების ყიდვის, მანიპულირების - გავრცელება.

თუმცა, ფუკუიამა ამტკიცებს, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას არ გააჩნია რეალისტური ალტერნატივა გარდა იმისა, რომ ააშენონ ძლიერი სახელმწიფოები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის კონტექსტში. აქტიური სამოქალაქო საზოგადოების არ არსებობის პირობებში ავტორიტარულ მმართველს კორუფციის, კლიენტიზმის და მიმტაცებლური პოლიტიკის გატარების მეტი შესაძლებლობა აქვს და უფრო მეტია სახელმწიფოს დასუსტების ალბათობა.

სახელმწიფო მშენებლობა, პირველ რიგში პოლიტიკური აქტია. თანამედროვე სახელმწიფოს სტრუქტურა შეიძლება განპირობებული იყოს კონკრეტული, გარკვეული ფორმალური წესებით (მაგალითად, ოფიციალური პირების შერჩევა არა კავშირების, არამედ დამსახურების საფუძველზე), მაგრამ ამ წესების განხორციელება გარდაუვლად უპირისპირდება გარკვეული პოლიტიკური პირების, რომლებიც სარგებელს იღებენ არსებული მდგომარეობიდან, რომლებსაც არ სურთ თავისი პოზიციების („სკამების“) დათმობა, ინტერესებს. ამიტომ რეფორმების განსახორციელებლად აუცილებელია ამ პირების გზიდან ჩამოცილება და სხვა სოციალური ძალების ორგანიზება, რომლებიც აირჩევენ მმართველობის სუფთა და უფრო ეფექტურ ფორმას.

ფუკუიამა ყურადღებას ამახვილებს განვითარებად ქვეყნებში დასავლეთის სახელმწიფოების თანამედროვე ტიპის ინსტიტუტების გარედან შეტანის პრაქტიკაზე,

რომლის დროსაც არსებობს რისკი იმისა რომ მიიღება “იზომორფული მიმიკრია”,⁶³ დასავლური სახელმწიფო ინსტიტუტები - რაციონალური, მიუკერძოებელი, კანონების ფარგლებში მოქმედი - გარეგანი ფორმებით, მაგრამ ამ ინსტიტუტების შინაარსის გარეშე.

ფუკუიამა ამტკიცებს რომ ეფექტური, ანგარიშვალდებული სახელმწიფოს მშენებლობის ერთადერთი მდგრადი გზა არის ფართომასშტაბიანი სოციალური მოდერნიზაცია, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, შრომის კომპლექსურ დანაწილებას და სოციალური კლასების - განსაკუთრებით კი საშუალო კლასის გაძლიერებას. ფუკუიამას გამოაქვს დასკვნა, რომ „წარმატებული ლიბერალური დემოკრატია მოითხოვს როგორც ძლიერ, ერთიან, მთელ თავის ტერიტორიაზე კანონის აღსრულების შემძლე სახელმწიფოს, ისე საზოგადოებას, რომელიც საკმარისად ძლიერი და შეკრულია საიმისოდ, რომ აიძულოს სახელმწიფო, მის წინაშე ანგარიშვალდებული იყოს. რეალური დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია წონასწორობაზე ძლიერ სახელმწიფოსა და ძლიერ საზოგადოებას შორის”.⁶⁴

1.4. სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების ზუსტ განსაზღვრაზე კონსენსუსი არ არსებობს. ზოგჯერ ტერმინით „სამოქალაქო საზოგადოება“ აღნიშნავენ არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) სექტორს.⁶⁵ ეს მიდგომა 1990 წლებში გაჩნდა და ამჟამად სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მეტად მიღებულ განსაზღვრებას წარმოადგენს. ფართოდაა გავრცელებული სამოქალაქო საზოგადოების წარმოდგენა⁶⁶ გაზიარებული ინტერესების, საერთო მიზნებისა და ღირებულებების საზოგადოებრივი ჯგუფებით, როგორებიცაა დარეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციები, განვითარების

⁶³ Pritchett, L., Woolcock, M. & Matt Andrews, 2017, *Building State Capability: Evidence, Analysis, Action*, Oxford University Press.

⁶⁴ Fukuyama, F., 2011, *The Origins of Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, New York: Farrar, Straus and Giroux, p. 479.

⁶⁵ Clark, J., 1992, *Democratising Development: NGOs and the State*, *Development in Practice*, 2(3): 151-162; Evers, A., 1995, *Part of the Welfare Mix: The 3rd Sector as an Intermediate Area*, *VOLUNTAS: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations*, Vol. 6, pp.159-182; Fernando, J. L. and Heston, A. W., 1997, *NGOs Between States, Markets, and Civil Society*, *The American Academy of Political Science, Annals of the American Academy of Political and Social Science*, 554(1): 8-20; Heurlin, C., 2009, *Governing Civil Society: The Political Logic of NGO-State Relations Under Dictatorship*, *VOLUNTAS: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations*, 21(2): 220-239; Marcussen, H. S., 1996, *NGOs, the State and Civil Society*, *Review of African Political Economy*, 23(69): 405-423; Rocher, C., 1996, *NGOs, Civil Society and the State: Building Democracy in Transitional Countries*, *Development in Practice*, 6(3): 270-271; Sinnar, S., 1995/1996, *Mixed Blessing: The Growing Influence of NGOs*, *Harvard International Review*, 18(1): 54-55, 57, 79.

⁶⁶ Najam, A., 1996, *Understanding the Third Sector: Revisiting the Prince, the Merchant, and the Citizen*, *Nonprofit Management and Leadership*, 7(2): 203-219; Rayner, S. and Malone E.L., 2000. *Security, Governance and the Environment*, *IN Environment and security: Discourses and practices*, Lowi M. & Shaw, B., ed., Basingtoke: Macmillan, pp. 49-65.

საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ჯგუფები, ქალთა ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფესიონალური ასოციაციები, პროფკავშირები, თვითდახმარების ჯგუფები, სოციალური მოძრაობები, ბიზნეს - ასოციაციები, კოალიციები და კონკრეტულ ინტერესთა დამცველი საზოგადოებრივი მოძრაობები.

არასამთავრობო ორგანიზაციებს მოქმედების მეტად ფართო სპექტრი აქვთ, მათ სხვადასხვა პროცესებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი. ისინი შეიძლება საჯარო სივრცეში თავისი წევრების ღირებულებებისა და ინტერესების გამომხატველები იყვნენ, ან შეიძლება ორიენტირებულნი იყვნენ საზოგადოების საერთო საჭირობო საკითხებზე. გარდამავალ პერიოდში, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აქტორები, რეფორმების ან რევოლუციის ავანგარდში მდგომი არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება ოპოზიციაში ჩაუდგნენ სახელმწიფო ხელისუფლებას. არასამთავრობომა აგრეთვე შეიძლება ითანამშრომლონ სახელმწიფოსთან, როდესაც სახელმწიფოს დაკვეთით ისინი უზრუნველყოფენ საჯარო მომსახურებას ან თავად სახელმწიფოს უწევენ ტექნიკურ სამსახურს. გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები (watchdog organizations) ცდილობენ გააუმჯობესონ დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება, ან გარკვეული პროექტების განხორციელებით შეიძლება ემსახურობდნენ თავიანთი დონორების ფილანტროპიულ მიზნებს.

ამ განსაზღვრებიდან ისე ჩანს, თითქოს სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გავუთანაბროთ არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორს. ეს არ არის სწორი. სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს გაცილებით ფართო სპექტრს.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება, როგორც სახელმწიფოს ცნებისგან განსხვავებული, პირველად გაჩნდა XVIII საუკუნეში. ანტიკური ხანიდან განმანათლებლობის ხანამდე სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური საზოგადოების ცნებები სინონიმური იყო.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება გაჩნდა ბერძნულიდან - “koinonia politike”⁶⁷, რომელიც პირველად გამოიყენა არისტოტელემ და ნიშნავს ქალაქის თემს, პოლიტიკურ თემს, უფრო ზუსტად პოლიტიკურ ასოციაციას⁶⁸. ლათინურ თარგმანში koinonia politike გახდა *societas civilis*, და ლათინურიდან მივიღეთ *civil society* - სამოქალაქო საზოგადოება.

არისტოტელეს სწამდა, რომ ყოველ ადამიანში არის პოლიტიკური ასოციაციის შექმნის შინაგანი იმპულსი და ეს იმპულსი ბიძგს აძლევს უმაღლესი ფორმის სოციალური ურთიერთობების განვითარებას. ის თვლიდა, რომ ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი, ცხადია ამ განმარტებაში არანაირ დამამცირებელ აზრს არ დებდა. პოლიტიკა არის თვითორგანიზების საგულდაგულოდ დაგეგმილი და მიზანმიმართული ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს საერთო საზოგადოებრივი ინტერესების მიღწევას .

არისტოტელეს აზრით ყველა ასოციაცია მიზნობრივად იყო შექმნილი. ისინი არსებობდნენ იმიტომ, რომ მათ წევრებს საერთო ინტერესები გააჩნდათ. ადამიანები განსხვავებული მიზნებისთვის ერთიანდებოდნენ, ამიტომ არსებობდა ბევრი ტიპის ასოციაცია. ასოციაციის უმაღლეს ფორმას წარმოადგენდა პოლიტიკური ასოციაცია, ის მოიცავდა და დომინირებდა ასოციაციის ყველა სხვა ფორმაზე, იმიტომ რომ პოლიტიკური მიზნები კაცობრიობის ყველაზე მაღალ მიზნებს წარმოადგენდნენ. არისტოტელესათვის სამოქალაქო საზოგადოება შინაგანად პოლიტიკური იყო.

ჰობსის⁶⁹ და ლოკის⁷⁰ საუკუნეშიც პოლიტიკური საზოგადოება და სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკის თეორიის ურთიერთშემცვლელ ცნებებს წარმოადგენდნენ. პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოება ერთი და იგივე იყო. როგორც ჰობსის, ასევე ლოკის აზრით, სამოქალაქო საზოგადოება იყო პოლიტიკური კავშირი, რომლის საფუძველს დარეგულირებული საერთო თანხმობა წარმოადგენდა. ასეთ პოლიტიკურ კავშირამდე არსებობდა მხოლოდ ბუნებითი მდგომარეობა, ადამიანებს არ გააჩნდათ

⁶⁷ Barker, E., 1958, trans., *The Politics of Aristotle*, London: Oxford U. Press.

⁶⁸ Liddell, H.G. & Scott, R., 1984, *A Greek-English Lexicon*, Oxford: Clarendon, s.v. "koinonia."; Riedel, M., *Between Tradition and Revolution*, 1984, trans., Walter Wright, Cambridge U. Press.

⁶⁹ Hobbes, T. 2010, *Leviathan: Or the Matter, Forme, and Power of a Common-Wealth Ecclesiasticall and Civill*, ed. by Ian Shapiro, Yale University Press.

⁷⁰ Locke, J., 1988, *Two Treatises of Government*, Cambridge University Press;

ერთად თანაარსებობის წესები და არ შეეძლოთ თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჰობსის აზრით, როდესაც ადამიანები გამოვიდნენ ბუნებითი მდგომარეობიდან და შექმნეს სახელმწიფო, სოციალურმა კონტრაქტმა შექმნა უსაფრთხოების საფუძველი. მათ დათმეს ბუნებითი თავისუფლება და გაცვალეს ის სამოქალაქო თავისუფლებაზე, სამოქალაქო თავისუფლება კი იყო ისეთი თავისუფლება, რომ შეეძლოთ ეკეთებინათ ის, რასაც სახელმწიფო კანონით არ კრძალავდა. ჰობსის აზრით სახელმწიფოს გააჩნდა შეუზღუდავი ძალაუფლება ემართა ცხოვრების ყველა ასპექტი, საერო და სასულიერო.

ლოკს მიაჩნდა, რომ ადამიანი თავისი ბუნებით სოციალურია, ეს აიძულებს მას გაერთიანდეს საზოგადოებაში. ამავე დროს ის თავისი ინტერესებისადმი მიკერძოებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეული ადამიანის არც სიცოცხლე და არც საკუთრება არ იქნება დაცული, თუ არ იარსებებს მიუკერძოებელი ავტორიტეტი უთანხმოებების მოსაგვარებლად. აბსოლუტური მმართველი, როგორც ნებისმიერი ადამიანი თავისი ბუნებით მიკერძოებულია, ამიტომ აბსოლუტური ძალაუფლება სახიფათოა და უნდა შეიზღუდოს. ჰობსისგან განსხვავებით, ლოკის აზრით კანონიერ ხელისუფლებას უნდა წარმოადგენდეს არა აბსოლუტური მონარქი, არამედ კონსტიტუციონალური მონარქია.

ლოკი თვლიდა, რომ სოციალური კონტრაქტის საფუძველს წარმოადგენს ინდივიდუალური საჭიროებების, უსაფრთხოებისა და მორალური საერთო მოთხოვნილებების თანაარსებობა. სამოქალაქო საზოგადოება ისეთი პოლიტიკური საზოგადოებაა, რომელშიც სახელმწიფოს ძალაუფლება შეზღუდულია, მთავრობა საზოგადოების ნაწილია, სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს თავის თავში „მთავრობას“, რომელიც სოციალური კონტრაქტის საფუძველზეა შექმნილი, საზოგადოებას გარკვეულ ასპექტებში, უფრო მეტი ძალაუფლება გააჩნია, ვიდრე მთავრობას. ლოკის „სამოქალაქო საზოგადოება“ არ გულისხმობს სუვერენი მმართველისთვის ყველა უფლების უპირობო დათმობას. ადამიანებს აქვთ უფლება დაითხოვონ მთავრობა, თუ მთავრობა დესპოტურია. ლოკმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, როგორც სახელმწიფოსა და

სამოქალაქო საზოგადოებას შორის განსხვავების შეტანაში, ასევე ხელისუფლების ლეგიტიმურობის იდეაში.

ჰეგელმა⁷¹ გერმანულ ფილოსოფიაში პირველმა აღნიშნა, რომ პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის არსებობს გარკვეული საზოგადოებრივი სფერო - სამოქალაქო საზოგადოება, სადაც თანაარსებობს და კონკურენციას უწევს ერთმანეთს მრავალი განსხვავებული ინტერესი. სამოქალაქო საზოგადოება ოჯახთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფოს ბაზისს, ცალკეული ინდივიდების კერძო განსაკუთრებული ინტერესების სფეროს, საზოგადოების კომერციულ სექტორს და მის ინსტიტუტებს. განსხვავებული სპექტრის ინსტიტუტების არსებობა უზრუნველყოფს იმას, რომ რომელიმე ერთის ინტერესი არ გაბატონდეს სხვებზე, ეს ინსტიტუტები უზრუნველყოფენ თანაარსებობის შესაძლებლობას და აგრეთვე ასრულებენ შუამავლის როლს საზოგადოების ინდივიდუალური წევრების ინტერესებსა და სახელმწიფოს უნივერსალურ ინტერესებს შორის. ინდივიდების, მათი გაერთიანებების, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ფენების განსხვავებული ინტერესების შეუთავსებლობის გამო, მიუხედავად კანონების და სასამართლოების არსებობისა, სამოქალაქო საზოგადოება ვერ არეგულირებს წარმოქმნილ სოციალურ უთანხმოებებს. ამიტომ საჭიროა ზემდგომი პოლიტიკური ძალა - სახელმწიფო. სამოქალაქო საზოგადოებაში ინდივიდი განუყოფელია სახელმწიფოსაგან იმ მხრივ, რომ სახელმწიფო განსაზღვრავს კანონებს, რომლებიც ზღუდავენ ინდივიდების და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების სფეროების საქმიანობებს, მაგრამ ამ სფეროების შიგნით სახელმწიფო არ ერევა და ქმედებები ხორციელდება მონაწილეთა ინდივიდუალური და/ან კოლექტიური შეთანხმებების საფუძველზე. ამ მხრივ სამოქალაქო საზოგადოება ავტონომიურია სახელმწიფოსგან.

ჰეგელი თვლის, რომ პროგრესული განვითარების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებაში სოციალური დაპირისპირებების და კონფლიქტების არსებობა. სამოქალაქო საზოგადოება შინაგანად წინააღმდეგობრივია, პლურალისტურია. მისი საფუძველია კერძო საკუთრება, სოციალური დიფერენციაცია და ინტერესთა

⁷¹ Brooks, T., 2012, Hegel's Philosophy of Right, Wiley-Blackwell; 1 edition.

მრავალფეროვნება. სამოქალაქო საზოგადოების ამოსავალ მომენტს წარმოადგენს პიროვნების კერძო ინტერესი. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია მიაღწიოს თავის მიზანს სხვისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე. რადგანაც სამოქალაქო საზოგადოება არის კერძო და საერთო ინტერესების გარემო, ყოველმხრივ დამოკიდებული სისტემა, სამოქალაქო საზოგადოებაში პირადი მიზნები მიიღწევა და კერძო ინტერესები სრულდება არა პირდაპირ, არამედ ირიბად, მხოლოდ საზოგადოებრივი მიზნების და ინტერესების მიღწევით და დაკმაყოფილებით.

ჰეგელი მის თანამედროვე ევროპულ სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურაში გამოჰყოფს მიწათმოქმედთა, მეწარმეთა და საყოველთაო (სახელმწიფო მოხელენი, სამხედროები) ფენებს. თუ მიწადმოქმედთა ფენისთვის ძირითადს წარმოადგენს ბუნება, ჰეგელი ამბობს, რომ მეწარმე ინდივიდი მთლიანად დამოკიდებულია თავის თავზე, მისთვის არსებითია მისი საქმიანობა და ეს დამოკიდებულება დაკავშირებულია მართლწესრიგთან. ამიტომ, თვლის ჰეგელი, თავისუფლების და წესრიგის გაცნობიერება ძირითადად მოხდა ქალაქებში. მეწარმეთა ფენისთვის დამახასიათებელია კორპორაციები, რომელთა საქმიანობა ხასიათდება მაღალი სპეციალიზაციით და შრომის დიფერენციაციით. კორპორაციებში ერთიანდებიან მეწარმეთა ფენის წარმომადგენლები თავისი უნარების, საქმიანობის და ინტერესების მიხედვით. კორპორაცია არის სოლიდარობის ჯგუფი, სამოქალაქო საზოგადოების წევრების ცხოვრების ატომიზირების წინააღმდეგ ბრძოლის, ინდივიდის საერთოსთან დაკავშირების საშუალება. კორპორაციები გარკვეულწილად იცავენ სარეწაო თავისუფლებას, საკუთრების განკარგვის თავისუფლებას, კერძო ინიციატივის თავისუფლებას და ა. შ.

ჰეგელი თვლის, რომ ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს გარკვეულ სოციალურ ფენას, განსაზღვრული სოციალური თვითიდენტიფიკაციის გარეშე ადამიანი არასრულყოფილია, სოციალური ფენის გარეშე ის მხოლოდ კერძო პირია და არ არსებობს რეალურ ერთობაში.

თავისუფალი ნებაყოფლობითი ასოციაციების, როგორც „შუალედური ინსტიტუტების“, ცნებას ცენტრალური ადგილი უკავია ფრანგი ფილოსოფოსის ალექსის დე ტოკვილის⁷² სამოქალაქო ცხოვრების ხედვაში. ალექსის დე ტოკვილი თვლის რომ მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის შუალედური ინსტიტუტის - სამოქალაქო საზოგადოების არსებობა კაცობრიობის განვითარების და ცივილური ცხოვრების ცენტრალურ კონცეფციას წარმოადგენს. დამოუკიდებელ ასოციაციებებში მოქალაქეთა გაერთიანებების თავისუფლება არის ჭეშმარიტი თავისუფლების განუყოფელი ნიშანი. დამოუკიდებელი ასოციაციების საშუალებით მოქალაქეები უზრუნველყოფენ თავის სოციალურ უფლებებს: თავისუფლებას და თანასწორობას, სწავლობენ თავის ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის ალების ხელოვნებას, თავისი კონკრეტული ინტერესების დაცვას. ადამიანები რომ იყვნენ ცივილიზებულნი ან გახდნენ ასეთები, თანასწორობასთან ერთად, საჭიროა ჰქონდეთ საერთო ინტერესების ირგვლივ გაერთიანების უნარი, აღიქვან ერთმანეთი, როგორც ერთი მთლიანი და სწამდეთ, რომ საერთო ინტერესი მათი კერძო ინტერესიცაა. დე ტოკვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სამოქალაქო მონაწილეობას ხალხი გამოჰყავს ვიწრომამტაბიანი, შემოსაზღვრული, ჩაკეტილი წრიდან და აღვივებს მათში კოლექტიური პასუხისმგებლობის შეგრძნებას.

სამოქალაქო ასოციაციები არსებობენ საზოგადოების ყველა სექტორში, მრეწველობა იქნება ეს თუ სხვა სექტორები. თუ პოლიტიკურ და რელიგიურ საზოგადოებებში ინდივიდებს შორის ურთიერთობები ჩინების, უფროს-უმცროსობის მიხედვითაა, სამოქალაქო გაერთიანებებში ურთიერთობები თანასწორ ინდივიდებს შორის ურთიერთობებია და თავისუფალია როგორც სახელმწიფო, ისე ეკლესიის კონტროლისაგან. ვინაიდან დამოუკიდებელ ასოციაციებს ყველას თავისი ინტერესების სფერო აქვს და არა მთელი საზოგადოების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, კანონების დასაცავად და სახელმწიფოს სტაბილურობის და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მთავრობის ამოცანაა სოციალური და

⁷² Tocqueville, Alexis de, 2006, *Democracy in America*, Harper Perennial Modern Classics.

პოლიტიკური ასოციაციების საქმიანობების დარეგულირება, თუმცა თვით ასოციაციების მუშაობაში ვერ ერევა.

მიიჩნევა, რომ თუ ინდივიდები გაერთიანდებიან თავისუფალ პოლიტიკურ და სოციალურ ასოციაციებში, ისინი გააწონასწორებენ სახელმწიფოს ზეწოლას. დე ტოკვილი თვლის, რომ თუ ინდივიდები სამოქალაქო ასოციაციების საქმიანობებში ჩაერთვებიან, შეძლებენ წინდაუხედავი ეგოიზმის გადალახვას, ერთმანეთის ნდობის მოპოვებას, მოლაპარაკებებით პრობლემების გადაჭრას და საერთო ინტერესების დაცვას, თავის თავში იმ უნარ-ჩვევებისა და განწყობა-დამოკიდებულებების გამომუშავებას, რომლებიც დადებითად იმოქმედებენ საჯარო სფეროზე. ასეთ დამოკიდებულებას დე ტოკვილი უწოდებს სამოქალაქო სულს. თუ მოქალაქეები ვერ განახორციელებენ ამ ტიპის მონაწილეობას, ისინი დაკარგავენ თვითორგანიზების პრაქტიკულ ჩვევებს, მათ ინტერესებს გააკონტროლებს მთავრობა, დამკვიდრდება ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია და მოქალაქეებს პრაქტიკულად არანაირი ძალაუფლება არ ექნებათ.

დე ტოკვილის თანახმად, თანამედროვე დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენს ინდივიდუალიზმის გაძლიერების ტენდენცია. ის თვლის, რომ ინდივიდუალიზმი ნიშნავს იზოლაციას, პასუხისმგებლობისაგან გაქცევას, საერთო ინტერესების დასაცავად გაერთიანების უნარის დაკარგვას. ასეთ შემთხვევაში ადამიანები სიძნელეებს განცალკავებულად ვერ უმკლავდებიან და მიმართავენ სახელმწიფოს. სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებებს მოქალაქეების ყოველდღიურ პრობლემებზე, ღებულობს უფრო მეტ და მეტ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე, ხდება სუვერენული ძალაუფლების მატარებელი და დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმოცენდება დესპოტიზმი. დე ტოკვილი თვლის, რომ თავისუფალი ასოციაციების დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის შენარჩუნებით შესაძლებელია ცენტრალური ხელისუფლების დესპოტიზმის პრევენცია და პირიქით, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეების სუსტი ჩართულობა ზრდის ხელისუფლების ცთუნებას, მოახდინოს ძალაუფლების უზურპაცია.

ბიზნესის უპირატესობა, ნებისმიერი გზით გამდიდრების სურვილი, მოგების სიყვარული, მატერიალური სიამოვნებები და კომფორტი - ყველაზე ფართოდ გავრცელებული სურვილებია. ისინი იოლად ვრცელდებიან საზოგადოების ყველა ფენაში და თუ მათ არაფერი შეაჩერებს, ეს გამოიწვევს მთელი ერის დემორალიზაციას და დეგრადაციას. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე შეიძლება გავატაროთ განსხვავება იმ თავისუფლებას შორის, რომელიც მატერიალური მოთხოვნილებების დაუოკებელ ლტოლვას უწყობს ხელს და იმ თავისუფლებას შორის, რომელსაც მივყავართ თვითორგანიზაციის პრინციპამდე, ღირსეული მოქალაქის ცხოვრების სტილამდე.

მნიშვნელოვანი, რაც ახასიათებთ სამოქალაქო ჯგუფებს არის - ინსტიტუციონალიზირებული მოქმედება. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდები ერთიანდებიან და ერთად მოქმედებენ არა მხოლოდ ერთჯერადად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, სპორადულად, არამედ რუტინულად, ყოველდღიურად. ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გავლენა მხოლოდ ინსტიტუციურ ქმედებებს აქვს.

დე ტოკვილი ამბობს, რომ ყველა დროს განათლება ეხმარება ადამიანებს დაიცვან თავისი დამოუკიდებლობა, ეს განსაკუთრებით ასეა დემოკრატიის საუკუნეში, მნიშვნელოვანი ცოდნა, ჭკუა და გამოცდილებაა საჭირო, რომ დამოუკიდებელ, მაგრამ ინდივიდუალურად სუსტ მოქალაქეებს შორის შეექმნათ თავისუფალი ასოციაციები, რომლებიც წიაღმდეგობას გაუწევენ ტირანიას საზოგადოებრივი წესრიგის განადგურების გარეშე.

სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს საზოგადოების საერთო ინტერესებს, მიზნებს და ღირებულებებს და ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა თავიანთი ორგანიზაციების მეშვეობით შეიძლება გამოიწვიონ ან პირიქით, თავიდან აიცილონ ცვლილება ამა თუ იმ სფეროში. მართლაც ის მოტივები, მიზნები და ფასეულობები რომლებიც გააჩნიათ ინდივიდებს და რომლებსაც თავის წიგნში დემოკრატია ამერიკაში ალექსის დე ტოკვილი უწოდებს „გულის ჩვეულებებს“, გავლენას ახდენენ მთელ საზოგადოებაზე, ხელისუფლებაზე და აგრეთვე პოლიტიკურ აზროვნებაზე.

შეიძლება დავასკვნათ - სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს უწყობს ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნას, განვითარებას და გავრცელებას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოებაზე ასეთ შეხედულებაში შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს მონაწილეობის ისეთი ფორმები, რომლებიც სცილდება სხვადასხვა ასოციაციებსა და ორგანიზაციებში უშუალო მონაწილეობას: მაგალითად, ინტერნეტით ვირტუალური მონაწილეობა, რაც თანამედროვე დემოკრატიაში წარმოადგენს მონაწილეობის მნიშვნელოვან ელემენტს.⁷³

ხოლო თუ საზოგადოების წევრებს არ გააჩნიათ თვითორგანიზების ჩვევები, ამან შეიძლება გამოიღოს ის სავალალო ეკონომიკური თუ სოციალური შედეგები, რომელზეც ბენფილდი საუბრობს თავის ნაშრომში.⁷⁴ სამხრეთ იტალიის ერთ-ერთ ქალაქში მან საინტერესო ფაქტი აღმოაჩინა: ქალაქისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო სკოლა, საავადმყოფო და ქარხანა. მაგრამ საზოგადოების მდიდარ წევრებს, მიუხედავად კაპიტალის და სამუშაო ძალის არსებობისა, არც სურვილი ჰქონდათ და არც მიაჩნდათ საჭიროდ აეშენებინათ ისინი. მათი რწმენით ასეთ საკითხებზე პასუხიმგებელი სახელმწიფო იყო.

ბენფილდმა დაასკვნა, რომ ამ ქალაქის თითქოს ყველა მაცხოვრებელი იცავდა გარკვეულ წესს: მაქსიმალურად გაეზარდა თავისი ოჯახის მოკლევადიანი მატერიალური მოგება; ასეთ საქციელს შეიძლება ეწოდოს ამორალური მეოჯახეობა.

ასეთ საზოგადოებებში ნებაყოფლობითი ასოციაციები სუსტად არის განვითარებული, მათში რთულია ერთობლივი ქმედებების ორგანიზება და შენარჩუნება; უნდა არსებობდეს, გარკვეულ წილად, არაეგოისტური და არამატერიალური მოტივები; უფრო მეტიც, საჭიროა ნდობის არსებობა საზოგადოების წევრებს შორის და ლოიალობა ორგანიზაციის მიმართ. თუ ადამიანებს შორის ნდობის ერთადერთ საფუძველს მხოლოდ ნათესაური კავშირები წარმოადგენს, არავინ არ დაიცავს ჯგუფის ინტერესებს, თუ ამით თვითონ ის არ მიიღებს სარგებელს.

⁷³ Wallace, C. & Pichler, F., 2009, *More Participation, Happier Society? A Comparative Study of Civil Society and the Quality of Life*, Social Indicators Research, 93(2): 255-274.

⁷⁴ Banfield, D. C., 1958, *The Moral Basis of a Backward Society*, Glencoe, IL: Free Press.

ასეთ საზოგადოებაში იგულისხმება, რომ მხოლოდ უფლებამოსილმა პირებმა უნდა იფიქრონ საზოგადოებრივ საქმეებზე იმიტომ, რომ ისინი ღებულობენ ამაში ხელფასს. კერძო პირისთვის საზოგადოებრივი საკითხების მიმართ სერიოზული ინტერესი არ არის ნორმალური, უფრო მეტიც - უღირსია. ნებისმიერი, ვინც განაცხადებს, რომ მას კერძო ინტერესი კი არა, საზოგადოებრივი ინტერესი ამოძრავებს, მატყუარად ჩაითვლება.

სახელმწიფო მოხელეების თავგასული ქცევის შეზღუდვა თითქმის შეუძლებელია, რადგან ეს მხოლოდ სხვა მოხელეების საქმეა. როცა შესაძლებელია, მოხელე აიღებს ქრთამს და მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა ის ქრთამს, ყველა მაინც ჩათვლის, რომ ის მექრთამეა.

ორგანიზაციების ხელმძღვანელები იმაზე მეტს არ გააკეთებენ, რაც საჭიროა თანამდებობების შესანარჩუნებლად ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, დასაწინაურებლად. მსგავსად, პროფესიონალებს და განათლებულ ადამიანებს არ აქვთ არავითარი დაინტერესება. ოფიციალური თანამდებობები და სპეციალური მომზადება განხილვა როგორც სხვების წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

ასეთ საზოგადოებაში თვლიან, რომ ძალაუფლების მქონე ნებისმიერი ჯგუფი ეგოისტური და კორუმპირებულია. საარჩევნო ბიულეტენი გამოიყენება მატერიალური მოკლევადიანი მოგების მიზნით. ამომრჩეველი ყურადღებას არ აქცევს პოლიტიკური პარტიების დაპირებებს. ის ხმას მისცემს იმათ, ვისგანაც უკვე მიიღო გარკვეული სარგებელი. ხოლო თავად პარტიული მუშაკები თავის მომსახურებას იმათ სთავაზობენ, ვინც უფრო მეტს გადაუხდის. მათი მიდრეკილება გამოიცვალონ პარტიები, გადავიდნენ ერთი პარტიიდან მეორეში, აიხსნება არჩევნებზე პარტიების მიერ მიღებული შედეგებით. ასეთ საზოგადოებაში კანონი დაირღვევა, როცა არ იქნება დასჯის რისკი. სუსტი უპირატესობას მიაწიჭებს ისეთ რეჟიმს, რომელიც ძლიერი ხელით შეინარჩუნებს წესრიგს. ასეთ საზოგადოებაში არანაირი კავშირი არ არსებობს აბსტრაქტულ პოლიტიკურ პრინციპებსა და კონკრეტულ ქცევას შორის ყოველდღიურ ცხოვრებაში. არ არიან ლიდერები და არ არიან მათი მიმდევრები. არავინ არ წამოიწყებს საქმეს და არ დაარწმუნებს რამეში ადამიანებს, თუ ეს მის კერძო ინტერესში არ შედის, ხოლო თუ ვინმე

შემოვა წინადადებით, რომ ის იქნება ლიდერი, უნდობლობის გამო ხალხი მას არ გაყვება. ასეთ საზოგადოებაში ნებისმიერ გაუმჯობესებას ადამიანი დააფასებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ცვლილებების შედეგად სარგებელს ნახულობს ის და მასთან დაახლოებული პირები. ის წინააღმდეგი იქნება იმ გაუმჯობესებების, რომელიც პირადად მას არ მოუტანს სიკეთეს იმიტომ, რომ ის თავის ცხოვრებას მეზობლებთან შედარებით აფასებს.

მკვლევარებს შორის, რომლებიც შეისწავლიან კავშირს სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის, კითხვაზე არის თუ არა სამოქალაქო საზოგადოების არსებობა პოლიტიკური მონაწილეობის წინაპირობა, აზრთა სხვადასხვაობაა. ერთის მხრივ, არსებობს კვლევები,⁷⁵ რომელთა მიხედვითაც კავშირი სამოქალაქო ასოციაციებში ჩართულობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის სუსტია ან საერთოდ არ არის. არსებობს არაპოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებშიც მონაწილეობა არ წარმოადგენს პოლიტიკური მონაწილეობის წინაპირობას. მეორეს მხრივ არსებობენ ორგანიზაციები, რომლებთანაც ახასიათებთ გარკვეული პოლიტიკური ელემენტები, გარკვეულ პირობებში ერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში. რაც უფრო ცალსახად არის ორგანიზაცია პოლიტიკური, მით უფრო ძლიერი კავშირი აქვს პოლიტიკურ მონაწილეობასთან.⁷⁶ არსებობს მკვლევართა ჯგუფი,⁷⁷ რომლებიც ამტკიცებენ, რომ რაც უფრო დიდია სამოქალაქო ორგანიზაციაში ჩართულობის დონე, მით ძლიერია პოლიტიკური მონაწილეობა. ამგვარად სამოქალაქო ორგანიზაციებში ჩართულობა ღირებულია იმიტომ, რომ ის იწვევს პოლიტიკური მონაწილეობის გააქტიურებას. ინდივიდი სამოქალაქო ასოციაციებში მონაწილეობით იძენს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, საერთო პრობლემების მოგვარების მიზნით თანამშრომლობის

⁷⁵ Foley, M. W. and Edwards, B., 1999, *Is it Time to Disinvest in Social Capital?* Journal of Public Policy, 19(2): 141-174; Kasse, M., 1999, *Interpersonal Trust, Political Trust, and Non-Institutionalized Political Participation in Western Europe*, West European Politics, 22(3): 1-21; Newton, K., 2001, *Trust, Social Capital, Civil Society, and Democracy*, International Political Science Review, 22(2): 201-214; Norris, P., 2002, *Democratic Phoenix: Reinventing Political Activism*, Cambridge University Press; Uslander, E. M., 2002, *The Moral Foundations of Trust*, Cambridge University.

⁷⁶ Sobieraj, S. and White, D., 2004, *Taxing Political Life: Reevaluating the Relationship Between Voluntary Association Membership, Political Engagement, and the State*, The Sociological Quarterly, 45(4): 739-764.

⁷⁷ Ehrenberg, J., 1999, *Civil Society: The History of An Idea*, New York University Press; Erickson, B. and Nosanchuk, T. A., 1990, *Sociology and Anthropology*, 27(2): 206-220; Klostad, C. A., 2005, *The Art of Associating: The Causal Influence of Peers on Civic Participation*, Unpublished paper, University of Miami; Lake, R. L. & Huckfeldt, R., 1998, *Social Capital, Social Networks, and Political Participation*, Political Psychology, 9(3): 567-584; Leighley, J. E., 1990, *Social Interaction and Contextual Influences on Political Participation*, American Politics Quarterly, 18(4): 459-475; Putnam, R., 1993, *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*, Princeton University Press; Verba, S., Scholzman, K. L. and Brady, H., 1995, *Voice and Equality: Civic Voluntarism in American Politics*, Cambridge, MA: Harvard University Press; Torpe, L., 2003, *Democracy and Associations in Denmark: Changing Relationships Between Individuals and Associations?* Nonprofit and Voluntary Sector Quarterly, 32(3): 329-343; McClurg, S. D., 2003, *The Role of Social Networks in Explaining Political Participation*, Political Research Quarterly, 56(4): 449-464.

უნარს. შესაძლოა განსხვავება მკვლევარების შეხედულებებში იმით იყოს განპირობებული, რომ ყველა სამოქალაქო ორგანიზაციას ერთნაირი პოლიტიკური გავლენა არ აქვს.

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური მონაწილეობა წარმოადგენს რეალური ძალაუფლების მეორე ელიტების პოლიტიკურ საქმიანობაზე სოციალური ჯგუფების ლეგიტიმური ზეწოლის სისტემას. ადრე პოლიტიკურ მონაწილეობაზე საუბრისას ძირითადად ყურადღება მახვილდებოდა ელექტორალურ პროცესებზე. დღეს პოლიტიკური მონაწილეობის ქვეშ ესმით განსხვავებული ტიპის აქტივობები, როგორიცაა მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა, ამომრჩეველთა მობილიზაცია, საპროტესტო მარშები და დემონსტრაციების სხვადასხვა ფორმები. ვერბა და ნაი⁷⁸ პოლიტიკურ მონაწილეობას განსაზღვრავენ როგორც კერძო მოქალაქეთა ისეთ აქტივობებს, რომელთა მიზანი მეტწილად არის სახელისუფლებო პერსონალზე და/ან მათ ქმედებებზე გავლენის მოხდენა. ისინი პოლიტიკურ მონაწილეობად არ მიიჩნევენ საზოგადოებრივი მონაწილეობის ისეთ ფორმებს, რომელთა მიზანი არ არის ხელისუფლებაზე ზეწოლის განხორციელება. ასეთია ცერემონიალური თანადგომები, მაგალითად როგორიცაა ადღუმებში მონაწილეობა, რადგან ადღუმში მონაწილეობა არ მოიცავს გავლენის მოხდენის ელემენტს. ზოგადად, მცირე გამონაკლისის გარდა, სხვა პოლიტიკური მეცნიერებიც ამ შეხედულებას ემხრობიან. თუმცა დიდწილად მონაწილეობის ფორმები პოლიტიკური პოტენციალის მატარებელია. ლესტერ მილბრატი და გოელი⁷⁹ პოლიტიკურ მონაწილეობად განიხილავენ მოქალაქეთა ისეთ ქმედებებს, რომელთა საშუალებითაც მოქალაქენი ცდილობენ ან მხარი დაუჭირონ ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას ან გავლენა მოახდინონ მასზე. მონაწილეობის ეს განსაზღვრება მოიცავს მონაწილეობის ფართო სპექტრს, როგორც წამომადგენლობითი მთავრობის ინსტიტუციური არხების გამოყენებას, მაგალითად არჩევნებში მონაწილეობას, ასევე ხელისუფლების გამოწვევების წინაშე (გაფიცვები, დემონსტრაციებში მონაწილეობა და ა.შ.) დაყენებას. გ. პერი⁸⁰ თვლის, რომ მონაწილეობა

⁷⁸ Verba, S. and Nie, N., 1972, *Participation in America: Political Democracy and Social Equality*, New York Harper and Row.

⁷⁹ Lester W. M. and Goel, M.L., 1977, *Political Participation*, Chicago: Rand McNally, 8(2): 269.

⁸⁰ Parry, G., 1972, *The Idea of Political Participation*, ed., Participation in Politics, Manchester University Press, p. 3-38.

არის პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისთვის აუცილებელი საშუალება, ხოლო თავად ძალაუფლება სახელმწიფო რესურსების გადანაწილებაზე ახდენს გადაწყვეტ გავლენას. დემოკრატიაზე და დემოკრატიის მოთხოვნილებებზე საუბრისას აღნიშნავენ⁸¹ რომ პოლიტიკური მონაწილეობა ლეგიტიმაციის აქტია. თუ მოქალაქეები მონაწილეობას დებულობენ პოლიტიკურ პროცესებში არჩევნების საშუალებით ან სხვა ფორმებით, ისინი ეთანხმებიან მთავრობის გადაწყვეტილებებს და ამგვარად აკანონებენ ამ გადაწყვეტილებებს და რეჟიმს, რომელმაც ეს გადაწყვეტილებები მიიღო.

სამოქალაქო საზოგადოება არსებობს და ფუნქციონირებს სახელმწიფოსთან ერთიანობაში. დემოკრატიული მმართველობის პირობებში, მას მჭიდრო კავშირი აქვს და ურთიერთობს სახელმწიფოსთან, ავტორიტარული მმართველობის დროს კი - სახელმწიფოს მიმართ იმყოფება ან პასიურ ან აქტიურ ოპოზიციაში.

რობერტ დ. პატნემი⁸² ამტკიცებს, რომ დემოკრატიული მმართველობა ყველაზე მეტად ეფექტურია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, სამოქალაქო ასოციაციები ხელს უწყობენ მმართველობის ეფექტურობასა და სტაბილურობას. პოლიტიკური ორგანიზაციები მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ სოციალური ფუნდამენტის გარეშე და ფართო სოციალური კონტექსტის გარეშე მათი განვითარება წარმოუდგენელია. პოლიტიკური ორგანიზაციები რომ ამუშავდნენ, აუცილებელია არსებობდეს სამოქალაქო ასოციაციების ქსელი, რომელიც საშუალებას მისცემს ადამიანებს, გაერთიანდნენ არაპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს ასოციაციები აქტიურად მოქმედებენ და ვითარდებიან, ვითარდება პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობებიც. ასეთი ასოციაციები აერთიანებენ მსგავსი ღირებულებების ადამიანებს, რომლებიც საჭიროებისამებრ ერთმანეთს დახმარებას აღმოუჩენენ, ამ ასოციაციების საშუალებით ინდივიდები სწავლობენ ერთმანეთთან ურთიერთობას, ასეთი გაერთიანებებით იქმნება სოციალური ქსელები.

⁸¹ Locke, J., 1988, *Two Treatises of Government*, Cambridge University Press; Schumpeter, J., 1942, *Capitalism, Socialism and Democracy*, New York, Harper Perennial.

⁸² Putnam, R. D., 1994, *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*, Princeton University Press; 2001, *Bowling alone: The Collapse and Revival of American Community*, 1st ed. Touchstone Books by Simon & Schuster.

ასოციაციები თავიანთ წევრებში ხელს უწყობენ თანამშრომლობის, სოლიდარობის და საზოგადოებრივი საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას. მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი (არა-პოლიტიკურშიც) ორგანიზაციების ცხოვრებაში, მეტ ინტერესს იჩენენ საჯარო საკითხების მიმართ. სამოქალაქო თემის წევრები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მათ ამოძრავებთ არა მხოლოდ კერძო ინტერესები, არამედ საჯარო სიკეთეებიც. უთანხმოების დროსაც, ისინი ენდობიან და პატივს სცემენ ერთმანეთს. და რაც მნიშვნელოვანია, ინდივიდების თანამშრომლობის და საჯარო ურთიერთობების ორგანიზების უნარი ზრდის მათ შესაძლებლობას გააკონტროლონ ხელისუფლება. ქმედითი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, მთავრობა რეაგირებს მოსახლეობის მოთხოვნებზე და, შედეგად, უფრო ეფექტურად და სამართლიანად ფუნქციონირებს.

ინსტიტუციონალიზაციის საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი, კერძოდ თედა სკოპოლი⁸³ ამტკიცებს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები წარმოადგენენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე სახალხო გავლენის უშუალო ზემოქმედების წყაროებს და სიკეთე მოაქვთ, როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის.

პიერ მანანი თავის ნაშრომში⁸⁴ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დემოკრატიის ყველაზე გამორჩეული დამახასიათებელი ნიშანი არის განცალკავების სისტემა. ეს მოიცავს, როგორც ძალაუფლების გადანაწილებას სამთავრობო ორგანოებს შორის, ისე ურთიერთობებს განსხვავებული ინტერესების მქონე სოციალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც ზღუდავენ, აწონასწორებენ და შედეგად ზიანს ვერ აყენებენ ერთმანეთს. და ამ გზით დემოკრატიის განცალკავების სისტემა წარმოშობს თავისუფლების სისტემას.

თავისი არგუმენტების განსამტკიცებლად ის მიუთითებს მონტესკიეს ნაშრომზე,⁸⁵ რომელშიც საუბარია რამდენიმე, ძირითადად ორი ტიპის განცალკავებაზე: პირველი -

⁸³ Skocpol, T., 2004, *Diminished Democracy: from Membership to Management in American Civic Life*, The Julian J. Rothbaum Distinguished Lecture Series, Norman: University of Oklahoma Press.

⁸⁴ Manent, P., 2003, *Modern Democracy as a System of Separations*, *Journal of Democracy* 14(1): 114–125.

⁸⁵ Montesquieu, Charles de, 1989, *The Spirit of the Laws*, eds., by Cohler, A. M., Miller, B. C. and Stone H. S., Cambridge University Press.

წარმომადგენლებსა და მათ შორის, ვისაც წარმომადგენლები წარადგენენ, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამთავრობო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის; მეორე - ძალაუფლების გადანაწილება სამთავრობო ორგანოებს - აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის. საკანონმდებლო შტო, რომელიც შედგება ხალხის წარმომადგენლებისგან, პრინციპულად წარმომადგენლობითი ძალაუფლების ერთადერთი მატარებელია. თუმცა, როგორც აღნიშნავს მონტესკიე, აღმასრულებელ შტოსაც გააჩნია წარმომადგენლობითი ფუნქცია: აღმასრულებელ შტოს ყავს თავისი მომხრეები, პირველ რიგში ისინი, ვინც თვლის რომ საკანონმდებლო ორგანო მათ სათანადოდ ვერ წარმოადგენს.

ასე რომ, პოლიტიკურ თამაშში ოთხი ძირითადი მხარე მონაწილეობს: მთავრობის დონეზე - აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლება, ხოლო საზოგადოების დონეზე - აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლების მატარებელი პირების მომხრეები. აქტორები კონკრეტული ძალაუფლების მატარებელი შტოს მეშვეობით ცდილობენ განახორციელონ თავისი მიზნები. მაგრამ ისინი ვერ ღებულობენ შედეგს ვერც დაუყოვნებლივ და ვერც პირდაპირ, იმიტომ რომ ძალაუფლების ორგანო, რომელშიც მათ თავისი იმედების ინვესტირება მოახდინეს, შეზღუდულია, კონკრეტულ საზღვრებში მოქმედებს და ფხიზლად კონტროლდება ძალაუფლების სხვა ორგანოს მიერ. საზოგადოებრივი ძალები ასევე დანაწევრებულია, მოქალაქეები თავის ძალებში შეზღუდულები არიან და ზიანს ვერ აყენებენ ერთმანეთს. მოვლენების ისეთი განვითარება, როდესაც ერთს ისე დიდი უმრავლესობა უჭერდეს მხარს, რომ მან შეძლოს გაანადგუროს მეორე და მისი მომხრე უმცირესობა, მონტესკიეს აზრით ნაკლებად სავარაუდოა, როგორც თვითონ უწოდებს „თავისუფლების ეფექტი“ - დან გამომდინარე: მოქალაქეები მომხრეები არიან ძალაუფლების იმ შტოსი, რომელიც მოსწონთ ან რომლისგანაც სიკეთეებს ელოდებიან, მაგრამ ყოველთვის და პირველ რიგში ისინი საზოგადოების წევრები არიან, იმ საზოგადოების, რომელშიც ორივე - აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლებები განცალკავებულია. თუ ამათგან რომელიმე მეტად გაძლიერდება ან გადაჭარბებულად პრეტენზიული გახდება, მისი მომხრეების გარკვეული ნაწილი (დაწყებული ნაკლებად ინდირეფენტულებებიდან) თავს საფრთხეში

იგრძნობს. ასეთ სისტემაში მოქალაქეებს ცხადია უნდათ, რომ ეს ძალა მათ ინტერესებს ემსახურებოდეს, მაგრამ მათ აგრეთვე სურთ, რომ ის საზოგადოებას მეტისმეტად მძიმედ არ დააწვეს. ამიტომ როდესაც არსებობს საფრთხე იმისა, რომ ამ ორი ძალიდან ერთმა შეიძლება მოიპოვოს სრული ბატონობა, მოქალაქეები მეორეს მიემხრობიან და ასე ძალაუფლების მატარებელი ორივე მხარე თავისი შესაძლებლობებით რჩება თანასწორი. ძალაუფლების განცალკავების ამ სისტემაში არც მოქალაქეებს არ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ერთმანეთს და არც ძალაუფლების მატარებელ შტოებს არ შეუძლიათ მოქალაქეთა შევიწროება და დაჩაგვრა. ამ მდგომარეობას, როდესაც ძალაუფლების მატარებელი როგორც საზოგადოება ისე ხელისუფლება შეზღუდულია ძალის გამოყენებაში, მონტესკიე უწოდებს თავისუფლებას. ვინაიდან მოქალაქეები ვერ მბრძანებლობენ ერთმანეთს, თავისი ამბიციების და ქმედებების განსახორციელებლად მათ არ რჩებათ არაფერი, გარდა იმისა, რომ იმოქმედონ იმ სფეროში, სადაც ხდებიან მდიდრები და ცნობილნი თავისი ნიჭის და შრომის შედეგად. ცხოვრების ასეთ ძირითად სფეროებს წარმოადგენს ეკონომიკა და კულტურა.

მონტესკიეს ანალიზი, რომელიც ჩატარებული იყო ახლანდელი თანამედროვეობისგან სავსებით განსხვავებულ პირობებში, დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას, დღესაც შეუცვლელია ძალაუფლების განცალკავების პრინციპი. შეიცვალა ძალაუფლების ორი განცალკავებული შტოების არსი, მაგრამ ის რაც არ შეიცვალა, ფაქტია, არის ძალაუფლების განცალკავების პრინციპი.

მანანი ამტკიცებს, რომ დემოკრატიული მმართველობის დამყარებამდე საზოგადოებებში ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენდა სოციალური თანხმობა, ხოლო იმას რაც გაყოფის, განცალკავების საფრთხეს წარმოადგენდა, ებრძოდნენ. მაგრამ ამის მიუხედავად ამ საზოგადოებებსაც ახასიათებთად ერთი ტიპის დაყოფა / განცალკავება: ისინი ვინც მბრძანებლობდნენ და ისინი ვინც ემორჩილებოდნენ. ზუსტად ეს განცალკავება იყო საზოგადოების ერთობის და თანხმობის მექანიზმი. როდესაც ეს განცალკავება არ არის ნათელი, ბუნდოვანია, ხალხმა არ იცის ვინ მბრძანებლობს და ვინ მორჩილობს, თავს იჩენს უთანხმოება და ერთობის ნაცვლად მიიღება უწყესრიგობა და ანარქია. ამგვარად, ძველი წყობის საფუძველს წარმოადგენდა მბრძანებლობა, ხოლო

თანამედროვე პოლიტიკა შეიქმნა ამ ტიპის მბრძანებლურ-მორჩილებითი ურთიერთობისგან თავის დასაღწევად, და ამის ინსტრუმენტს წარმოადგენს ძალაუფლების განცალკავება.

რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით უფრო მეტი განსხვავებებით და განცალკავებებით ხასიათდება ის. პიერ მანანი გამოჰყოფს ამგვარი განცალკავებების რამდენიმე კატეგორიას: 1. შრომის დანაწილება, პროფესიების მიხედვით განცალკავება; 2. ძალაუფლების განცალკავება; 3. ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკავება; 4. სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს განცალკავება; 5. წარმომადგენლებთან და ვისაც ისინი წარმოადგენენ შორის განცალკავება; 6. განცალკავება ფაქტებსა და ღირებულებებს შორის ან მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის.

მანანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს განცალკავებები უნდა იყოს შენარჩუნებული და პრაქტიკულად განხორციელებული, ვინაიდან თანამედროვე თავისუფლების საფუძველს განცალკავების სისტემა წარმოადგენს.

ლინცი და სტეფანი⁸⁶ ერთმანეთისაგან გამიჯნავენ თავისუფალ და ენერგიულ სამოქალაქო საზოგადოებას - საერთო ინტერესების მქონე დამოუკიდებელ ჯგუფებს, მოძრაობებს და ინდივიდებს და ავტონომიურ პოლიტიკურ საზოგადოებას - პოლიტიკურ აქტორებს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის შუამავლებს, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ორივე სფეროს მნიშვნელობას დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის; ისინი აგრეთვე აღნიშნავენ სხვა სამი სფეროს - კანონის უზენაესობის, ფუნქციონირებადი სახელმწიფო ბიუროკრატიის და ინსტიტუციონალური ეკონომიკური საზოგადოების (შუამავალი სახელმწიფოსა და ბაზარს შორის) მნიშვნელოვან როლს.

ლარი დაიმონდის⁸⁷ თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის განვითარების და კონსოლიდაციის განუყოფელი კომპონენტია; ის არა მარტო მონიტორინგს უწევს იმას, თუ როგორ ახორციელებს სახელმწიფო მართვას, არამედ ზღუდავს მის ძალაუფლებას და

⁸⁶ Linz, J.J and Stepan, S., 1996, *Toward Consolidated Democracies*, Journal of Democracy, 7(2), pp 14-33; 1996, *Problems of Democratic Transition and Consolidation, Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*, Baltimore: Johns Hopkins University Press.

⁸⁷ Diamond, L., 1999, *Developing Democracy: Toward Consolidation*, Baltimore: Johns Hopkins University Press; 2009, *The Spirit of Democracy: The Struggle to Build Free Societies Throughout the World*, 1 Reprint ed. New York: St. Martin's Griffin.

აძლევს მოსახლეობას შესაძლებლობას მკვეთრად გამოხატოს და დაიცვას თავისი ინტერესები. დაიმონდი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება აფართოებს და ამდიდრებს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება მოქალაქეებს, ხელს უწყობს პოლიტიკური მონაწილეობის გავრცელებას, საშუალებას აძლევს ახალ ლიდერებს წარმოადგინონ თავი საზოგადოების წინაშე, ნერგავს ტოლერანტობის და მოლაპარაკების კულტურას და აუმჯობესებს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას. საჯარო სფეროში მონაწილეობით ინდივიდები უკავშირდებიან იმ სოციალურ ძალებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებას და იწვევენ დადებით სოციალურ ცვლილებებს. ეს აძლიერებს მრავალი განსხვავებული ფორმის სამოქალაქო აქტივიზმს და შედეგად, აუმჯობესებს დემოკრატიულ მმართველობას.

თუ საუბარია დემოკრატიული ინსტიტუტების სიძლიერესა და მდგრადობაზე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ნამდვილად შედგება ჭეშმარიტი სოციალური ძალებისაგან,⁸⁸ განსხვავებული ჯგუფების ქსელისაგან, რომლებიც ეფექტურად იყენებენ საკუთარ რესურსებს დასახული მიზნების მისაღწევად და საზოგადოებაში დამოუკიდებელი ძალაუფლების წყაროს წარმოადგენენ.

სამოქალაქო საზოგადოება მრავალფეროვანია, ის ბევრი განსხვავებული ინსტიტუციონალური ფორმის აქტორისგან, მონაწილისაგან, ჯგუფისა თუ ასოციაციისაგან შედგება. ის შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივ ორგანიზაციებს, საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებს, ეკლესიას, რელიგიურ ორგანიზაციებს, ადამიანთა უფლებების, მშვიდობის და გარემოს დამცველ ჯგუფებს და ა.შ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კატეგორიას განეკუთვნებიან პოლიტიკური პარტიები. ისინი არსებობენ სოციალურ კონტექსტში და ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, ცდილობენ კონკრეტული სოციალური ჯგუფებისგან და საზოგადოების გარკვეული სეგმენტისგან თანადგომის მოპოვებას და თავისი ბუნებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს წარმოადგენენ. მას მედია ორიენტირებულია მოგებაზე, ის თავისი არსით ბიზნესის დაწესებულებაა, მაგრამ რადგანაც ზუსტად რომ მედიის დახმარებით ხდება

⁸⁸ Huntington, S. P., 2006, *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press, pp. 8-11; Fukuyama, F., 2011, *The Origins of the Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, Reprint ed. New York: Farrar, Straus and Giroux, pp. 139.

სოციალური ჯგუფების მობილიზება გარკვეული ინტერესებისა და ღირებულებების გარშემო, მედია აგრეთვე ითვლება სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელ ნაწილად. პროფკავშირები, დასაქმების და პროფესიონალურ ასოციაციები, ეკონომიკური ინტერესის გარშემო გაერთიანებული ჯგუფები ასევე წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას, ვინაიდან ასეთ ორგანიზაციებში გაწევრიანება სრულიად ნებაყოფლობითია და ეს ორგანიზაციები შედგებიან ინდივიდებისაგან, რომლებიც ერთად შეიკრიბნენ საერთო ინტერესების დასაცავად.⁸⁹

1.5. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციაზე

ინგლჰარტს და ველცელს შემოაქვთ კაცობრიობის მოდერნიზაციის პროცესის კონცეფცია. ისინი ამტკიცებენ, რომ კაცობრიობის განვითარების ერთიანი პროცესის შემადგენელი კომპონენტებია სოციო-ეკონომიკური განვითარება, კულტურული ცვლილება (თვითგამოხატვის ღირებულებების გავრცელება) და დემოკრატიზაცია.

ავტორების თანახმად, მოდერნიზაცია ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი ინდუსტრიალიზაციაა, რომელსაც მოაქვს ბიუროკრატიზაცია, რაციონალიზაცია, ცენტრალიზაცია და სეკულარიზაცია. ხოლო მეორე - პოსტინდუსტრიალიზაციაა, რომელსაც მოაქვს უსაფრთხოების მაღალი დონე, ინდივიდების ავტონომიურობა, ავტორიტეტისაგან განთავისუფლება.

აგრარულ საზოგადოებაში კაცობრიობა დამოკიდებული იყო აუხსნელ, არაპროგნოზირებად ბუნების ძალებზე, ყველაფერი მიეწერებოდა ღმერთებს ან ღმერთს. ინდუსტრიალიზაციის პროცესში გარემოზე ტექნოლოგიური კონტროლის ზრდასთან ერთად მცირდება რელიგიის როლი, ტრადიციული ღირებულებები იცვლება სეკულარულ-რაციონალურით. თუმცა არ იზრდება ინდივიდის დამოუკიდებლობა, ავტონომიურობის შეგრძნება. ინდუსტრიული საზოგადოებები ხასიათდება ხისტი სოციალური კონტროლით და კონფორმიზმით. მასები იმართება ელიტების მიერ. ინდუსტრიალიზაცია არ ათავისუფლებს ადამიანებს ძალაუფლების ავტორიტეტისაგან.

⁸⁹ Linz, J. J. & Stepan, A., 1996, *Problems of Democratic Transition and Consolidation, Southern Europe, South America and Post-Communist Europe*, Johns Hopkins University Press; 1996, *Toward Consolidated Democracies*, *Journal of democracy*, 7(2): 14-33; Howard, M. M., 2003, *The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe*, Cambridge: Cambridge University Press; Keane, J., 1999, *Civil Society: Old images, New Visions*, Redwood city: Stanford University Press.

უბრალოდ, ავტორიტეტი გადააქვს ტრადიციული რელიგიური წყაროებიდან (ეკლესია) სეკულარულ წყაროში (სახელმწიფო). ინდუსტრიულმა საზოგადოებებმა უზრუნველყვეს საყოველთაო ხმის მიცემა, მაგრამ არა დემოკრატია.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში მიღწეულია ცხოვრების მაღალი დონე. ეკონომიკური ზრდა ამცირებს პიროვნების არჩევანზე მატერიალურ შეზღუდვას. იზრდება შემეცნების არეალი. ინდივიდის განათლება და სამუშაო გამოცდილება ინდივიდს ხდის ინტელექტუალურად დამოუკიდებელს და სხვების ინტერპრეტაციებზე ნაკლებად დამოკიდებულს. ადამიანებს შორის ურთიერთობები უფრო მოქნილია. ხდება გადარჩენის ღირებულებების ჩანაცვლება თვითგამოხატვის ღირებულებებით. უზრუნველყოფილია პოლიტიკური თავისუფლება, მყარდება ეფექტური დემოკრატიული მმართველობა.

ინგლჰარტი და ველცელი თვლიან, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები და მასების ღირებულებები თანხედენაში უნდა იყვნენ, უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. პოლიტიკური ინსტიტუტები არ იქნებიან სტაბილური და არ აღიქმებიან როგორც ლეგიტიმური, თუ ისინი არ შეესაბამებიან მასების ღირებულებებს.

ღირებულებათა ცვლილება, მატერიალისტურიდან (ეკონომიკა, უსაფრთხოება) პოსტმატერიალისტურამდე (თვითგამოხატვის ღირებულებები), ძირითადად ხდება თაობათა ჩანაცვლებით. საზოგადოებებში უფროსი თაობა თავის ღირებულებებს თავის შვილებს გადასცემს; ასეთი კულტურული მემკვიდრეობის ამოძირკვა არ არის ადვილი, მაგრამ თუ უფროსი თაობის ღირებულებები უპირისპირდება ახალგაზრდა თაობის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წინა თაობის ღირებულებები შეიძლება თანდათან გაქრეს. შესაძლებელია რომ გახდეს თაობათა ცვლილებასთან ერთად ღირებულებათა სისტემის შეცვლა, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს ეკონომიკური ზრდა ხანგრძლივი დროის პერიოდში. თუ ახალგაზრდა თაობა სოციალიზირდება პირობებში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავებულია იმ პირობებისგან, რომელმაც გამოძერწა წინა თაობა, თაობათა ჩანაცვლებით თანდათან შეიცვლება მთელი საზოგადოების ღირებულებები.

პოლიტიკური ინსტიტუტები და მასების ღირებულებები თანხვედნაში უნდა იყვნენ, უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. პოლიტიკური ინსტიტუტები არ იქნებიან გამძლე, თუ ისინი არ შეესაბამებიან მასების ღირებულებებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს ინსტიტუტები არ აღიქმება როგორც ლეგიტიმური. მოქალაქეები, რომლებიც აფასებენ თვითგამოხატვის იდეებს, მხარს აღარ უჭერენ რეჟიმებს, რომლებიც თავისუფლებას ზღუდავენ. რაც უფრო ღირებული ხდება საზოგადოებისთვის თვითგამოხატვის ღირებულებები, მით უფრო სუსტდება ამ რეჟიმების ეფექტურობა, ძლიერდება ანტირეჟიმული მოძრაობები.

მეორეს მხრივ, ლიბერალური დემოკრატია ვერ მოახერხებს კონსოლიდაციას, ეფექტურად მოქმედებას, თუ საზოგადოებაში მძლავრდება სოციალური კონტროლის და სამოქალაქო კონფორმიზმის კულტურა. ასეთი საზოგადოების წევრები მიიჩნევენ, რომ უცხო სადმი უნდობლობა გამართლებულია, უჭირთ თანამშრომლობა სხვადასხვა, განსხვავებული ჯგუფების წარმომადგენლებთან და მიაჩნიათ, რომ ურთიერთობები არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო ცხოვრებაშიც ახლობლებთან უნდა ჰქონდეთ. ხოლო პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში საზოგადოების ერთიანობა მიიღწევა განსხვავებების ერთმანეთთან დაკავშირებით, სოციუმის სიძლიერე სწორედ რომ მის მრავალფეროვნებასა და განსხვავებაშია.

სოციო-ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს დემოკრატიას იმ მხრივ, რომ ის მასების ღირებულებებს ისეთ ფორმას (ადამიანთა ემანსიპაცია და თვითგამოხატვა) აძლევს, რომელიც შეუთავსებელია ავტოკრატიასთან და უფრო ფუნქციონალურია დემოკრატიისთვის.

სეიმურ მარტინ ლიპსეტი⁹⁰ იმ ფაქტორების და პროცესების, რომელთაც გავლენა აქვთ დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციაზე, განხილვისას ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკაზე, კულტურაზე, ელექტორალურ სისტემებზე, სახელმწიფოს კონსტიტუციურ მოწყობაზე, ენერგიული სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობაზე და იმ მეთოდებზე,

⁹⁰ Lipset, M. S., 1994, *The Social Requisites of Democracy Revisited: 1993 Presidential Address*, American Sociological Review, Vol 59, No 1, pp. 1-22; 1959, *Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy*, American Political Science Review 53(1): 69-105; 1963, *Political Man: The Social Bases of Politics*, Anchor Books edition.

რომელთა მეშვეობით პოლიტიკური პარტიები უნდა იყვნენ სტრუქტურირებული, რომ შექმნან და შეინარჩუნონ ქვეყანაში სტაბილურობა.

ლიპსეტის თანახმად, სტაბილური დემოკრატიისათვის აუცილებელია ეკონომიკური განვითარება. რაც უფრო მდიდარია ერი, მით მეტია დემოკრატიული მმართველობის შენარჩუნების შანსი. ლიპსეტი წერს, რომ არისტოტელედან დაწყებული მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მდიდარ საზოგადოებაში, სადაც შედარებით ნაკლები მოქალაქე ცხოვრობს სიღარიბეში, მოსახლეობას შესწევს პოლიტიკაში ჭკვიანურად მონაწილეობის და თვითშეკავების უნარი, რომ არ აყვეს უპასიხისმგებლო დემაგოგის მოწოდებებს. თუ საზოგადოება გაყოფილია დიდ გაღარიბებულ მასად და მცირე პრივილეგირებულ ელიტად, მიიღება ან ოლიგარქიული ან ტირანული მმართველობა.

ლიპსეტის აზრით, ეკონომიკური განვითარება უზრუნველყოფს შემოსავლების ზრდას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას და განათლების გაუმჯობესებას, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს „კლასთა შორის დაპირისპირების ფორმას“; შედარებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს უზნდებათ გრძელვადიანი პერსპექტივები, ისინი ნაკლებად ემხრობიან ექსტრემისტულ მოძრაობებს და უვითარდებათ კომპლექსური და გრადუალისტური შეხედულებები პოლიტიკაზე. ეკონომიკურად განუვითარებელ, ღარიბ ქალაქებში კი, „ქუჩები სავსეა უსახლკარო უვიცეებით, რომლებიც წარმოადგენენ მზა აუდიტორიას ექსტრემისტული მოძრაობების მხარდამჭერთა პოლიტიკური მობილიზაციისთვის“.⁹¹

აგრეთვე აუცილებელია შესაბამისი პოლიტიკური კულტურა, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას. ამაში იგულისხმება ის რომ, როგორც მოქალაქეებმა, ასევე პოლიტიკურმა ელიტამ პატივი უნდა სცეს ისეთ პრინციპებს, როგორიც არის სიტყვის, შეკრების, რელიგიის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ოპოზიციური პარტიების უფლებები და ა. შ. ისტორიულად ასეთი ნორმები განვითარდნენ საზოგადოების განსხვავებულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების შედეგად. ეს ჯგუფები უპირისპირდებოდნენ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ სახელმწიფოს. შესაძლოა

⁹¹ Lipset, S. M., 1963, *Political Man: The Social Bases of Politics*, Anchor Books edition, p. 43.

თითოეულ ჯგუფს სურდა საკუთარი ნება მოეხვია დანარჩენებისთვის თავზე, მაგრამ არც ერთი ჯგუფი არ იყო იმდენად ძლიერი, რომ მთლიანი ძალაუფლება ჩაეგდო ხელში. შედეგად განვითარდა და ლეგიტიმურობა შეიძინა ტოლერანტობამ. ამ კონფლიქტებში უმცირესობებმა და ოპოზიციურმა ჯგუფებმა განავითარეს დემოკრატიული იდეოლოგია, თავისი არსებობის დასაკანონებლად საკუთარი უფლებების დაცვა. ამ ჯგუფებმა აიძულეს დომინანტური ძალა წასულიყო დათმობაზე და ელიარებინა მათი უფლებები. ამგვარად, ტოლერანტობის კონცეფცია, იმ ჯგუფების უფლებების აღიარება, ვისაც არ ეთანხმები და ვინც კონკურენციას გიწევს ძალაუფლებისთვის, წარმოიშვა ძლიერი და ერთმანეთს რომ ვერ ჯაბნიდნენ ისეთ ჯგუფებს შორის დაპირისპირების შედეგად.

სეიმურ ლიპსეტი თვლის, რომ ძალაუფლების სტატუსის და სიმდიდრის რაც უფრო მეტი წყაროა კონცენტრირებული სახელმწიფო აპარატში, მით უფრო ძნელია დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაცია. ამ პირობებში პოლიტიკურ დაპირისპირებაში წაგებული ყველაფერს კარგავს. რაც უფრო მნიშვნელოვანია ხელისუფლება, როგორც პრესტიჟის და უპირატესობის საშუალება, მით უფრო ნაკლებია შესაძლებლობა იმისა, რომ ძალაუფლების და ოპოზიციის ძალები შეთანხმდნენ ქცევის საერთო წესებზე, რომელიც ხელს შეუწყობს პარტიებს შორის კონფლიქტების ინსტიტუციონალური გზებით მოგვარებას და მმართველი ძალის შეცვლას. ლიპსეტის აზრით, დემოკრატიის განვითარების შანსი მაშინაა მაღალი, თუ ურთიერთკავშირი პოლიტიკასა და ფინანსებს (ეკონომიკას) შორის შეზღუდული და სეგმენტირებულია.

სეიმურ ლიპსეტი თვლის, რომ რელიგიური ტრადიცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის. ისტორიულად, როცა პროტესტანტიზმსა და დემოკრატიას შორის დადებითი ურთიერთკავშირი არსებობდა, კათოლიციზმსა, ორთოდოქსულ ქრისტიანობასა, ისლამსა და კონფუციანობას და დემოკრატიას შორის არსებობდა უარყოფითი მიმართება. ამ განსხვავებას შემდეგი ფაქტორებით ხსნიან. პირველი - პროტესტანტიზმში ინდივიდუალიზმს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და მეორე - დანარჩენ მითითებულ ოთხ რელიგიაში, რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციულად ძლიერი კავშირი არსებობდა. ლიპსეტი

ეთანხმება ტოკვილისა და ბრაისის აზრს, რომ დემოკრატიის განვითარებას ხელს უწყობს რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის განცალკავება.

კათოლიკური რელიგია ითვლებოდა მეტად ავტორიტარულ და იერარქიზირებულ სტრუქტურად, მაგრამ XX საუკუნის 70-80 -იან წლებში კათოლიციზმის დოქტრინებში ცვლილებების შედეგად, კათოლიკურმა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დემოკრატიის გავრცელებაში. ისლამური რელიგიის თითქმის ყველა ქვეყანაში დღესაც ავტორიტარული მმართველობაა და ლიპსეტის აზრით, რადგანაც პოლიტიკური თავისუფლების მრწამსი უცხოა ისლამური რელიგიისთვის, დემოკრატიის დამყარება ამ ქვეყნებში საეჭვოა. რაც შეეხება დემოკრატიის სისტემის ორთოდოქსული რელიგიის ქვეყნებში, ის აიხსნება პოლიტიკის და რელიგიის ერთმანეთისგან განცალკავების უუნარობით. განსაკუთრებით რუსეთში ეკლესია ყოველთვის იყო და არის სახელმწიფოს ორგანო, არასოდეს ეკლესიას არ დაუცვია ადამიანთა უფლებები და არ შეუწყვია ხელი ტოლერანტული ღირებულებების გავრცელებისთვის. ხოლო რაც შეეხება კონფუციანობას, ჩინეთში არც ეკლესიას და არც რომელიმე კულტურულ ორგანიზაციას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არ უარსებია.

ქვეყანაში სტაბილური სისტემის შესანარჩუნებლად აუცილებელია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. სამოქალაქო საზოგადოებაში ლიპსეტი გულისხმობს დამოუკიდებელი შუალედური ინსტიტუტების დიდ რაოდენობას, რომელთაც შესწევთ უნარი იყვნენ სახელმწიფოს საპირწონე. ამ ჯგუფების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან დიდ კომპლექსურ საზოგადოებაში განცალკავებულად ადამიანებს არ შეუძლიათ მოახდინონ გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკაზე და სახელმწიფო აპარატის მაკონტროლებლები მთლიანად გაბატონდებიან საზოგადოებაზე. ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების საყრდენ ძალას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ბევრი ფუნქცია აქვთ, ისინი არ აძლევენ სახელმწიფოს საშუალებას გაბატონდეს ყველა პოლიტიკურ რესურსზე, წარმოადგენენ ახალი იდეების გენერაციის და გავრცელების წყაროს, განსაკუთრებით ოპოზიციურს. სამოქალაქო ორგანიზაციები ხელს უწყობენ მოსახლეობაში საჯარო სფეროს მიმართ ინტერესის გაღვივებას, ინდივიდების პოლიტიკური უნარ - ჩვევების გამომუშავებას და საჯარო

საქმიანობაში მონაწილეობის გაფართოებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხელისუფლებაზე და საზოგადოებაზე სახელმწიფოს კონტროლის ალტერნატივას წარმოადგენენ.

ტოტალიტარულ სისტემებში არ არსებობს ეფექტური სამოქალაქო საზოგადოება. ტოტალიტარული სისტემები ცდილობენ ან გაანადგურონ სამოქალაქო ორგანიზაციები ან გააკონტროლონ სრულად, რომ რეალურ კონკურენციას არ ჰქონდეს ადგილი. ამ გზით ისინი ძირს უთხრიან ორგანიზებული ოპოზიციის არსებობის შესაძლებლობას, ამცირებენ ჯგუფების ეფექტურობას და ინდივიდების განათლებას, რაც აუცილებელია მათ მიერ ინიციატივის გამოჩენის და ინოვაციური ქმედებებისთვის. ტოტალიტარულ ქვეყნებში არ არის შესაძლებელი შეიქმნას სამოქალაქო ჯგუფები, რომლებიც აუცილებელია სტაბილური პოლიტიკური პარტიების შესაქმნელად. სტაბილური დემოკრატიისთვის სასიცოცხლო პირობაა ძირითადი პოლიტიკური პარტიების არსებობა, რომელთაც გააჩნიათ თითქმის მუდმივი მხარდაჭერა მოსახლეობაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ პარტიებს გარკვეული წარუმატებლობები აქვთ. თუ ასეთი მხარდაჭერა არ არსებობს, შესაძლებელია პარტიების და ეფექტური ოპოზიციის სრული განადგურება, ხოლო პარტიული სისტემის არამდგრადობა და დაკნინება ასოცირდება დემოკრატიის ხარისხის და სტაბილურობის გაუარესებასთან.

1.6. სოციალური გახლეჩები და პარტიული სისტემები

სეიმურ ლიპსეტი და სტენ როკანი⁹² სოციალური ნიშნების მიხედვით ხსნიდნენ პოლიტიკურ პარტიებს შორის განსხვავებებს. ადამიანთა შორის ობიექტური სოციალური განსხვავებები როგორიცაა კლასი, რელიგია, რასა, ენა - იწვევს კონფლიქტებს. მკვლევარებმა ამ მდგრად სტრუქტურულ კონფლიქტებს უწოდეს „გახლეჩა“ (cleavages) და პოლიტიკური პარტიების მდგრადი მხარდაჭერის წყაროდ ოთხი ტიპის სოციალური გახლეჩა ჩათვალეს:

- ცენტრსა და პერიფერიას შორის სოციალური გახლეჩა, რომელიც ევროპულ ქვეყნებში წარმოიქმნა მე-19 საუკუნეში, როდესაც ჩამოყალიბდა ცენტრალური

⁹² Lipset, S. M. and Rokkan, S., 1967, *Cleavage Structures, Party Systems, and Voter Alignments: An introduction*, Party systems and voter alignments: Cross-national perspectives, eds., New-York: The Free Press, pp. 1–64.

ნაციონალური სახელმწიფო ერთიანი ადმინისტრაციული სტრუქტურით და მოახდინა რეგიონალური განსხვავებების უნიფიცირება. იმ სახელმწიფოებში, სადაც მკვეთრად იყო გამოხატული ეთნიკური და ლინგვისტური განსხვავებები, ამ პროცესებმა გამოიწვიეს კონფლიქტები. ამ ტერიტორიებზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ცდილობდა გადაეღახა ადმინისტრაციული სისტემის ფრაგმენტაცია და გაეტარებინა კულტურული სტანდარტიზაცია, მოეხდინა მოქალაქეების რეგიონალური იდენტიფიკაციის ნაციონალური იდენტიფიკაციით ჩანაცვლება. ამ კონფლიქტის შედეგად შეიქმნა რეგიონალური, ეთნიკური, ლინგვისტური პარტიები, რომლებიც იცავენ და წარმოადგენენ უმცირესობათა ინტერესებს.

- სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სოციალურმა გახლეჩამ თავი იჩინა მე - 19 საუკუნეში, იმ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ინდივიდუალიზმის იდეების გავლენით, როგორც ლიბერალური იდეოლოგიის საფუძველი, ფართოდ გავრცელდა საერო ინსტიტუტები. ლიბერალური რეფორმების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების და პარლამენტების ელიტარობის ნიველირების შედეგად ლიკვიდირებული იქნა არისტოკრატების და სამღვდელოების პრივილეგიები. ამან გამოიწვია კონფლიქტი ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის. ეკლესიამ, რომელმაც დაკარგა არა მხოლოდ საკუთრება, არამედ შესაძლებლობა გავლენა მოეხდინა სოციალურ, მხარი დაუჭირა კონსერვატორებს. თუმცა რიგ შემთხვევებში ეკლესია ნებაყოფლობით გამოეთიშა პოლიტიკურ სფეროს. ამის გამო ასეთ ქვეყნებში კათოლიკური პარტიების შექმნის საფუძველი არ არსებობდა. მაგრამ ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლისას ეკლესია დემოკრატიის დასაცავად დადგა და მისმა ამ პოლიტიკურმა პოზიციამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ხელი შეუწყო თანამედროვე ქრისტიანულ დემოკრატიული პარტიების შექმნას. ხოლო ქვეყნებში, სადაც სხვადასხვა რელიგიებია გავრცელებული, შეიქმნა ურთიერთ ოპონირებადი კონფესიონალური პარტიები.

- ქალაქსა და სოფელს შორის სოციალური გახლეჩა ასახავს კონფლიქტს მსხვილ მიწათმფლობელებსა და სამეწარმეო მზარდ კლასს შორის. მათ შორის დაპირისპირება გამოწვეული იყო სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკის განსხვავებული ხედვით. მიწათმფლობელები მხარს უჭერდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, ხოლო მეწარმეები ითხოვდნენ თავისუფალ ბაზარს და სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციას. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო გაძლიერდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის კულტურული განსხვავებების გამო. მე-19 საუკუნის ბოლოს სოფლის მოსახლეობამ მიიღო არჩევნებში მონაწილეობის უფლება. დაარსდა აგრარული პარტიები, რომლებიც გამოხატავდნენ სოფლის მოსახლეობის ინტერესებს და დაიკავეს კიდევ ძლიერი პოლიტიკური პოზიციები აღმოსავლეთ ევროპის და სკანდინავიის ქვეყნებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აგრარურმა პარტიებმა დაკარგეს გავლენები ევროპაში, თუმცა გაძლიერდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც ისინი დაუპირისპირდნენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს.
- მუშებსა და მესაკუთრეებს შორის სოციალური გახლეჩა სამეწარმეო რევოლუციის დროს ურთიერთდაპირისპირებული ორი კლასის - ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის - წარმოშობის შედეგია. ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ მოსახლეობის მობილურობა გაზარდა. სოციალურ - ეკონომიკური პირობების სიმძიმემ საფუძველი ჩაუყარა მუშათა კლასის პროფესიული კავშირების შექმნას, ხოლო საყოველთაო საარჩევნო სისტემის დაარსებამ პროფესიული კავშირების საფუძველზე სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და მშრომელთა პარტიების ფორმირებას, რომლებმაც მიაღწიეს პარლამენტებში თავის წარმომადგენლობას.

ოთხივე ტიპის გახლეჩა წარმოადგენდა არსებული სახელმწიფო ელიტის და მისი კულტურული სტანდარტების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო მოძრაობას, და აგრეთვე ემანსიპაციის და მობილიზაციის ფართომასშტაბიანი მოძრაობის შემადგენელ კომპონენტს.

ლიპსეტის და როკანის კლასიკური თეორია გამოჰყოფს სოციალური გახლეჩის რამდენიმე ნიშან-თვისებას:

- გახლეჩა არის სოციალურ ჯგუფებს შორის სტრუქტურული კონფლიქტი, მაგრამ ამავე დროს, ერთი და იგივე ინდივიდი არ არის „მიბმული“ რომელიმე ერთ ჯგუფზე, არამედ „მონაწილეობს“ რამდენიმე გახლეჩაში;
- ძირითადი სოციალური გახლეჩა ისტორიულად ხდებოდა რამდენიმე ათეული ან ასეული წლების განმავლობაში;
- სოციალური გახლეჩა პარლამენტარიზმის განვითარების და საერთო საარჩევნო სისტემის შემოღების შედეგად პოლიტიკური პარტიების მეშვეობით გარდაიქმნა საჯარო პოლიტიკის საკითხად. ამ პარტიებს პოზიცია უჭირავთ „გახლეჩილ პოლუსებზე“; პარტიების პროგრამები და სტრატეგიები მნიშვნელოვნად განპირობებულია მათი როლით, როგორც სოციალური გახლეჩის არტიკულატორებით;
- დასავლეთ ევროპაში სოციალური გახლეჩის სტრუქტურა მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედიდან გაყინულია, უცვლელია; ამით აიხსნება ევროპაში პარტიული სისტემების და ელექტორალური ქცევის სტაბილურობა.

მაგრამ ყოველთვის ყველა სოციალური დაპირისპირება / გახლეჩა არ არის ინსტიტუციონალიზირებული. სოციალური გახლეჩები თავის თავად არ გარდაიქმნებიან პოლიტიკური პარტიების დაპირისპირების და შეჯიბრის ბაზისად. უფრო მეტიც, ზოგიერთი სოციალური გახლეჩა საერთოდ არ გარდაიქმნება ამგვარ ბაზისად. ინსტიტუციონალიზირებულია მხოლოდ ისინი, რომლებიც გადალახავენ რამდენიმე ზღურბლს. ლიპსეტი და როკანი გამოყოფენ ოთხ ზღურბლს, რომელიც ხელს უშლის პარტიულ სისტემაში სოციალური კონფლიქტის პოლიტიკური კონკურენციის დონეზე გადაყვანას: ლეგიტიმაციის ზღურბლი, ჩართულობის ზღურბლი, წარმომადგენლობის ზღურბლი და მაჟორიტარული მმართველობის ზღურბლი.

ერთის მხრივ, მხოლოდ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ასახავენ საზოგადოებაში არსებულ სტრუქტურულ გაყოფას, ყალიბდებიან როგორც მდგრადი ინსტიტუტები და

განაპირობებენ პარტიული სისტემის ტიპს,⁹³ სოციალური ფაქტორები განაპირობებენ პოლიტიკური დაპირისპირებების ბუნებას, რა საკითხების გარშემო გაერთიანდებიან პოლიტიკური ძალები და დაუპირისპირდებიან თუ არა ეს ძალები ერთმანეთს.⁹⁴ მეორეს მხრივ, შესაძლოა თავად პოლიტიკურმა პარტიებმა გახადონ სოციალური უთანხმოებები ხილვადი და აქტუალობა შესძინონ მათ.⁹⁵ მათ შეუძლიათ მიაჩუმათონ ან, პირიქით, გააქტიურონ საზოგადოების ესა თუ ის დაპირისპირებები იმის მიხედვით, თვითონ როგორი სარგებელი შეიძლება მიიღონ, ამგვარად, პოლიტიკური ელიტები თვითონ აყალიბებენ გახლეჩების სტრუქტურებს.

სოციალური გახლეჩის სტრუქტურა პარტიული სისტემის მრავალ ასპექტზე ახდენს გავლენას. თუ საზოგადოებაში არსებობს ძირითადად ერთი მნიშვნელოვანი სოციალური გახლეჩა შესაძლოა ჩამოყალიბდეს ორპარტიული სისტემა, ორი სოციალური გახლეჩის შემთხვევაში - ოთხპარტიული სისტემა და ა.შ.⁹⁶ გახლეჩის ინტენსიურობასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პარტიათა სისტემაზე, აქედან გამომდინარე ვლენულობთ ზომიერ და პოლარიზებულ პარტიულ სისტემებს.⁹⁷

მეცნიერებაში ცნობილია პარტიული სისტემების კლასიფიკაციის რამდენიმე მიდგომა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ცნობილია მორის დიუვერჟეს⁹⁸ კლასიფიკაცია: ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული. ხოლო ჯ. სარტორის⁹⁹ კლასიფიკაციით არსებობს შვიდი ტიპის პარტიული სისტემა: ერთპარტიული სისტემები - პარტია ერწყმის სახელმწიფო აპარატს, პარტიის გაბატონებული მდგომარეობა უზრუნველყოფილია ტოტალური პოლიტიკური კონტროლით, ოპოზიციის ნებისმიერი ფორმის მკაცრი აღკვეთით; ჰეგემონური პარტიული სისტემები - სხვა პოლიტიკური პარტიებიც არსებობენ ფორმალურად, მაგრამ ისინი წარმოადგენენ მმართველი პარტიის

⁹³ Lipset, S. M. and Rokkan, S., 1967, *Cleavage Structures, Party Systems, and Voter Alignments: An introduction*, Party systems and voter alignments: Cross-national perspectives, eds., New-York: The Free Press, pp. 26-27.

⁹⁴ Evans, G., and Whitefield, S., 1993, *Identifying the Bases of Party Competition in Eastern Europe*, British Journal of Political Science, 23(4): 521-548.

⁹⁵ Sartori, G., 1969, *From Sociology of Politics to Political Sociology*, IN Lipset, S. M., ed. *Politics and the Social Sciences*, New York: Oxford University Press.

⁹⁶ Duverger, M., 1959, *Political Parties: Their Organization and Activity in the Modern State*, London: Methuen, pp. 231-234.

⁹⁷ Giovanni S., 1976, *Parties and Party Systems: A Framework for Analysis*, Cambridge University Press, pp 135-136;

⁹⁸ Duverger, M., 1959, *Political Parties: Their Organization and Activity in the Modern State*, London: Methuen.

⁹⁹ Sartori, G., 1976, *Parties and Party Systems: A Framework for Analysis*, Cambridge University Press.

პერიფერიულ სტრუქტურებს; დომინანტური პარტიული სისტემები - რამდენიმე პოლიტიკური პარტია ფუნქციონირებს, მაგრამ წლების განმავლობაში საკონტროლო პაკეტი უჭირავს ერთსა და იმავე პარტიას; ორპარტიული სისტემები - ფუნქციონირებს ორი მსხვილი პარტია, რომლებიც ცვლიან ერთმანეთს ხელისუფლებაში, არსებობენ სხვა პარტიებიც, მაგრამ მათ რეალურად არ აქვთ გამარჯვების შანსი; ზომიერი პლურალისტური სისტემები (3 - დან 5 პარტიამდე), ამ სისტემისთვის დამახასიათებელია კოალიციური მთავრობები; უკიდურესი (პოლარიზებული) პლურალისტური სისტემები (6 - დან 8 პარტიამდე) - ხასიათდება პოლარიზებული პარტიული სპექტრით; ატომიზირებული სისტემები (8 პარტიაზე მეტი) - ჩვეულებრივ წარმოიქმნება ავტორიტარული რეჟიმიდან გამოსვლის შემდეგ.

პოლიტიკური პარტია პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ბაზისური ინსტიტუტია,¹⁰⁰ ის ხელს უწყობს პოლიტიკური ელიტების შექმნას და შეცვლას და უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის მთლიანობასა და მდგრადობას,¹⁰¹ პოლიტიკური პარტიის, როგორც ორგანიზაციის, ერთ-ერთი ძირითად ნიშან-თვისებას მისი იდეოლოგიური ღირებულებები წარმოადგენს;¹⁰²

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი დეივიდ ჰიუმი¹⁰³ გამოყოფდა პარტიებს ინტერესების, აფექტების (ლიდერებისადმი ერთგულების) და პრინციპების მიხედვით. ფრანგი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ალექსის დე ტოკვილი¹⁰⁴ პოლიტიკურ პარტიებს განასხვავებდა საზოგადოების სოციალური

¹⁰⁰ Neumann, S., 1956, *Toward a Comparative Study of Political Parties*, ed., Modern political parties, University of Chicago Press; La Palombara, J. and Weiner, M., 1969, *Political Parties and Political Development*, SPD-6 Studies in Political Development, Princeton University Press; Janda, K., *Comperative Political Parties: Research and Theory*, IN *Political Science: The State of the Discipline II*, Finifter, A.W., ed., Washington, D.C.: American Political Science Association, 1993, pp. 163-191; Lawson, K., ed., 1980, *Political Parties and Linkage*, A Comparative Perspective, London: Yale University Press; Katz, R. S. and Crotty, W. J., eds., 2005, *Handbook of Party Politics*, SAGE Publications; Krouwel, A., 2004, *Partisan States. Legal regulation of political parties in France, Germany, The Netherlands and the United Kingdom*, Nijmegen: Ars Aequi Libri /Wolf Legal Publishers; Farrell, D. and R. Schmitt-Beck, 2002, eds. *Do Political Campaigns Matter?*, London: Routledge, 2002.

¹⁰¹ Laver, M. and Schofield, N., 1990, *Multiparty Government: The Politics of Coalition in Europe*, Oxford: Oxford University Press; Laver, M. and Shepsle, K. E., 1996, *Making and Breaking Governments*, Cambridge: Cambridge University Press; Müller, W. C. and Støm, K., 2000, eds., *Coalition Government in Western Europe*, Oxford: Oxford University Press; Müller, W. C., 2000, *Political Parties in Parliamentary Democracies: Making Delegation and Accountability Work*, European Journal of Political Research, 37, pp. 309-333; Müller, W. C. and Støm, K., 1999, eds., *Policy, Office, or Votes? How Political Parties in Western Europe Make Hard Decisions*, Cambridge: Cambridge University Press.

¹⁰² Budge, I., Crewe, I. and Farlie, D., 1976, eds., *Party Identification and Beyond*, New York: John Wiley; Budge, I., Robertson, D. and Hearl, D., 1987, eds., *Ideology, Strategy and Party Change: Spatial Analysis of Post-War Election Programs in 19 Democracies*, Cambridge: Cambridge University Press.

¹⁰³ Conniff, J., Winter, 1978-1979, *Hume on Political parties: The Case for Hume as a Whig*, The Johns Hopkins University Press, Sponsor – American Society for Eighteenth- Century Studies (ASECS), 12(2), pp.150-173.

¹⁰⁴ Tocqueville, Alexis de, 2006, *Democracy in America*, Harper Perennial Modern Classics.

დინამიკის საფუძველზე. მნიშვნელოვანი გარდაქმნების პერიოდში პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოდიოდნენ ე. წ. „დიდი პარტიები“, რომლებიც წყვეტდნენ საზოგადოების გარდაქმნის ფუნდამენტალურ საკითხებს. შედარებით პოლიტიკურად სტაბილურ პერიოდებში ჩნდებოდნენ „პატარა პარტიები“, რომლებიც ინტრიგებით ასუსტებდნენ სახელმწიფოს. მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის გავრცელდა პოლიტიკური პარტიების დაყოფა მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტულ პარტიებად.

პოლიტიკური პარტიების განვითარების დინამიკის და სტრუქტურული თავისებურებების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მაქს ვებერმა.¹⁰⁵ საპარლამენტო პარტიებში ვებერი ხედავდა პარტიის საქმიანობის ორ გაბატონებულ პრინციპს. ერთის მხრივ, პარტიები მსოფლმხედველობითი გაერთიანებებია, მათი მიზანი მათი პოლიტიკური იდეალების განხორციელებაა, ხოლო მეორე მხრივ, პრაქტიკულად ყველა პარტია მიისწრაფის, რომ პარტიის ლიდერებმა და პარტიის ბიუროკრატიული და პროპაგანდისტული აპარატის პერსონალმა დაიკავოს სახელმწიფოს მმართველი პოლიტიკური პოზიციები. ეს ტენდენცია კარგად ჩანს როგორც საპარლამენტო რესპუბლიკებში, სადაც არჩევნებით იცვლება მმართველი უმრავლესობა, ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკებში, სადაც გამარჯვებულ კანდიდატს თავისი გუნდი მოყავს ადმინისტრაციაში.

ვებერი თვლიდა, რომ პარტიის საარჩევნო პროცესში ჩართვასთან ერთად მცირდება მისი საქმიანობის მსოფლმხედველობითი კომპონენტი და იზრდება ბიუროკრატიული ორგანიზაციის მნიშვნელობა. სწორედ, ორგანიზაციის ხარისხზე არის დამოკიდებული ამა თუ იმ პარტიის სიძლიერე. ვებერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პარტიების პოლიტიკური იდეალები სულ უფრო მეტად უთმობენ ადგილს პარტიული აპარატების ინტერესებს. პარტიებს შორის მტრული დაპირისპირების ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პარტიული აპარატის ჩინოვნიკებს შორის არსებულ დაპირისპირებებზე და არა პარტიების სამუშაო პროგრამებში განსხვავებებზე. უფრო

¹⁰⁵ Weber, M., 1978, *Economy and Society*, 2 vols. Berkeley: University of California Press; 1946, *From Max Weber: Essays in Sociology*, New York: Oxford University Press; 2010, *A Weberian Perspective to understand Politics, Legitimacy, and Parties* – A working paper for the Politicologenetmaal; Вебер М., 2003, *Политические работы (1895-1919)* / Пер. с нем. М., 2003.

მეტიც, ამა თუ იმ პარტიის გათიშვა, გაყოფა უმეტეს წილად განპირობებულია ნდობით აღჭურვილი პირების საკუთარი საარჩევნო „მანქანის“ ახალი ლიდერების წარმოჩენით, ვიდრე მათი იდეოლოგიური შეუთავსებლობით.

როგორც სხვა ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, პარტიებშიც ბიუროკრატია იღებს სპეციალიზაციის და პროფესიონალიზაციის ნიშნებს, თუმცა დროდადრო სხვადასხვა ფორმით ის შედის ალიანსში საზოგადოების სხვა სეგმენტების ელიტის წარმომადგენლებთან, ე.წ. „ცნობად სახეებთან“. კერძოდ პარტიები, როგორც სარეკლამო საშუალებებს, თავის მხარდასაჭერად იზიდავენ „პატივცემულ მოქალაქეებს“, „წამყვან მეცნიერებს“ და ა. შ., რომლებიც პარტიულ ცხოვრებაში წარმომადგენენ დეკორატიულ ელემენტებს, ვებერის სიტყვებით „გაფორმებებს და ვიტრინებს“. ვებერი თვლიდა, რომ ეს პოლიტიკური მეთოდი განსაკუთრებით ახასიათებთ სუსტ, არასაკმარისად ორგანიზებულ და ბიუროკრატიზებულ პარტიებს, რომელთაც არ გააჩნიათ თავისი არსებობის მყარი საფუძველი. ვებერმა გენიალურად განჭვრიტა მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი ტენდენცია, რომელიც გამოიხატა ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელში, სადაც სახელმწიფო და პარტიული ძალაუფლებები საბოლოოდ შეერწყნენ ერთმანეთს, ხოლო პარტიული ბიუროკრატისადმი კუთვნილებამ სოციალური კლასის ნიშან-თვისებები შეიძინა.

ვებერი თვლიდა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, მიუხედავად პარტიული ბიუროკრატის ყოვლისშემძლეობისა, პოლიტიკური პარტიები ასრულებენ მნიშვნელოვან ფუნქციებს და წარმომადგენენ პოლიტიკის აუცილებელ და ოპტიმალურ ინსტრუმენტს. არჩევითი თანამდებობების პოლიტიკური პირების ყოფნა ხელისუფლებაში იცავს მას ტოტალური რაციონალიზაციისგან. არჩევითი პოლიტიკური თანამდებობის პირის მდგომარეობა არსებითად განსხვავდება პროფესიონალური ჩინოვნიკის მდგომარეობისგან, როგორც არ უნდა იყოს ის ვალდებული, რომ გამოხატოს პარტიის ინტერესები, ის მაინც ინარჩუნებს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას და დამოუკიდებელი ხმის უფლებას, მაშინ როდესაც პროფესიონალი ჩინოვნიკი შეზღუდულია ხისტი დაქვემდებარების დისციპლინით. პარტიებს პოლიტიკურ სცენაზე

ვერც ცვლის ვერც მასების სპონტანური აქტივობა და ვერც პროფესიონალი სახელმწიფო ბიუროკრატია.

მიუხედავად დემოკრატიული ქვეყნების რაოდენობის არაპრეცედენტულად გაზრდისა და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ავტორიტარული იდეოლოგიები დასუსტდა და დემოკრატიის გარდა სხვა არც ერთ მმართველობის ფორმას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ლეგიტიმაცია, იზრდება დემოკრატიული ინსტიტუტებით გამოწვეული იმედგაცრუება, გაიზარდა ცინიკური დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების, წარმომადგენლობითი ინსტიტუტების და პოლიტიკოსების მიმართ¹⁰⁶.

კონსოლიდირებულ დემოკრატიებში დემოკრატიული ღირებულებები იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული საზოგადოებაში, რომ იმედგაცრუება დემოკრატიას ლეგიტიმურობას ვერ ართმევს, მაშინ როდესაც გარდამალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში სუსტი პოლიტიკური ინსტიტუტები, ქვეყნის არაეფექტური მართვა და ცინიკური დამოკიდებულება პარტიების და პოლიტიკოსების მიმართ არა მხოლოდ დემოკრატიის კონსოლიდაციას უშლის ხელს, არამედ შეიძლება ხელი შეუწყოს ავტორიტარული მმართველობის აღდგენას.

¹⁰⁶ Diamond, L. and Gunther, R., eds. 2001, *Political Parties and Democracy*, Baltimore: John Hopkins University Press.

თავი 2. საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები

სახელმწიფოსთან მიმართებით პოლიტიკურ განვითარებაზე საუბრისას, იგულისხმება სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი, მისი გაძლიერება, პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა, ძალაუფლების კონცენტრაციის და გამოყენების უნარი. ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც არსებობენ როგორც ქმედითუნარიანი ხელისუფლებები, ასევე მათი შემზღუდველი ინსტიტუტები, სახელმწიფო ფუნქციონირებს უფრო ეფექტურად და უკეთ ემსახურება მოქალაქეებს, ვიდრე ქვეყნებში, სადაც ყველა სფერო განუკითხავად კონტროლდება ხელისუფლების მიერ. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოხდეს სახელმწიფოს გაძლიერება სწორედ დემოკრატიული განვითარების კონტექსტში.

ამ თავში განხილულია საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების განვითარების ტენდენციები 90-იანი წლებიდან და ურთიერთმიმართება სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმურობა საბჭოთა პერიოდში დაბალი იყო. ის საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, მისი ერთ - ერთი რესპუბლიკა, ის არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა, თუმცა ჰქონდა კონსტიტუციით განპირობებული სამთავრობო სტრუქტურები და ჰყავდა მთავრობა. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებმა კი საქართველოს კომუნისტური მთავრობის, როგორც მტრული ქვეყნის არაკანონიერი, საოკუპაციო ძალის, სრული დელეგიმიტაცია მოახდინა და ოპოზიციის ლიდერების მორალური ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაზარდა.¹⁰⁷ სახელმწიფოს ლეგიტიმურობის არ არსებობა სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულებაზეც აისახა, საზოგადოება უფრო ლეგიტიმური იყო, ვიდრე სახელმწიფო. ამასთან ერთად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული დამაბულობის გაძლიერებამ საპასუხოდ ქვეყანაში გამოიწვია მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შეიარაღებული ჯგუფების, რომლებიც სახელმწიფოს

¹⁰⁷ Nodia G., 2002, *Putting the State Back Together in Post-Soviet Georgia* In *Beyond State Crisis? IN Post-Colonial Africa and Post-Soviet Eurasia in Comparative Perspective*, eds., Beissinger M.R. and Young, C., Woodrow Wilson Center Press.

კონტროლს არ ემორჩილებოდნენ,¹⁰⁸ შექმნა. და ამან გავლენა მოახდინა საზოგადოების სტრუქტურაზე.

1990 წლის ოქტომბერში მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო, ნაციონალისტური და ანტიკომუნისტური კოალიცია. ეროვნულმა მთავრობამ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს გამოსცა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

დამოუკიდებელ საქართველოში დიდი პრობლემა აღმოჩნდა სტაბილური პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა. პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნის უუნარობასთან ერთად დიდ პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე ის, რომ ქვეყანაში არსებულ შეიარაღებულ ძალებს არ აერთიანებდათ დისციპლინა, ინსტიტუციური იერარქია და ერთგულება სახელმწიფოს მიმართ. სახელისუფლებო კოალიციის სხვადასხვა ფრაქციამ ვერ მიაღწია კონსენსუსს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების საკითხზე. ისინი მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არ არსებობდა ნდობა და ურთიერთობა საზოგადოების ერთმანეთთან უკიდურესად დაპირისპირებულ და დანაწევრებულ სხვადასხვა სეგმენტს, პოლიტიკურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის. ახალგაზრდა ხელისუფლების არაკომპეტენტურობა, ოპოზიციურ სპექტრში ანარქიული პოლიტიკური კულტურის აღმოცენება, ერთიანი ერი-სახელმწიფოს მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მოთხოვნები და რუსეთი (დაიშალა საბჭოთა კავშირი და მის ნაცვლად შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა - დსთ, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა საქართველომ, თანამეგობრობაში ბალტიის რესპუბლიკების და საქართველოს გარდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა გაწევრიანდა), რომელიც არ აპირებდა ამიერკავკასიაზე გავლენის დაკარგვას, იყო ის ფაქტორები, რომლებმაც, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური

¹⁰⁸ Nodia G., 2005, *Georgia: Dimensions of Insecurity*, IN *Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution*, eds., Coppieters, B. and Legvold, R., American Academy Studies in Global Security, The MIT Press; Aprasidze, D., 2016, *25 Years of Georgia's Democratization: Still Work in Progress*, IN Nodia, G., ed., *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University Press.

დაკნინება გამოიწვიეს.¹⁰⁹ რადიკალურმა ოპოზიციამ არ აღიარა ხელისუფლების ლეგიტიმურობა და საბოლოოდ სამხედრო გადატრიალებით დაამხო ის. გამევეებული პრეზიდენტის მხარდამჭერებმა სამეგრელოს რეგიონზე დაამყარეს კონტროლი. საზოგადოება გაიყო განდევნილი პრეზიდენტის მომხრე და მის დაპირისპირებულ ბანაკებად. სახელმწიფოს ქმედითუნარიანობა სრულად მოიშალა, სახელმწიფომ დაკარგა ლეგიტიმურობა. ქვეყანა მოიცვა სამოქალაქო ომმა და ეთნოკონფლიქტებმა, მდგომარეობა ანარქიას უახლოვდებოდა.¹¹⁰ საქართველო წამოადგენდა ე.წ. „არშემდგარი სახელმწიფოს“¹¹¹ კლასიკურ მაგალითს.

95-იანი წლის ბოლოსთვის მდგომარეობა შეიცვალა იმ მხრივ, რომ ცენტრალურმა მთავრობამ მოახერხა ძალაუფლების კონცენტრაცია,¹¹² გაანეიტრალა არაკანონიერი შეიარაღებული დაჯგუფებები; ამავე დროს გააძლიერა რადიკალიზმი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. აბსოლუტური ბოროტების და სახელმწიფოს მთელი უბედურების მიზეზი, დეკლარირებული იდეოლოგიით, იყვნენ ყოფილი ხელისუფლების მიმდევრები - „ზვიადისტები“.¹¹³ შედეგად, მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან.

მიუხედავად იმისა, რომ 90-წლების შუა პერიოდი ქვეყანაში მდგომარეობის ნორმალიზაციით ხასიათდებოდა და აღდგა პოლიტიკური წესრიგი, სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა მთელი რიგი პრობლემებისა: ეფექტური და პროფესიული ბიუროკრატიული აპარატის არ არსებობა, კონტროლის შეუძლებლობა როგორც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის განდგომილ რეგიონებზე, ასევე ქვეყნის ერთიანობის ამღიარებელ, მაგრამ ცენტრალური მთავრობისადმი დაუმორჩილებელ

¹⁰⁹ შევლიძე, დ. და გურული, ვ. (რედაქტორი), *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა (1987-1992 წ.წ.)*, თბილისი: უნივერსალი, 2008; <https://georgiacenturyxx.wordpress.com/2012/04/22/პოლიტიკური-დაპირისპირებ/>, წვდომა 2018 წლის 17 მაისი; Zürcher, C., 2005, *Georgia's Time of Troubles, 1989–1993*, IN *Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution*, eds., Coppieters, B. and Legvold, R., American Academy Studies in Global Security, The MIT Press.

¹¹⁰ ნოდია, გ. და სკოლბაზი, ა.პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთოს დემკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.

¹¹¹ Carment, D., 2003, *Assessing State Failure: Implications for Theory and Policy*, *Third World Quarterly*, 24(3): 407-427.

¹¹² Broers, L., 2005, *After the 'Revolution': Civil Society and the Challenges of Consolidating Democracy in Georgia*, *Central Asian Survey*, 24(3): 333-350; Christophe, B., 1999, *Bringing Culture Back Into a Concept of Rationality. State-society Relations and Conflict in Postsocialist Transcaucasia*; Presentation on the FU Berlin conference.

¹¹³ Berglund, C., and Blauvelt, T., 2016, *Redefining the Nation: From Ethnic Fragmentation to Civil Integration?*, IN Nodia, G., ed., *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Konrad Adenauer Stiftung and Ilia State University Press.

აჭარის რეგიონზეც და კრიმინალის ბუდედ ქცეული პანკისის ხეობა.¹¹⁴ პოლიტიკური სისტემა ინარჩუნებდა თავს, მაგრამ სახელმწიფო სუსტი სახელმწიფოების კატეგორიას განეკუთვნებოდა.¹¹⁵

1993 წელს შექმნილი სახელისუფლებო პარტიის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის (სმკ) ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ელემენტს წარმოადგენდა თბილისის ინტელიგენცია, ღვაწლმოსილ პიროვნებათა კაშკაშა სახეები. კავშირმა ასევე მიიზიდა ზოგიერთი ძველი კომუნისტი ფუნქციონერი და ხელმძღვანელი. მოქალაქეთა კავშირის პრიორიტეტს წარმოადგენდა არჩევნებში გამარჯვება და არა პოლიტიკური მიზნების პროპაგანდა. მოქალაქეთა კავშირმა გააფართოვა წევრობის და ჩართულობის შესაძლებლობა; გაერთიანებამ მიიღო უფრო მოძრაობის, ვიდრე პარტიის სახე. შეიქმნა ჰიბრიდული პოლიტიკური სისტემა, რომელშიც თითქმის იყო პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ ნამდვილი პოლიტიკური კონკურენცია არ არსებობდა, არჩევნები ტარდებოდა, მაგრამ მისი შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.¹¹⁶ რეალური ძალაუფლება მეტად ვიწრო ელიტაში იყო კონცენტრირებული და ძირითადი მოთამაშეები სტატუს ქვოს შენარჩუნებაში იყვნენ დაინტერესებულნი.¹¹⁷ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები მეტად სუსტი იყო, საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა შემდგომი ათი წლის მანძილზე შეინარჩუნა დომინანტური პოზიცია, რომელიც ძლიერ პოზიციას ინარჩუნებდა ყველგან ფესვგადგმული პატრონ - კლიენტური ქსელებით.¹¹⁸

¹¹⁴ Kurtsikidze, S., and Chikovani, V., 2002, *Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey*, Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Working Paper Series; Nodia, G., 1999, *A New Cycle of Instability of Georgia: New Troubles and Old Problems*, IN *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Bertsch, G.K., Craft C.B., Jones, S.A. & Beck M.D., eds., Routledge; Devdariani, J. and Hancilova, B., 2002, *Georgia's Pankisi Gorge: Russian, Us and European connections*, CEPS (Center for European Policy Studies), Policy Brief No. 23.

¹¹⁵ Lieven, A., 2001, Georgia: A Failing State? EURASIA INSIGHT, February 7, 2001, წვდომა: <https://eurasianet.org/departments/insight/articles/eav013001.shtml>, 2018 წლის 22 ივნისი.

¹¹⁶ ნოდია, გ. და სკოლტაზი, ა.პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთოს დემკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.

¹¹⁷ Nodia G., 2002, *Putting the State Back Together in Post-Soviet Georgia In Beyond State Crisis?* IN *Post-Colonial Africa and Post-Soviet Eurasia in Comparative Perspective*, eds., Beissinger M.R. and Young, C., Woodrow Wilson Center Press; Christophe, B., 1999, *Bringing Culture Back Into a Concept of Rationality. State-society Relations and Conflict in Postsocialist Transcaucasia*; Presentation on the FU Berlin conference; Aprasidze, D., 2016, *25 Years of Georgia's Democratization: Still Work in Progress*, IN Nodia, G., ed., *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Nodia, G., ed., Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University Press.

¹¹⁸ Nodia, G., 2002, *Putting the State Back Together in the Post-Soviet Georgia* IN M.R. Beissinger and C. Young (eds), *Beyond State Crisis: Post-Colonial Africa and Post-Soviet Eurasia in Comparative Perspective*, Woodrow Wilson Center, Washington, D.C., pp. 413-43.

ფართოდ გავრცელებული კორუფცია წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას ქვეყნისათვის, სახელმწიფო მიტაცების პრობლემას.¹¹⁹ კორუფცია გავრცელებული იყო ცხოვრების ყველა სფეროში, სახელმწიფო სისტემა მორგებული იყო, გარკვეული ჯგუფების ინტერესებზე, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესები - სრულად უგულებელყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინარჩუნებდა მასიურ ბიუროკრატიულ აპარატს, ის ვერ ახერხებდა თავისი ძირითადი ფუნქციების განხორციელებას, ვერ იღებდა გადასახადებს მოსახლეობიდან, არ იყო უზრუნველყოფილი ისეთი ბაზისური საჯარო სიკეთეებიც კი, როგორც იყო დენი, ბუნებრივი აირი და წყალი. საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასები, ისევე როგორც მხოლოდ სიმბოლური დატვირთვის მქონე პენსიები, თვეების დაგვიანებით გაიცემოდა. სოციალური სფერო მხოლოდ თეორიულად ფუნქციონირებდა, ინფრასტრუქტურა - გზები და საზოგადოებრივი შენობები, გარდა იმისა რომლებსაც არემონტებდნენ საერთაშორისო დახმარების პროგრამების ფარგლებში, ავარიულ მდგომარეობაში იყო. შედეგად ღვივდებოდა პოლიტიკურ ცინიზმი, რომელიც ძირს უთხრიდა თავად სახელმწიფო ძალაუფლების ლეგიტიმურობას და ამცირებდა სახელმწიფოს უნარს გამკლავებოდა სერიოზულ გამოწვევებს.

ათწლიანი ჰეგემონური მმართველობის მიუხედავად საქართველოს მოქალაქეთა კავშირი სუსტად იყო ინსტიტუციონალიზირებული. მოქალაქეთა კავშირის რღვევა დაიწყო ახალგაზრდა რეფორმატორების დაპირისპირებით მოქალაქეთა კავშირის კონსერვატორულ ნაწილთან და დასრულდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. სახელისუფლებო პარტიამ არ აღიარა არჩევნებში დამარცხება და უარი თქვა კონსტიტუციურ ფარგლებში ძალაუფლების გადაცემაზე, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოებამ მშვიდობიანი პროტესტის საშუალებით აიძულა ხელისუფლება გადამდგარიყო. ნაციონალურმა მოძრაობამ და გაერთიანებულმა დემოკრატებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ხელისუფლების შეცვლაში. როცა 2003 წელს „ვარდების

¹¹⁹ დარჩიაშვილი, დ. და ნოღია, გ., 2003, *სუსტი სახელმწიფოს სინდრომი და კორუფცია, საერთაშორისო იდეა, დემოკრატიის შენება საქართველოში*, სტატია 5: ძალაუფლების სტრუქტურები საქართველოში, გვ. 16-22; ნოღია, გ. და სქოლტაზი, ა.პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთოს დემკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი; Shelley, L., Scott, E.R. and Latta, A., 2007, *Organized Crime and Corruption in Georgia*, eds., Routledge Transnational Crime and Corruption.

რევოლუციის“ შედეგად პრეზიდენტი იძულებული შეიქმნა თანამდებობიდან გადამდგარიყო, მისმა შექმნილმა პარტიამ საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ნაციონალური მოძრაობის და გაერთიანებული დემოკრატების გაერთიანება/ბლოკი - უკონკურენტო ლიდერი გახდა, რომელიც წინა მმართველი პარტიების მსგავსად ერთპიროვნულად აკონტროლებდა ხელისუფლების ყველა შტოს. გატარებული რეფორმების¹²⁰ - ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა კორუფციისა და ორგანიზებულ კრიმინალურ სამყაროს წინააღმდეგ, ძირითად საჯარო სააგენტოებში (საგადასახადო დეპარტამენტი, საბაჟო, საჯარო და სამოქალაქო რეესტრები, და ა.შ.) სისტემური კორუფციის აღმოფხვრა, საჯარო სამსახურში ახალი კულტურის დაარსება - შედეგად მოხდა სახელმწიფო ინსტიტუტების საგრძნობი გაძლიერება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი, მოხდა აჭარის რესპუბლიკის სრული რეინტეგრაცია, თუმცა აფხაზეთის და სამხრეთ - ოსეთის დაკარგულ რეგიონებზე კონტროლის აღდგენა ვერ მოხერხდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში საქართველომ ნამდვილად განიცადა მოდერნიზაცია: გატარდა სტრუქტურული რეფორმები კორუფციული პრაქტიკის პრევენციის მიზნით, შედეგად „მოიშალა“ კორუფციული სისტემები ძირითად საჯარო უწყებებში, მოწესრიგდა გადასახადების აკრეფა, შეიქმნა საპატრულო პოლიცია, გაძლიერდა შეიარაღებული ძალები; მოხდა საზოგადოებისათვის სასარგებლო მომსახურებების გაწევის უზრუნველყოფა; მუნიციპალური სამსახურის დეცენტრალიზაცია; ბიზნესის დერეგულაცია და ბიზნეს-გარემოს საგრძნობლად გაუმჯობესება; საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ამოქმედება/ამუშავება; შეიქმნა ქმედუნარიანი სახელმწიფო მანქანა, ეკონომიკა გადავიდა ლიბერალურ რელსებზე. გატარებული რეფორმების შედეგად სახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელოვან გაძლიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ მიუხედავად რუსეთის 2008 წლის სამხედრო

¹²⁰ World Bank, 2012, *Fighting Corruption in Public Services: Chronicling Georgia's Reforms*, International Bank for Reconstruction and Development / International Development Association or the World Bank, Washington, DC;

ინტერვენციის შედეგად მიყენებული ზარალისა, პოლიტიკურმა სისტემამ ფუნქციონირების უნარი, მდგრადობა და მოქნილობა სრულად შეინარჩუნა.

თუმცა შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ფუნდამენტალური რეფორმები შესაძლებელი გახდა დემოკრატიული ბალანსის დარღვევის ხარჯზე.¹²¹ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ხელისუფლებას ბრალს დებდნენ მზარდ ავტორიტარიზმში. ფრენსის ფუკუიამას აზრით მზარდად ავტორიტარული არ არის არა დემოკრატიულის სინონიმი, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში არსებობდა ზოგადი კონსესუსი, რომ ძველი სისტემა ძირმომპალი ღრმად კორუმპირებული იყო და მას ნამდვილად სჭირდებოდა შეცვლა. სამოქმედო მანდატს მთავრობას სწორედ ეს კონსესუსი ანიჭებდა.¹²² დასავლელი ავტორები თანხმდებიან რომ პოლიტიკური კონკურენციის და პლურალიზმის დონე განასხვავებს საქართველოს კლასიკური ავტორიტარული რეჟიმებისაგან.¹²³ მართლაც რეგიონში საქართველო თურქეთის გამოკლებით, ყველაზე თავისუფალ და პლურალისტურ საზოგადოებას წარმოადგენდა თავისი კრიტიკული მედიით, აქტიური სამოქალაქო ორგანიზაციებით და მწვავე პოლიტიკური კონკურენციით.¹²⁴ თუმცა ბევრი ანალიტიკოსის აზრით ეს არ იყო საკმარისი და საქართველოს ახასიათებდნენ როგორც ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყანას.¹²⁵ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უახლოეს ისტორიაში პოლიტიკური ძალაუფლების შეცვლა, როცა ის იცვლებოდა, არ ექცეოდა კონსტიტუციურ ჩარჩოებში.¹²⁶ მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა - რომელიც როგორც წინა არჩევნები - პოლიტიკურ ძალებს შორის უკიდურესი დაპირისპირების და საზოგადოების მასობრივი

¹²¹ ნოდია, გ. და სქოლტბაზი, ა.პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი; Nodia, G. ed., *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University Press;

¹²² ყოველკვირული სატელევიზიო გადაცემა „ინტერVIEW“, 28-01-2016.

¹²³ Waal, Thomas de., 2011, *Georgia's Choices: Charting a Future in Uncertain Times*, https://carnegieendowment.org/files/georgias_choices.pdf, წვდომა 2018 წლის 22 მარტი; Goodheart, D., 2011, *Misha's freedom laboratory*, <https://www.prospectmagazine.co.uk/magazine/mikhail-saakashvili-interview-georgia-freedom-tblisi>, წვდომა 2018 წლის 22 მარტი.

¹²⁴ Nodia, G., 2012, *Georgia's Election: Lesson and Prospect*, <https://www.opendemocracy.net/ghia-nodia/georgias-election-lesson-and-prospect>, წვდომა 2018 წლის 14 მარტი.

¹²⁵ ლარი დაიმონდი - საჯარო ლექცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2015, *Democracy and State-Building in the Post-Soviet Realm: Where We Stand Twenty-Five Years Later*; Levitsky, S. and Lucan A. W., 2010, *Competitive Authoritarianism*, Cambridge: Cambridge University Press.

¹²⁶ ძალადობრივი გზით ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა (1991-1992 წწ.), „ვარდების რევოლუცია“ არჩევნების გაყალბების შედეგად (2003 წ.).

მობილიზაციის ფონზე განვითარდა - ცხადყო, რომ საქართველომ მიაღწია წარმატებას არა მხოლოდ მოდერნიზაციაში, არამედ დემოკრატიაშიც. ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოვიდა რევოლუციის, თუმცა მშვიდობიანი რევოლუციის გზით და დატოვა ხელისუფლება კანონიერი გზით, ცნო დამარცხება და გადააბარა ძალაუფლება არჩევნებში გამარჯვებულს კონსტიტუციური დემოკრატიული საშუალებებით.

2012 წელს გამარჯვებული პარტია - ქართული ოცნება ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვიდა¹²⁷, ხოლო 2016 წლის არჩევნების შემდეგ მან კონსტიტუციური უმრავლესობაც მოიპოვა.¹²⁸ არჩევნების შემდეგ დაპირისპირება ორ ძირითად პარტიას - ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას - შორის მიმდინარეობდა როგორც თვითმმართველობებში, ასევე აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში, სადაც ხელისუფლება მაქსიმალურად ახდენდა არსებული ძველი კადრების ჩანაცვლებას. ახალი მმართველი პარტიაც და საზოგადოების დიდი ნაწილიც ელოდა, რომ ნაციონალური მოძრაობა საერთოდ დაიშლებოდა, როგორც ეს წინა მმართველ პარტიებს დაემართა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მომდევნო წლებში მორალური, სამართლებრივი და პოლიტიკური დევნის ობიექტი გახდა¹²⁹, მაგრამ ადრინდელი მმართველი პარტიებისგან განსხვავებით, შეინარჩუნა თავისი ელექტორატის გარკვეული პროცენტი და ძირითად ოპოზიციურ ძალად დარჩა.

როდესაც პრემიერ მინისტრი 2013 წლის ბოლოს თანამდებობიდან გადადგა, ქვეყანაში გამწვავდა არაფორმალური მმართველობის და სახელისუფლებო ანგარიშვალდებულობის თემა¹³⁰. სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის და

¹²⁷ OSCE/ODIHR, "Georgia Parliamentary Elections 1 October. 2012 OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report". Warsaw, 21 December 2012.

¹²⁸ OSCE/ODIHR, "Georgia Parliamentary Elections 8 and 30 October 2016. OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report". Warsaw, 3 February 2017.

¹²⁹ Civil Georgia, *ელტოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენლის განცხადება მერაბიშვილის დაპატიმრებაზე*, <https://civil.ge/ka/archives/151789>, წვდომა 15 სექტემბერი 2015, 23.05.2013; Georgian Democracy Initiative, *Politically Biased Justice in Georgia, 2015*, <https://qdi.ge/uploads/other/0/241.pdf>, წვდომა 07 მაისი 2017.

¹³⁰ Nodia, G., 2020, *The Uncertain State of Georgia's Democracy*, ბმ: https://3dcftas.eu/publications/the-uncertain-state-of-georgia%E2%80%99s-democracy?fbclid=IwAR1IAIpXAuCT2NjEUILLV2k-HBgT7XB_vuzUuJ-lmX0iEpPaQNH03_WR4, წვდომა 5 მაისი, 2020.

მკვლევარის ლ. დაიმონდის¹³¹ პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე არაფორმალური მმართველობა (საქართველოში კი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის კვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყანას განაგებს არაფორმალური ლიდერი), იყო „თუ ყველაზე გავლენიანი პიროვნება ქვეყანაში არ არის პოლიტიკურ თანამდებობაზე, არ არის ანგარიშვალდებული, ეს არის დემოკრატიის მთავარი პრინციპის ფუნდამენტალური დარღვევა“. უნდა არსებობდეს პოლიტიკური ანგარიშვალდებულება ხელისუფლებისა ხალხის მიმართ, არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდებში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. დაიმონდმა აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებაზე „არ შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პირი არ იკავებს პოლიტიკურ თანამდებობას, არამედ კულისებიდან აფინანსებს და გავლენას ახდენს იმათზე, ვისაც დაკავებული აქვს პოლიტიკური თანამდებობები. ასეთ სიტუაციაში დემოკრატიაზე ვერ ვისაუბრებთ, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ძალაუფლების წყარო დემოკრატიულად არ არის ანგარიშვალდებული... დემოკრატიის პრინციპის თანახმად, ის, ვისაც გააჩნია ძალაუფლება, უნდა იყოს პოლიტიკურად ანგარიშვალდებული“. ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების აზრით, არაფორმალური მმართველობა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.¹³²

¹³¹ ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემა „თეორემა“, 2015, <http://www.tabula.ge/ge/tv/teorema/94577-lari-daimondi-araformaluri-martvis-pirobebshi-demokratia-sheudzlebelia>, წვდომა 2018 წლის 19 მარტი.

¹³² Georgian Institute of Politics, 23.12.2019, "Observers Warn Georgia's Democracy is Deteriorating". <http://gip.ge/observers-warn-georgias-democracy-is-deteriorating/#more-13559>; Nodia, G., 2020, The Uncertain State of Georgia's Democracy, https://3dcftas.eu/publications/the-uncertain-state-of-georgia%E2%80%99s-democracy?fbclid=IwAR3Xz4SkQWe_WSEBD5kkNAho8MJs7ZBIq9PjGTipZ-ES9wz_Lb4EOTZRI-Ic, წვდომა 2020 წლის 7 ივნისი;

თავი 3. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში და მოქალაქეთა

მონაწილეობა: ფორმები და მეთოდები

სამოქალაქო საზოგადოება კონსოლიდირებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის საფუძველია. ის თავისი შუალედური ინსტიტუტებით წარმოადგენს თვითმართვად მაკროსისტემას, ერთობას, რომელსაც შესწევს უნარი ყოველდღიურ ცხოვრებაში იმოქმედოს სახელმწიფოს მითითებების, გავლენის გარეშე. სამოქალაქო საზოგადოებაა საერთო ინტერესებისა და ამოცანების სოციალური ჯგუფები. სამოქალაქო საზოგადოებასთან ასოცირდება არასამთავრობო სექტორი. ნაშრომში სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელ ნაწილად განიხილება აგრეთვე პოლიტიკური პარტიები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების შუალედური ინსტიტუტები.

მოცემულ თავში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, ნამდვილად შედგება თუ არა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ჭეშმარიტი სოციალური ძალებისაგან,¹³³ განსხვავებული ჯგუფების ქსელებისგან, რომლებთაც შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ საკუთარი რესურსები საჯარო სფეროში თავისი ინტერესების წარმოსაჩენად და დასახული ამოცანების გადასაწყვეტად; რამდენად აქტიურად არიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში, რამდენად აქვთ განვითარებული თვითორგანიზების უნარი, საზოგადოებრივი გარემოს შეცვლის სურვილი, რამდენად ეყრდნობიან ისინი მოხალისეობას. სამოქალაქო მონაწილეობის რა სფეროები და ფორმებია უფრო განვითარებული დღეს საქართველოში, სამოქალაქო აქტივობის შედეგად რა იცვლება ქვეყანაში, თუ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას გავლენა მოახდინოს მთავრობაზე თუ გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე, ან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. როგორი ღირებულებების გავრცელებას უწყობს ხელს, რა მიზნებისა და ღირებულებების გარშემო ერთიანდება ნებაყოფლობით ადამიანთა (ლიბერალური თუ არალიბერალური) მეტი რაოდენობა. ფართოვდება თუ არა

¹³³ Fukuyama, F., 2011, *The Origins of the Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, New York: Farrar, Straus and Giroux, p. 139; Huntington, S., 2006, *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press, pp. 8-11.

სამოქალაქო მონაწილეობა საქართველოში და, ამასთან ერთად, თუ იცვლება ის თვისობრივად, თუ ხდება ახალი იდეების და მიდგომების წარმოჩენა და დანერგვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ნაშრომში განხილული მასალა, მთლიანად ვერ ამოწურავს სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვნებას. მედია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილია, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტია და ახდენს არა მარტო საზოგადოების ინტერესების არტიკულირებას და გავრცელებას, არამედ საზოგადოებრივი ჯგუფების მობილიზაციასაც, არ მოხვდა მოცემულ კვლევაში იმ მიზეზით, რომ ის, ამავე დროს, მოგებაზეა ორიენტირებული და შედეგად ბიზნესის ნაწილს წარმოადგენს. ნაშრომში არ მოხვდა პროფკავშირები, რომლებიც გამოხატავენ დაქირავებულ მუშაკთა ეკონომიკურ (ან ბიზნესის ან სახელმწიფო) ინტერესებს; სხვადასხვა სახის კერძო გაერთიანებები (მაგალითისთვის, კლუბები ინტერესების მიხედვით და ა.შ.), რომელთა მიზანი მხოლოდ მათი წევრების ინტერესებია და არა საზოგადოებრივი გარემოს შეცვლის სურვილი. აგრეთვე არ არის განხილული მონაწილეობის არა-ორგანიზებული ფორმები, მაგალითად, ინტერნეტის, სოციალური ქსელების გამოყენება.

3.1. მესამე სექტორი

90-იანი წლების დასაწყისიდან ხელისუფლებამ, გაითვალისწინა რა დასავლეთის მხრიდან საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების და ხელშეწყობის ინტერესი, ხელი არ შეუშალა ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების - „მესამე სექტორის“ შექმნას, რომლის ძირითადი ამოცანა იყო დემოკრატიული ტენდენციების განვითარება,¹³⁴ თავდაპირველად არასამთავრობო სამოქალაქო ორგანიზაციები დასავლური ფონდების, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური დახმარებით დაარსდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს ფონდებმა ღია საზოგადოება - საქართველომ, ევრაზიამ და ISAR GEORGIA-მ.

¹³⁴ დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია, სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტი, გამოქვეყნებული 2015 წლის 11 მარტს, https://issuu.com/georgianpolitics3/docs/report-geo-001_0, წვდომა 2017 წლის 5 სექტემბერი.

საქართველოში სამოქალაქო სექტორის წარმოშობა და განვითარება დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებული გზით განხორციელდა. არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც მრავალფეროვან საზოგადოებრივ ინტერესთა გამოხატვის ასპარეზი, თავად საზოგადოებიდან არ აღმოცენებულა. თუ ზოგადად, სამოქალაქო ორგანიზაციის დაფუძნების უკან მრავალი განსხვავებული მოტივი, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, კონკრეტული სოციალური ჯგუფის ინტერესების დაცვა და ა.შ. შეიძლება იყოს, საქართველოში ასეთი ორგანიზაციების ჩამოყალიბება სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივას, პროფესიონალური სფეროს დასაქმების წყაროს წარმოადგენდა. მოცემული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ძირითადად დასაქმების საშუალებას წარმოადგენენ. არასამთავრობო ორგანიზაციები ნაკლებად იქმნებოდნენ ნებაყოფლობით ან თვითორგანიზებით ისე, რომ ინდივიდები, რომლებიც მონაწილეობდნენ სამოქალაქო ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, სხვაგან ყოფილიყვნენ დასაქმებული, სხვა სამსახურები ან დამოუკიდებელი ფინანსური წყარო ჰქონოდათ და ამავე დროს, თავისი ნებით გაერთიანებულიყვნენ საერთო ინტერესების დასაცავად და წინ წასაწევად. სამოქალაქო ორგანიზაციები პრაქტიკულად არ გულისხმობდნენ მასობრივ წევრობას და განიხილებოდნენ დასაქმების ერთ-ერთ შესაძლებლობად, წარმოადგენდნენ მომცრო პროფესიონალურ აპარატებს, რომლებიც არა მონაწილეთა შენატანების, არამედ საერთაშორისო დონორების, გრანტების ხარჯზე არსებობდნენ. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში სამოქალაქო მონაწილეობისა და სამოქალაქო საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის საკვანძო ინსტიტუტებად იქცნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მტკიცებით, ისინი ხელს უწყობენ ფართო მონაწილეობის გავრცელებას. საქართველოში უფრო და უფრო მეტი სტუდენტი უერთდება „მესამე სექტორს“, როგორც მოხალისეები. მაგრამ მნიშვნელოვანია ამგვარი მოხალისეობის უკან მდგარი მოტივების შეფასება და ანალიზი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება გამოიყენონ მოხალისეები, ამით დაზოგონ ფინანსური რესურსები და ორგანიზაციის მოქმედების არეალის გაზრდის საჭიროების შემთხვევაში,

შეარჩიონ მომავალი კადრი. თავის მხრივ, თუ მოხალისე თავს კარგად წარმოაჩენს, მას შეიძლება სამსახურში აყვანის, დასაქმების შანსი გამოუჩნდეს. რა თქმა უნდა, თავად სტუდენტებსაც ესმით, რომ ისწავლონ და განავითარონ თავიანთი კარიერა, პრაქტიკული გამოცდილება უნდა დააგროვონ. თუ ახალგაზრდა წარმოადგენს დამადასტურებელ ინფორმაციას, რომ ის მოხალისედ მუშაობდა მეტად რესპექტაბელურ ორგანიზაციაში, ახორციელებდა ადმინისტრაციულ მოვალებებს ან კოორდინაციას უწევდა ტრენინგებსა და კონფერენციებს, მას მეტი შანსი ექნება დაიწყოს მუშაობა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში. და ვინაიდან ამ ტიპის მოხალისეები ელიან დასაქმებას, ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ჭეშმარიტ მოხალისეობაში ან საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღებაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი, ვისაც თავად არასამთავრობო ორგანიზაციები მოიხსენიებენ როგორც „მოხალისეებს“, რეალურად სტაჟიორები არიან.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ „მესამე სექტორში“ დასაქმებულები საქართველოში დღეს უკვე გარკვეულ სოციალურ ფენას წარმოადგენენ: ისინი ძირითადად დასაქმებულნი არიან დედაქალაქში (არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი დედაქალაქშია წარმოდგენილი, რეგიონებში დონორთა მრავალწლიანი მიზანმიმართული ქმედებების მიუხედავად, სამოქალაქო აქტივობა ნაკლებია), შედარებით ახალგაზრდები არიან, განათლებულები, ფლობენ უცხო ენას და ა.შ. ეს ყოველივე, გარკვეულ წილად, ამ სექტორს ერთგვარი ელიტურობის ელფერს სძენს.¹³⁵ ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოცდილება შეიძინეს, მდგრადი და სტაბილური მენეჯმენტის სისტემები შექმნეს, მოიზიდეს მუდმივი პერსონალი, გაიზარდნენ პროფესიული თვალსაზრისით, ისწავლეს ძალისხმევის გაერთიანება კონკრეტული მიზნების მისაღწევად, განავითარეს საერთაშორისო კონტაქტები და წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებენ პროექტებს. საზოგადოებამ არასამთავრობო ორგანიზაციები გაიცნო როგორც „მესამე სექტორი“ და ის გარკვეული ღირებულებების გავრცელებასა და დაცვასთან გააიგივა. საქართველოში, დაარსების მომენტიდან, არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად

¹³⁵ ნოდია, გ., 2005, *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა.

დასავლური ტიპის ლიბერალური ღირებულებების - ადამიანთა უფლებების, კანონის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოების, ეკონომიური განვითარების, დემოკრატიის და გამჭვირვალობის, კარგი მმართველობის, სოციალური პრობლემების მოგვარების და ა.შ. დაცვასა და გავრცელებას ემსახურებოდნენ. „დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული“ პოლიტიკური დაჯგუფებები არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაყრდენ ძალას ხედავენ, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კავშირი.

ამავე დროს, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად იქცა დასავლური ფინანსური წყაროების დახმარებით არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული მდგრადობის გაზრდა. არასამთავრობო სექტორის უარყოფითი შეფასებები უკავშირდება გრანტების მოზიდვას, მათი ხარჯების შეფასებას. ასეთი დამოკიდებულების გავრცელება საზოგადოებაში გამოწვეულია იმით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების შემოსავალი და ცხოვრების პირობები, საშუალო სტატისტიკური მოქალაქის შემოსავალზე და ცხოვრების პირობებზე მაღალია. ამიტომაც, საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა საქართველოში დასავლური ღირებულებების გავრცელებას (წარსულზე ორიენტირებული პოლიტიკური დაჯგუფებები, მათ შორის რელიგიური ექსტრემისტები), არასამთავრობო ორგანიზაციები თავიდანვე ქვეყნისათვის უცხო ინტერესთა და ღირებულებათა უპრინციპო დამამკვიდრებლად ჩათვალა და გამოაცხადა, რომ ისინი მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის. ამით „მესამე სექტორს“ ლეგიტიმურობის პრობლემაც შეექმნა საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში.

საქართველოში ლიბერალური არასამთავრობო სექტორი უზრუნველყოფს მოსახლეობას საჭირო მომსახურებებით, ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს: იცავს დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობას, ეფექტურ მმართველობას, ადამიანთა უფლებების დაცვას და სხვა ღირსეულ მიზნებს. მაგრამ, ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციები იშვიათად თუ ცდილობდნენ თავად მოქალაქეების მობილიზებას, მათი ინტერესების არტიკულაციას და ამგვარად, უფრო ფართო სამოქალაქო მონაწილეობის

ხელშეწყობას¹³⁶. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება აღიქმება, როგორც მხოლოდ ორგანიზაციების ერთობა. ასეთი ვითარება შესაძლებელია თვითონ საზოგადოების და, ზოგადად, ქვეყნის ტრადიციულობას დავაბრალოთ, სადაც სამოქალაქო აქტივობის და ჩართულობის ერთადერთი ფორმა შეიძლება იყოს ფორმალურად დაფუძნებული ორგანიზაცია. ის, რაც სამოქალაქო ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს, არის სამოქალაქო პროცესებში ნებაყოფლობითი მომხრეების მოქმედებისთვის საფუძვლის შექმნა ან უფრო ფართომასშტაბიანი საჯარო მონაწილეობისთვის¹³⁷ სივრცის უზრუნველყოფა. სამოქალაქო აქტივობა არ ნიშნავს მხოლოდ პროფესიულ სამოქალაქო აქტივობას ანუ, მხოლოდ იმ ადამიანების აქტივობას, რომლებიც ამ საქმიანობაში ხელფასს იღებენ. სამოქალაქო აქტივიზმი არ იწყება და არ მთავრდება არასამთავრობო ორგანიზაციებით. საერთაშორისო დონორების წყალობით შექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოში ძალიან ბევრი კარგი საქმე გააკეთეს, მაგრამ, ნეგატიურად ჰქონდათ იმ თვალსაზრისით, რომ სამოქალაქო აქტივიზმი საზოგადოების თვალში გაუთანაბრდა პროფესიულ სამოქალაქო აქტივიზმს და ჰიპოთეტურად შეიძლება ითქვას, რომ შეაფერხეს სამოქალაქო საზოგადოების ბუნებრივი, სპონტანური აქტივობა. დისკუსიები ქვეყნის განვითარების, არსებული პრობლემების ალტერნატიული გადაწყვეტის გზების, განსხვავებული ინტერესების და ა.შ. შესახებ იშვიათად თუ იმართება „მესამე სექტორის“ ფარგლებში, „მესამე სექტორი“ ვერ იქცა საზოგადოებაში დიალოგის კულტურის, განსხვავებათა ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების, პლურალიზმის, მრავალფეროვნების გამოხატვის სივრცედ.

ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის, მობილიზაციის არასაკმარისი უნარი ამცირებს არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობას გავლენა მოახდინონ, როგორც

¹³⁶ Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC), *2014 Follow-up Report on Civic Engagement* – ის თანახმად, სამოქალაქო მონაწილეობის დონე საქართველოში, როგორც წევრობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირების ჩათვლით, საქართველოში მეტად დაბალია: 2014 წელს, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2% იყო გაწევრიანებული ამა თუ იმ ტიპის ორგანიზაციაში. რაც შეეხება არასამთავრობოების მიერ მოსახლეობის ჩართვას: 2014 წელს, მოსახლეობის 13% განაცხადა, რომ მათ დაუკავშირდნენ არასამთავრობოების წარმომადგენლები (იგივე განაცხადა 2011 წელს 6%-მა), ბოლო ორი წლის განმავლობაში 9% დაესწრო არასამთავრობოების მიერ ორგანიზებულ მიტინგებს (2011 წელს 5% დაესწრო ამგვარ მიტინგს), 6%-მა დაურეკა ან მიაკითხა არასამთავრობო ორგანიზაციას (2011 წელს - 2%-მა).

¹³⁷ Sumbadze, N., 2013, *Determinants and Consequences of Civic Participation*, New York: Institute for Policy Studies, ASCN (Academic Swiss Caucasus Net); 2003, *Civic Participation in Public and Political Life*, International IDEA, Building Democracy in Georgia, Discussion Paper 7: Tbilisi: Developing a Democratic Community in Georgia; ნოდია, გ., 2005, *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა.

ხელისუფლებაზე, ასევე სხვა საზოგადოებრივ აქტორებზე. საერთაშორისო დონორული ორგანიზაციები ცდილობდნენ განევიტარებინათ თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა იყო 2012 წლის დეკემბერში სამოქალაქო საზოგადოების რეგიონალური ქსელის დაარსება. ამ ქსელის მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ადგილზე არსებული პოტენციალის და რესურსების იდენტიფიცირება და გაძლიერება. თუმცა, ამ საქმიანობებით მნიშვნელოვანი შედეგები დღემდე ვერ იქნა მიღწეული.

საქართველოში ხშირად წუხან იმის გამო, რომ საზოგადოება არ არის საკმარისად აქტიური. თუმცა, მოსახლეობის ფართო ფენები საკმაოდ აქტიურად ერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში. მოქალაქეები უფრო ხშირად დადიან პოლიტიკური პარტიების მიერ მოწყობილ აქციებზე და უფრო ნაკლებად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ აქციებზე. ძალიან კარგად აორგანიზებს ეკლესია მრევლის აქციებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის, რის გარშემოც ვერ ხერხდება ხალხის მობილიზება, არის სამოქალაქო ღირებულებები. შესაძლოა, უფრო მეტი ხალხი იმიტომ დადის პოლიტიკური პარტიების მიერ მოწყობილ აქციებზე და ნაკლები სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე, რომ პოლიტიკის კეთება, ან იმის შეგრძნება, რომ რაღაცას აკეთებ, დაკავშირებულია უფრო პოლიტიკურ პარტიებთან, მათ მიერ გამართული აქცია მოქალაქეებისთვის სხვა სტატუსის მქონეა, უფრო მნიშვნელოვანია, ჰგონიათ რომ მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ყველა პრობლემა, სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ყველაფერი. ასეთ მიტინგებზე იმიტომ მიდიან, რომ ან პროტესტს, ან პირიქით, სოლიდარობას უცხადებენ მთავრობას, იმის ნაცვლად, რომ აღიარონ, რომ რაღაც საზოგადოებაზეც არის დამოკიდებული. როგორც ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, საქმე გვაქვს სამოქალაქო აქტივიზმის იმდენად არა რაოდენობრივ, რამდენადაც თვისობრივ პრობლემებთან¹³⁸.

¹³⁸ ჰაინრიჰ ბოლის ფონდის (Heinrich Böll Stiftung, South Caucasus) საჯარო დისკუსია: *მოქალაქის როლი პოლიტიკაში - რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი*, თბილისი, 2012 წლის 22 მარტი; წვდომა: <https://ge.boell.org/ka/2012/03/22/mokalakis-rol-i-politikashi-ras-nishnavs-samokalako-aktivizmi>, წვდომა: 2018 წლის 11 სექტემბერი.

საქართველოში ბევრი ადამიანი თვლის, რომ ნორმატიული თვალსაზრისით, აუცილებელია სამოქალაქო აქტივიზმი. მოქალაქეთა სხვადასხვა ფენების აქტივიზმი პრაქტიკაში გამოწვეულია განსხვავებული მოთხოვნებით, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ხოლო საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმების პლურალიზმის შეწყნარება და გაგება საკმაოდ ჭირს.

საქართველოში სამოქალაქო აქტივობები ძირითადად ორი ნიშნით ხასიათდება: ერთი არის ნეგატიური განწყობა, პროტესტი რაღაცის წინააღმდეგ, როდესაც ბევრი ადამიანი გამოდის რაღაცის გასაპროტესტებლად; ხოლო მეორეა ემოციური მუხტი, ამიტომ ხშირად აქციებს და სამოქალაქო აქტივობებს ერთჯერადი ემოციური სახე აქვს. სათანადო ემოციის ადამიანები მონაწილეობას ღებულობენ მიტინგში, ხოლო როდესაც ეს ემოცია გადადის, ისინი ისევ პასიურები ხდებიან.

სამოქალაქო აქტივიზმი კი ის არის, რომ არავისგან არანაირ დახმარებას არ ელოდები, არ ხარ არავისზე დამოკიდებული. ერთადერთი გამოსავალი არის საკუთარი ინიციატივა და თვითორგანიზაცია. კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭიროა თანმიმდევრული მოქმედებების დაგეგმვა და ორგანიზება. ქართული საზოგადოება კი ამ ტიპის აქტივიზმისთვის სუსტად არის განვითარებული.

კიდევ ერთი სისუსტე, რაც ახასიათებთ სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებს საქართველოში, შეიძლება ის იყოს, რომ ეს ორგანიზაციები დამოკიდებულნი არიან გარე დახმარებებზე. „National Endowment for Democracy“- მ,¹³⁹ როგორც მისი ანგარიშებიდან არის ცნობილი, 2013 წელს 1.2. მლნ აშშ დოლარის გრანტები გაანაწილა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების სამ ათეულ პროექტს შორის. მათი მუშაობის ძირითად მიმართულებებად იქცა სამოქალაქო განათლების, მედიის ხელშეწყობის, მათ შორის – ჟურნალისტური გამოძიებების პროგრამები, არჩევნების მონიტორინგი, სამოქალაქო კონტროლი აღმასრულებელი საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაზე და სხვ.

¹³⁹ არასამთავრობო სექტორის პოლიტიკური როლი საქართველოში - საქინფორმი, წყარო: <http://saginform.ge/news/27261/arasamTavrobo+sektoris+politikuri+roli+sagarTveloshi+%E2%80%93+saginformi.html>, <https://www.ned.org/region/eurasia/>, წვდომა 2018 წლის 5 აპრილი.

ისმის კითხვა, უზღუდავს თუ არა უცხოურ დონორებზე დამოკიდებულება ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობებს თავად განსაზღვრონ მოქმედების სტრატეგია და დასახონ განსახორიელებელი ამოცანები. ამ საკითხთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და ექსპერტების შეხედულებები იყოფა: ზოგიერთი რესპონდენტის, ძირითადად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, პასუხებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დამოკიდებულება სერიოზულად არ ზღუდავს ორგანიზაციებს თავისი დღის წესრიგის განსაზღვრაში, თუმცა გარკვეულ ჩარჩოებს მაინც უწესებს მათ. დონორები გათვითცნობიერებულნი არიან ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და პრიორიტეტებზე, ისინი შესაბამისი ორგანიზაციებიდან ღებულობენ ინფორმაციას და ზუსტად ეს პრობლემები და პრიორიტეტები შეადგენენ დონორების პროექტების საფუძველს.

თუმცა არიან ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რეალობაში დონორები გავლენას ახდენენ არასამთავრობო ორგანიზაციების დღის წესრიგზე. ის პრობლემები, რომლებიც რეალურად აწუხებს საქართველოს საზოგადოებას, შეიძლება ჩანაცვლდეს იმ პრობლემებით, რომლებიც ასე აქტუალური შეიძლება არც ყოფილიყო ქართული საზოგადოებისთვის მათზე დახარჯული ამდენი ფულის, დროის და ენერგიის გარეშე. მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად ხაზს უსვამდნენ გენდერულ პრობლემებს საქართველოში მაშინ როდესაც, თავად საქართველოს საზოგადოება ამ პრობლემებს ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს, რომ ამ მიმართულებით სამუშაო არ არის ჩასატარებელი. მაგრამ საზოგადოებისათვის სხვა საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა, სიღარიბე, ჯანდაცვა და ა.შ., წარმოადგენენ უფრო მნიშვნელოვან პრიორიტეტებს. საქართველოში, სადაც სამოქალაქო მონაწილეობის ნებისმიერი ფორმა მთლიანად დამოკიდებულია გარეშე დახმარებაზე, უცხოური დონორების ზოგი პრიორიტეტი შეიძლება სრულად არ ასახავდეს იმ მოთხოვნებს, რომელიც ქვეყანაში არსებობს. არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ეს სისუსტე გადაძლიონ იმით, რომ დაამტკიცონ, რომ ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებს, რომ მათი საქმიანობა დაფუძნებულია როგორც მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციებზე, ასევე კვლევებზე, რომ მათ გათვითცნობიერებული აქვთ თავისი

პრიორიტეტები და ინტერესები და გააჩნიათ ყველანაირი აუცილებელი ინფორმაცია გადაწყვეტილებების მისაღებად. მაგრამ, ყველა ამ მცდელობამ, ჯერჯერობით, ვერ შეცვალა საზოგადოების შეხედულება მათზე.

არსებობს გარკვეული რისკი, რომ თუ საერთაშორისო დონორების დახმარება შეწყდება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვერ გააგრძელებენ მოღვაწეობას და გაქრებიან. გათვითცნობიერებული აქვთ რა საფრთხეები, სამოქალაქო ორგანიზაციები ეძებენ შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს, მაგრამ აქამდე ამ მხრივ დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ალტერნატიული ფინანსური წყაროს ძიების დროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ყურადღებას კვლავ გრანტებზე ამახვილებენ, მაგრამ ამჯერად სხვა წყაროებიდან, როგორიცაა ბიზნესი ან საქართველოს მთავრობა. არასამთავრობო ორგანიზაციები იშვიათად თუ განიხილავენ თანხების მოძიების სხვა ფორმებს, როგორიცაა მაგალითად საწევრო გადასახადი, კერძო შემოწირულობები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ საქართველოში მნიშვნელოვან როლს, ცდილობენ სამთავრობო გადაწყვეტილებებზე მოახდინონ გავლენა, ქვეყანაში ავრცელებენ ლიბერალურ ღირებულებებს, აძლიერებენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ხელს უწყობენ ეფექტური მმართველობის დაარსებას და გამჭვირვალობას და ა.შ., ისინი ვერ აკმაყოფილებენ სამოქალაქო საზოგადოების კლასიკურ განმარტებას. არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ იქცნენ ჭეშმარიტ სოციალურ ძალებად, არ შესწევთ უნარი შეასრულონ შუამავალი ინსტიტუტების როლი და გამოიწვიონ ხარისხობრივი ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში.

3.2. მოხალისეობის ახალი სფეროები

ბევრი ექსპერტის აზრით, ქართულ საზოგადოებაში მოქალაქეთა აქტივობა უკავშირდება ამა თუ იმ ტიპის ორგანიზაციულ თუ არასამთავრობო სექტორს და ეს არის საქართველოში სამოქალაქო სექტორის მთავარი პრობლემა. საქართველოს არ გააჩნია მოხალისეობის ტრადიცია. საბჭოთა კავშირში მოხალისეობის ინსტიტუტი სავალდებულო და იძულებითი სახის აქტივობებთან იყო დაკავშირებული და

კომუნისტური იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა (ე.წ. „შაბათობები“, კარტოფილის მოსავლის ასაღებ სამუშაოებში მონაწილეობა თუ სხვა). შესაძლოა, სწორედ ეს განაპირობებს საქართველოში მოხალისეობის ინსტიტუტის არაპოპულარობას. შეიძლება, მოხალისეობის ნაკლებად განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი იყოს, ხალხს მატერიალურად უჭირს და ადამიანები, პირველ რიგში, ანაზღაურებად სამუშაოს ეძებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებობს სამოქალაქო მონაწილეობის ისეთი ფორმებიც, რომლებიც არ არიან ასოცირებულნი არც ფინანსურ მოტივებთან, არც კარიერის განვითარების სურვილთან. თუმცა ამ ტიპის მონაწილეობა არ არის ისეთი მასშტაბების, რომ გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.¹⁴⁰ საქართველოს მოქალაქეები უთმობენ საკუთარ დროს და მოხალისეობრივ საწყისებზე ეხმარებიან ოჯახის წევრებს, მეგობრებს და მეზობლებს. მაგრამ, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მათ წრეს არ ეკუთვნიან, ისინი სკეპტიკურად არიან განწყობილნი. მაშინ, როდესაც გამოკითხულთა მეოთხედი (24%), ამბობს რომ ადამიანების უმეტესობის ნდობა შეიძლება, თითქმის ორჯერ მეტის (41%) აზრით - ნდობა არ შეიძლება, ამგვარად, „უცხოს“ მიმართ საზოგადოებაში ეჭვი საკმაოდ ძლიერია.¹⁴¹ ამით შეიძლება აიხსნას, რატომ არის დიდი სხვაობა „შინაურულ დონეზე“ სოციალურ აქტივობასა და გაცილებით ფართო ისეთ სოციალურ ჩართულობას შორის, როგორიცაა მასობრივ ასოციაციებში, ორგანიზაციებში, კლუბებში და ა.შ. მონაწილეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოხალისეობად არ შეიძლება ჩაითვალოს საქმიანობა, თუ პირი ეხმარება თავის ოჯახის წევრს, ნათესავს ან მეგობარს.¹⁴²

¹⁴⁰ კავკასიის ბარომეტრის (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (<http://crrc.ge/ka/>, <http://www.crrccenters.org>) კვლევები სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე და პოლიტიკურ დამოკიდებულებებზე) მონაცემების თანახმად, 2013 წელს მოსახლეობის 81% - ს არ მიუღია მონაწილეობა ნებაყოფლობით საჯარო სივრცეში, <http://feradi.info/en/visualizations/missing-volunteerism-in-georgia>, წვდომა 2018 წლის 17 აპრილი

¹⁴¹ საერთაშორისო კვლევა „მოხალისეობა და სამოქალაქო ჩართულობა“, 2011, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი / კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი.

¹⁴² International Labor Organization, 2008, Manual on the Measurement of Volunteer Work; European Parliament, 2007, Report on the Rule of Volunteering in Contributing to Economic and Social Cohesion.

კავკასიის ბარომეტრის 2013 წლის მონაცემების თანახმად,¹⁴³ საქართველოს მოსახლეობის 81%-ს არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში. ასევე G-PAC-ის კვლევების¹⁴⁴ თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებებში ფაქტობრივი მონაწილეობა ძალიან დაბალ დონეზეა. კითხვაზე, გაწევრიანდებოდნენ თუ არა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც საკუთარი ინიციატივით იმუშავებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, 2014 წელს გამოკითხულ-თა 35%-მა, 2011 წელს კი - 33%-მა დადებითი პასუხი გასცა, აბსოლუტური უმრავლესობა (65%) აცხადებს, რომ არ არის დაინტერესებული ანაზღაურების გარეშე რომელიმე ორგანიზაციაში გაწევრიანებით.

საქართველოში მოხალისეობის მიმართ დამოკიდებულებასა და პრაქტიკულ ქმედებებს შორის არ არის თანხედრა. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კავკასიის ბარომეტრის¹⁴⁵ 2013 წლის კვლევების თანახმად, რესპონდენტების 68% მიიჩნევს, რომ კარგმა მოქალაქემ მოხალისეობრივი სამუშაო უნდა შეასრულოს, მაშინ როცა რესპონდენტების მხოლოდ 19% აცხადებს, რომ მიუღიათ მონაწილეობა ასეთ საქმიანობებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხალისეობა არ მიიჩნევა ისე მნიშვნელოვან მოვალეობად, როგორც ტრადიციების დაცვა ან არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

საქართველოში ერთადერთი სფერო, სადაც მაღალია მოქალაქეთა ჩართულობა - ეს არის ეკლესია: ეკლესიისათვის თანხის შეწირვა თვეში ერთხელ - 61%, რამდენჯერმე - 29%, ტანსაცმლისა და საკვების მოგროვება - 21%, და სხვ. ამ ადამიანთა რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება იმ პირთა რაოდენობას, რომლებიც თეატრს, კინოს, ბარს ან სპორტულ ღონისძიებებს ესწრებიან დროის იმავე შუალედში.

ზოგიერთი რესპონდენტის თანახმად, საქართველოში მოხალისეთა რესურს-ცენტრების არ არსებობა ხელს უშლის მოხალისეობის განვითარებას. არიან ადამიანები, რომლებმაც ზოგადად აქვთ სურვილი დაეხმარონ სხვებს, მაგრამ არ აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე,

¹⁴³ წყარო: იტებნება მოხალისეობა, <https://feradi.info/ka/visualizations/idzebneba-mokhaliseoba>, წვდომა 2018 წლის 21 მარტი.

¹⁴⁴ Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC), *2014 Follow-up Report on Civic Engagement*, (2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ).

¹⁴⁵ წყარო: Caucasus Research Resource Center, <https://caucasusbarometer.org/en/>, წვდომა 2018 წლის 21 მარტი.

ვის და რა სახის დახმარება სჭირდებათ. თუმცა, ზოგჯერ ტელევიზიით და სოციალური ქსელით კეთდება განცხადებები თხოვნით, ამა თუ იმ პირისთვის, სამკურნალოდ საჭირო თანხის შეგროვების თაობაზე.

ამჟამად საქართველოში მოხალისეობრივ საქმიანობის წახალისებაზე რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს. მათ შორისაა არასამთავრობო ორგანიზაცია “Helping Hand”,¹⁴⁶ რომელიც მოხალისეების მობილიზებას, მათ ინფორმირებულობას და მოხალისეობრივ პროგრამებში ჩართულობას ახდენს.

არასამთავრობო ორგანიზაცია “Helping Hand”-ის ერთ-ერთი მისიაა ახალგაზრდებში მოხალისეობის კულტურის დანერგვა და მათი ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად ფორმირება. “Helping Hand”-ის რეგისტრირებული მოხალისეები დღის ცენტრებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ბავშვებსა და მოხუცებს ეხმარებიან. ასეთ ფორმალურ მოხალისეობას საქართველოში 2015 წლის დეკემბრიდან საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს. ამ კანონის მიღებამდე საქართველოში მოხალისეობის ცნება არ იყო განსაზღვრული, მოხალისეებს არ გააჩნდათ სამართლებრივი სტატუსი და სოციალური დაცვის ადეკვატური გარანტიები. მაგრამ, როგორც ამ სფეროში მომუშავე ადამიანები აღნიშნავენ, მხოლოდ კანონის მიღებაც არ არის საკმარისი. საჭიროა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის მოხალისის მიერ გაწეული შრომის აღრიცხვას, რომ გავიგოთ, თუ რა დადებითი გავლენა ან საზოგადოებრივი სიკეთეები მიიღწევა მოხალისეობის შედეგად.

მოხალისეობის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში შექმნილი მოხალისეთა კლუბი.¹⁴⁷ ცენტრის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, რომ დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებისთვის აუცილებელია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და გააზრება იმისა, რომ მოქალაქეებს აქვთ არა მხოლოდ უფლებები, არამედ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ამას ხელს უწყობს მოხალისეობა და სამოქალაქო ჩართულობა. მოხალისეთა

¹⁴⁶ წყარო: <http://www.helpinghand.ge>, <https://ka-ge.facebook.com/helpinghendi/>, წვდომა 2018 წლის 16 მაისი.

¹⁴⁷ წყარო: http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=4708, <https://www.facebook.com/cync.ge>, წვდომა 2018 წლის 12 მაისი.

კლუბის მიზანია მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაციის გზით მოზარდებში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება. ცენტრის დახმარებით ხდება სკოლებში შეხვედრების ორგანიზება, ინფორმაციის გავრცელება და მოხალისეობრივ პროექტებში ჩართვა.

ბოლო დროს საქართველოში მოხალისეობაზე დაფუძნებული მონაწილეობა გარკვეულწილად გაფართოვდა. ეს ნამდვილად არ არის მკვეთრი და მნიშვნელოვანი ზრდა, ის არ არის საკმარისი განვითარებული დემოკრატიების სტანდარტების მიხედვით, მაგრამ მაინც ზრდაა. უფრო მეტი ახალგაზრდული ორგანიზაცია, მრავალი კლუბის და კავშირის ჩათვლით, გამოჩნდა არენაზე¹⁴⁸. ასეთი ორგანიზაციების წევრები ძირითადად მოტივირებულნი არიან კონტაქტები დაამყარონ და თანასწორი უფლებებით ითანამშრომლონ იმათთან, ვინც მსგავს ინტერესებს და ღირებულებებს იზიარებს.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა „ბორანი“¹⁴⁹ საქველმოქმედო ფონდი, რომლის ყველა რესურსი მიმართულია იმისკენ, რომ დაეხმაროს გაჭირვებაში მყოფ კონკრეტულ ადამიანებს იმით, რომ დააკავშიროს ისინი იმ ადამიანებთან, ვისაც დახმარების აღმოჩენა შეუძლია. ამ ორგანიზაციის წევრები ძირითადად სტუდენტები არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და თავისუფალი უნივერსიტეტიდან. მათ აქვთ სურვილი, კეთილი ნება და ეხმარებიან სხვებს. ისინი აგროვებენ ინფორმაციას, ხელს უწყობენ საზოგადოების ფენებს შორის კავშირების დამყარებას, სანახავად მიდიან სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფ მოქალაქეებთან, ცდილობენ დაეხმარონ მათ პრობლემების მოგვარებაში და ასევე ხელი შეუწყონ სადისკუსიო კლუბების დაარსებას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ინფორმაციის, ქველმოქმედების იდეის გავრცელების და ქველმოქმედების კულტურის ჩამოყალიბების მიზნით. სოციალური ქსელებით „ბორანი“

¹⁴⁸ ილიას უნივერსიტეტი, სტუდენტთა სერვისის ცენტრი, ჭავჭავაძის გამზირი 32, თბილისი, საქართველო.

¹⁴⁹ მაგალითისათვის ბორანის მოყვანის ძირითადი მიზეზი ლოგიკურად არის: ა) შერჩეულია ჭეშმარიტად მოხალისეობრივი ორგანიზაცია, ვინაიდან შეიძლება დავამტკიცოთ, რომ მოხალისეობა ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების სფეროებში უფრო აქტიურ ჩართულობას და მოითხოვს ვალდებულების უფრო მაღალ დონეს და ბ) ყურადღება გამახვილებულია ასოციაციაზე, რომლის მიზანია თავად საზოგადოებაში ცვლილების ხელშეწყობა და გაუმჯობესება; <http://www.borani.org>, წვდომა 2018 წლის 15 მაისი.

მესიჯებით უკავშირდება მოქალაქეებს და მოქალაქეებს შეუძლიათ ნებისმიერი საშუალებით, რომელიც გააჩნიათ, წვლილი შეიტანონ ფონდის საქმიანობაში.

„ბორანი“ ახალგაზრდა ორგანიზაციაა. ის ცდილობს გაართიანოს კონკრეტული ღირებულებების და ინტერესების გარშემო ადამიანთა დიდი ჯგუფები და წარმოადგინოს სამოქალაქო საზოგადოების ჭეშმარიტად არაპროფესიონალური სეგმენტი. „ბორანი“ უბრალოდ როდი უწყობს ხელს მოხალისეობის გავრცელებას საქართველოში. მისი მიზანია საქართველოში ნორმებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა. ეს არ არის უბრალოდ პოლიტიკური ორგანიზაცია, ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც აერთიანებს იდეები და ზუსტად ეს აკლია საქართველოს დღეს.

გარემოს დაცვის საკითხი წარმოადგენს კიდევ ერთ საკამათო თემას, რომლის გარშემოც საზოგადოებრივი ძალები ერთიანდებიან მთელს მსოფლიოში და რომელიც ახლო წარსულში, ზოგადად, უმნიშვნელო საკითხად ითვლებოდა საქართველოში. მიუხედავად ამისა, საქართველოში მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობა“¹⁵⁰ დაარსდა, რომელიც დასავლეთში პარტიზანული გამწვანების სახელით არის ცნობილი; მთავარი იდეა, რაც აერთიანებს პარტიზან მებაღეებს, ეს ქალაქების, დაბების, მთლიანად ქვეყნის გამწვანებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიზანი მებაღეები, არა მხოლოდ ახალი გამწვანებისთვის, არამედ ძველის შენარჩუნებისთვისაც იბრძვიან. ეს მოძრაობა თანდათან გაფართოვდა, რის შედეგადაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო ცნობადი გახდა. „პარტიზანული მებაღეობა“ სრულიად ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, მას არანაირი ფორმალური სტრუქტურა არ გააჩნია. ის წარმოადგენს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელსაც აწუხებს გარემოს დაცვის საკითხები ქვეყანაში. ადამიანები ამ ჯგუფში გაერთიანდნენ და წამოიწყეს პარტიზანული გამწვანების მოძრაობა, ერთი მხრივ, არსებული კონკრეტული პრობლემების საპასუხოდ და, მეორე მხრივ, ამ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ ჯგუფის წევრები ცდილობენ

¹⁵⁰ წყარო: <https://www.facebook.com/Tbilisitreets/>, <https://www.facebook.com/mebageoba/>, <https://www.facebook.com/RustaviGuerrillaGardening/>,
წვდომა 2018 წლის 14 მარტი.

პირდაპირი უშუალო ქმედებით მიაღწიონ სასურველ ცვლილებებს. ამ მოძრაობამ წარმატებას მიაღწია ზემოთ მოყვანილი ორივე მიზნის განხორციელებაში, და შედეგად საჯარო დისკუსიები გარემოს დაცვის საკითხებზე გაცილებით უფრო ხშირად იმართება. ქართული „პარტიზანული მებაღეობა“ ერთ-ერთი სპონტანური და ნებაყოფლობითი მოძრაობაა ქვეყანაში. თუმცა ამ მოძრაობის სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ბევრ შემთხვევაში ისინი ვერ ახდენენ გავლენას პროცესებზე, მათი პროტესტები უსახური მშენებლობების თუ ხეების გაჩეხვების წინააღმდეგ (კუს ტბის, იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიებზე და ქალაქის მრავალ ადგილზე, აჭარაში და ა.შ.) არ ისმის ან, თუ ისმის - უშედეგოდ.

მოხალისეობა დემოკრატიული საზოგადოების განვითარების მაჩვენებელია და დემოკრატიზაციის პროცესის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. საქართველოში ძალიან ცოტაა იმის მაგალითი, როდესაც მოქალაქეებმა ერთობლივი მუშაობით და მოხალისეობით შეძლეს კონკრეტული საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრა.

მოხალისეობის უპრეცედენტო მაგალითი ქართულმა საზოგადოებამ 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შემდეგ იხილა. ძლიერმა წვიმამ დედაქალაქში მძიმე ვითარება შექმნა. იყო მსხვერპლი, 19 ადამიანი დაიღუპა, 6 დაიკარგა, 200-ზე მეტი უსახლკაროდ დარჩა. თითქმის განადგურდა ზოოპარკი. მთავრობის ცნობით, ზარალმა 50 მილიონი ლარი შეადგინა. თბილისის ქუჩებში სტიქიისგან მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად ათასობით მოხალისე გამოვიდა.

მოხალისეთა უმეტესობა სტუდენტები იყვნენ. მათი მობილიზაცია, ძირითადად, სოციალური ქსელების, სტუდენტური თვითმმართველობებისა და ახალგაზრდული გაერთიანებების დახმარებებით მოხდა. გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზებით შეკრებილი მოხალისეებიც. ისინი მონაწილეობდნენ დასუფთავების, გაწმენდით სამუშაოებში, ეხმარებოდნენ დაზარალებულ მოსახლეობას, შეიქმნა სპეციალური გვერდი ფეისბუქში დასახელებით „13 ივნისი“, რომელზეც სისტემატურად ვრცელდებოდა ინფორმაცია სტიქიით დაზარალებულთა საჭიროებების შესახებ, გაიხსნა მიმღები პუნქტი, სადაც მიჰქონდათ საკვები, ტანსაცმელი, პირველადი

საჭიროების საგნები. ამ პრეცედენტმა გამოაცოცხლა იმედი, რომ საქართველოში მოხალისეობა გაძლიერდებოდა.

2017 წლის ზაფხულში საქართველო ხანძრების სერიამ მოიცვა. განსაკუთრებით გახშირდა ტყის ხანძრები აგვისტოში. დაიწვა ასეული ჰექტარი ტყე. ხანძრების ლიკვიდაციის სამუშაოებში სახელმწიფო სახანძრო სამაშველო ბრიგადებთან ერთად ჩართული იყვნენ მოხალისეები, ადგილობრივი მოსახლეობა, პარტიზანი მეზღვრეები. ისინი მონაწილეობდნენ ცეცხლის ჩაქრობაში, თხრიდნენ ტრანშეებს, რომ ცეცხლი დასახლებული პუნქტებისაკენ არ წასულიყო.

რუსი ოკუპანტების მცოცავი ოკუპაციის გასაპროტესტებლად სამოქალაქო მოძრაობის "ძალა ერთობაშია" წევრებმა თავად დაიწყეს პატრულირება ადმინისტრაციული ხაზის სიახლოვეს რუსი მესაზღვრეების კანონდარღვევების, რაც ადამიანთა გატაცებებში და საზღვრის დემარკაციაში გამოიხატება, დასაფიქსირებლად. ჯგუფების კომპლექტაცია სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება. მოქალაქეები საკუთარი კეთილი ნების საფუძველზე ერთიანდებიან და მოხალისეობრივი პრინციპით პატრულირებენ ინციდენტების აღსაკვეთად. სამწუხაროდ, ნარკოტიკების ლეგალიზაციის მხარდამჭერ აქციებთან შედარებით, „ძალა ერთობაშია“ - ს აქციების მონაწილეების რაოდენობა საგრძნობლად მცირეა.

სამოქალაქო მოძრაობამ „ძალა ერთობაშია“ საოკუპაციო გამყოფი ხაზის გასწვრივ 2017 წლის 8 აგვისტოს ჩაატარა მასშტაბური მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ოკუპაციის წინააღმდეგ. აქციის მონაწილეებმა ცენტრალურ ავტომაგისტრალზე საოკუპაციო ხაზის მოპირდაპირედ ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს. პროტესტთან ერთად მათ პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ხსოვნას. ეს აქცია სოციალურ ქსელში დაიგეგმა და მოქალაქეები მას აქტიურად გამოეხმაურნენ. მცოცავი ოკუპაციის გასაპროტესტებლად საოკუპაციო გამყოფი ხაზის გასწვრივ „ძალა ერთობაშია“-ს აქციები კვლავ გრძელდება.

„თეთრი ხმაურის“ მოძრაობა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოხალისეობრივი მოძრაობა საქართველოში, რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგა გამოდიოდა. 2018 წლის

მაისში, შეიარაღებულმა სამართალდამცველებმა თბილისში მდებარე ორ ღამის კლუბში რეიდები ჩაატარეს ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ფაქტების გამოსავლენად. თეთრი ხმაურის მოძრაობის და ოცამდე უფლებადამცველი ორგანიზაციის და კლუბის ორგანიზებით გაიმართა საპროტესტო აქცია. ათასობით მომიტინგე რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბა, გააპროტესტა ღამის კლუბების დარბევა და მთავრობის წარმომადგენლების პასუხისმგებლობა მოითხოვა. აქცია თავდაპირველად მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მაგრამ როცა აქციის მახლობლად ულტრანაციონალისტური და კონსერვატიული ჯგუფები ძალადობრივი მოწოდებებით გამოჩნდნენ, ვითარება დაიძაბა. ეს ჯგუფები, პოლიციამ პარლამენტის შენობის ადგილიდან სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრში შეაჩერა. „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის ლიდერებმა მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდნენ, პროტესტის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს და პარლამენტის შენობის წინ, რუსთაველის ტერიტორია დატოვეს.

თეთრი ხმაურის სისუსტე შესაძლოა ის იყო, რომ მას ვიწრო ფოკუსი ჰქონდა. მოძრაობა „სირცხვილიამ“ კი გაცილებით უფრო მეტ შედეგს მიაღწია. ეს მოძრაობა შეიქმნა 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ, როდესაც პარლამენტის წინ რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა რუსული ოკუპაციის და საქართველოს ხელისუფლების კოლაბორაციონისტური პოლიტიკის გასაპროტესტებლად¹⁵¹. სამართალდამცველებმა აქცია ძალის გამოყენებით – რეზინის ტყვიებით, ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაშალეს. ოფიციალური მონაცემებით, აქციის დაშლისას, 240 ადამიანი დაშავდა, აქციის მონაწილეების ნაწილმა მძიმე დაზიანებები მიიღო, რამდენიმე მათგანმა კი თვალი დაკარგა.

სამართალდამცველების მხრიდან აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლას უკვე 21 ივნისიდან საზოგადოების ფართომასშტაბიანი პროტესტი მოჰყვა. 20 ივნისს

¹⁵¹ პროტესტი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის და კომუნისტური პარტიის წევრის (გავრილოვის) მართლმადიდებლობის საპარლამენტოშორისო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან მიმართვამ გამოიწვია.

პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენების შემდეგ სამოქალაქო აქტივისტების ჯგუფი საქართველოს პარლამენტის შენობის წინ თვეების განმავლობაში მართავდა აქციას სახელწოდებით – “სირცხვილია“. აქციის მონაწილეები 20-21 ივნისს აქციის დარბევაზე შს მინისტრისგან პასუხისმგებლობის აღებას და მისი თანამდებობიდან გადადგომას, პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომას და, ასევე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით ჩატარებას ითხოვდნენ. საპროტესტო ფორმატი იცვლედო: მიყავდათ ყოველდღიური გადაცემები ან იმართებოდა ფართომასშტაბიანი აქციები.

მთავრობის პასუხი აქციაზე სწრაფი იყო: პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომის შესახებ აქციის მონაწილეების მოთხოვნა 20 ივნისის აქციის დარბევიდან მეორე დღეს შესრულდა. საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე, 24 ივნისს, ქართული ოცნების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით და ე.წ. „ნულოვანი ბარიერით“ ჩატარდებოდა. თუმცა 2019 წლის 14 ნოემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარების შესახებ თავისივე საკონსტიტუციო ცვლილება ჩააგდო. არ შეასრულა აქციის მონაწილეების მესამე მოთხოვნაც – შს მინისტრის პოსტიდან გადადგომა. ქართულმა ოცნებამ საზოგადოების თითქმის სამთვიანი პროტესტის საპასუხოდ, შს მინისტრი დააწინაურა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნა.

20 ივნისის მოვლენების შემდეგ დემონსტრაციებში ჯერ რიგითი მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები მონაწილეობდნენ, თუმცა შემდეგ ამ აქციებში პოლიტიკოსებიც ჩაერთნენ, ვინაიდან იყვნენ აქტივისტები რომლებიც თვლიდნენ, რომ მოძრაობა ვერ მიაღწევდა თავის მიზანს ასეთი თანამშრომლობის გარეშე. სცენაზე აგრეთვე გამოჩნდნენ სხვა ახალგაზრდული საპროტესტო ჯგუფები, როგორებიც არიან „შეცვალე“ და „გაბედე“, რომლებიც ასევე თანამშრომლებენ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან (მათი აქტივობა სხვადასხვა სახით დღესაც გრძელდება.)

მეტყველებენ თუ არა მოყვანილი მაგალითები, რომ საქართველოში მოხალისეობა გაძლიერდა? გარკვეულწილად, ეს აჩვენებს, რომ მოხალისეობის პოტენციალი არსებობს, მაგრამ მოხალისეობა არ ნიშნავს მხოლოდ სტიქიური უბედურების, კატაკლიზმების ან გარე მტრული ძალის გააქტიურების დროს მოქმედებას საკუთარი ნებით. მოხალისეები სისტემურად, თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად მოქმედებენ, აკეთებენ რაღაცას, გასცემენ თავის დროს და ენერგიას, რომ რაღაც შეცვალონ, თუნდაც თავიანთ მიკროგარემოში, გააუმჯობესონ საჯარო სფერო. ამ სახის მოხალისეობა კი, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ არ არის საკმარისად გავრცელებული მთელ ქვეყანაში. მეორეს მხრივ, ზემოთ მოყვანილი შეიძლება მოხალისეობის მაგალითები იყოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ამ ქმედებებში ანგარებითი მოტივი არ არის, მაგრამ ვინაიდან ეს ქმედებები სისტემური და თანმიმდევრული არ არის, ეს მაინც მათ (მოხალისეობის) სისუსტეზე მიანიშნებს.

საქართველოში მონაწილეობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა არის საზოგადოებრივი ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სოციალური საკითხების და მოთხოვნების გაჟღერება. იმ მოთხოვნათა შორის, რომელსაც საზოგადოებრივი ჯგუფები ყველაზე ხშირად ახმოვანებენ, არის სოციალური პრობლემები, მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგადად მდგომარეობის გაუმჯობესება და პოლიტიკური უპირატესობები.

3.3. პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაცია

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში პოლიტიკური პარტია განიხილება როგორც სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ნაწილი. პოლიტიკური პარტია თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანებაა და სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური ინსტიტუტია. ერთის მხრივ, ის ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში და წარმოადგენს მმართველ ელიტას, მეორეს მხრივ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს. ყალიბდება რა სამოქალაქო საზოგადოების წიაღში,

პოლიტიკური პარტია არის ძირითადი შუამავალი სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, გამოხატავს საზოგადოებრივ ინტერესებს პოლიტიკური მოთხოვნების სახით და ამა თუ იმ ფორმით აწვდის მათ სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელ ორგანოებს, არჩევნების პროცესში შუამდგომლობს ამომრჩეველსა და მის მიერ წარდგენილ პრეტენდენტს, რომელმაც უნდა წარადგინოს საზოგადოების ინტერესი არჩევით ორგანოში, შორის. პოლიტიკური პარტიების მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა და ძალაუფლების მოპოვებაა.

მ. ბადერი¹⁵² თვლის, რომ საქართველოში მოქმედი პარტიები ვერ ამოიზარდნენ სოციალური გახლეჩებისაგან და არ წარმოადგენენ საზოგადოების ფართო სეგმენტებს. ისინი ვერ იქცნენ გარკვეული ხედვების, პრინციპების თუ იდეოლოგიების გარშემო მოქალაქეთა გაერთიანებების ფორმად და ეს პოლიტიკური პარტიების სისუსტის ერთ-ერთი მიზეზია.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიები მართავენ შეხვედრებს მოსახლეობასთან,¹⁵³ ანალიტიკოსები თვლიან, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების კავშირები კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებთან სუსტია. ქართულ საზოგადოებაში ჯერ არ არსებობენ ისეთი ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ ორგანიზებას საკუთარი ინტერესების დასაცავად, რაც მასების მონაწილეობის და კონკურენტუნარიანი პოლიტიკის საფუძველი შეიძლება გახდეს. ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ისინი ვერ არიან ხელისუფლების საპირწონე ძალა. იმ შემთხვევაშიც, როდესაც შედარებით ძლიერი ოპოზიციური ძალა სთავაზობს საზოგადოებას ალტერნატივას, თავად საზოგადოების აპათიის და/ან ინერტულობის გამო, ის ვერ ახერხებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი სეგმენტის მობილიზაციას.

ამომრჩეველი ზოგადად ნიჰილისტურად და აპათიურად არის განწყობილი პოლიტიკის მიმართ. აქტიური ახალგაზრდები ხშირად უარს ამბობენ საქმე დაიჭირონ პოლიტიკურ პარტიებთან, ცინიზმით და უნდობლობით უყურებენ მათ. ამის მაგივრად,

¹⁵² Bader, M., 2010, *Against All Odds: Aiding Political Parties in Georgia and Ukraine*, Vossiuspers UvA – Amsterdam University Press.

¹⁵³ პარტიის წევრები ხვდებიან მოსახლეობას, აცნობენ მათ პარტიის პოზიციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და ეცნობიან მათ პრობლემებს.

ახალგაზრდებს ურჩევნიათ ჩაერთონ სპონტანურ აქტივიზმში და ქუჩებში გამოდიან. ასეთ დროს შეიძლება გამოჩნდეს პოლიტიკური გამოცდილების არმქონე „მოყვარული პოლიტიკოსი“, რომელიც ცდილობს ელექტორალური თანადგომა მოიპოვოს ატომიზირებული ინდივიდების ან მოსახლეობის იმ ჯგუფებში, რომლებიც არ ენდობიან არსებულ პოლიტიკურ პარტიებს.¹⁵⁴

ქართული პოლიტიკური პარტიები თითქოს პოლიტიკური იდეოლოგიით განსაზღვრავენ თავის იდენტობას, სახელებსაც თითქოს იდეოლოგიის მიხედვით ირჩევენ (მაგალითად - ახალი მემარჯვენეები, ლეიბორისტული პარტია და ა.შ.) თუმცა, ხშირად არ არის ადვილი იდეოლოგიის მიხედვით ერთი პარტიის განსხვავება დანარჩენებისგან.¹⁵⁵ ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება, როდესაც საარჩევნო პერიოდის დროს ქართველი ამომრჩევლების თვალწინ გაიელვებს პარტიების წინასაარჩევნო დაპირებების „თავბრუდამხვევი სიმრავლე“, ამომრჩეველს არ აქვს შესაძლებლობა შეაფასოს კანდიდატები მათი წარსული საქმიანობის მიხედვით, განასხვავოს ისინი ერთმანეთისაგან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული საზოგადოება, თითქოს პოლიტიზირებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი რაციონალურად აფასებდეს პროცესებს.

ჯ. ველტონი¹⁵⁶ თვლის, რომ საქართველოში მოსახლეობა ლიდერს ირჩევს არა მისი პოლიტიკური კურსის და/ან იდეოლოგიის გამო, არამედ მისი ქარიზმატულობის გამო, იმიტომ რომ ის ძლიერ პიროვნებად მიაჩნია, რაც ცხადყოფს, რომ ქვეყნის პოლიტიკური კულტურა არ არის სათანადოდ განვითარებული. ამაშიც გამოიხატება პოლიტიკური პარტიების სუსტი ინსტიტუციონალიზაცია, პარტიები, როგორც წესი იქმნებიან ერთი ან რამდენიმე ლიდერის გარშემო და პარტიის ბედი დამოკიდებულია მისი ლიდერის, როგორც პიროვნების ან ლიდერების მცირე ჯგუფის იმიჯზე. მათი წასვლის შემდეგ კი

¹⁵⁴ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევების შედეგების მიხედვით, საქართველოში ამომრჩეველთა დაახლოებით 50% კითხვაზე თუ ვის მისცემს ხმას არჩევნებში, პასუხზე ან უარს ამბობს ან აცხადებს, რომ არ აქვს ეს გადაწყვეტილი.

¹⁵⁵ ნოღია, გ. და სქოლტაზი, ა. პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი.

¹⁵⁶ Welton, G., (No date): *Evaluating the Failure to Oppose: Political Opposition in Post-Revolutionary Georgia*, http://www.geowel.org/index.php?article_id=20&clang=0, წვდომა 2018 წლის 22 მარტი.

პარტია იშლება. ამის მაგალითია საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (1993-2003 წ.წ.), რომელიც შეიქმნა ე. შევარდნაძის გარშემო იმის შემდეგ, რაც ის ქვეყნის ლიდერი გახდა და დაიშალა მისი წასვლის შემდეგ. იგივე მართალია დემოკრატიული აღორძინების კავშირის (1992-2004 წ.წ.) შესახებ, რომელიც ა. აბაშიძის, აჭარის რეგიონალური ლიდერის გარშემო შეიქმნა.

ლიდერი წინა პლანზე წამოწეულია არა მხოლოდ სახელისუფლებო პარტიებში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია პარტია სახელმწიფო ხალხისთვის, რომლის დამაარსებელი იყო ცნობილი საოპერო ბანი პაატა ბურჭულაძე. პარტია 2016 წელს შეიქმნა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. პარტიის ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, მისი ლიდერის ფაქტორმა ისეთი გავლენა მოახდინა, რომ მან ხმათა 3,45% მიიღო; შედარების მიზნით, რესპუბლიკურმა პარტიამ - 1,55% მიიღო, ლეიბორისტულმა პარტიამ კი - 3,14%, მაშინ როდესაც ორივე ეს პარტია ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე (შესაბამისად 1978 და 1995 წლიდან) და სტაბილურ პარტიებად ითვლებიან საქართველოში. არჩევნების შემდეგ, ლიდერის, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკდან წასვლის შედეგად დაიშალა ბლოკი „პაატა ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის“.

ის, რომ პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პრინციპები და იდენტობა ლიდერების პიროვნებებით არის განპირობებული, აფერხებს სტაბილური პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას, კოალიციები არასტაბილურია, პარტიები ადვილად იცვლიან პარტნიორებს, პოლიტიკოსები გადადიან ერთი პარტიიდან მეორეში ან ქმნიან ცალკე პარტიებს.¹⁵⁷ გაერთიანების დაშლა შეიძლება გამოიწვიოს როგორც მიზნის მიღწევამ - არჩევნების მოგებად, ხელისუფლებაში მოსვლამ, - ისე მარცხმა.

¹⁵⁷ მაგალითად, 1991-1992 წლებში გაერთიანდნენ რესპუბლიკური პარტია, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი და პოლიტიკური ორგანიზაცია დემოკრატიული არჩევნები საქართველოში; 1994 წელს გაერთიანდნენ რესპუბლიკური პარტია, სახალხო ფრონტი და ქარტია-91 და ამ შერწყმის შედეგად გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ჩამოყალიბეს, რომელმაც ასევე დიდხანს ვერ იარსება; 1999 წელს რესპუბლიკურმა პარტიამ, მრეწველთა პარტიამ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ ალიანსი ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი - მესამე გზა ჩამოაყალიბეს, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ დაიშალა; 2002 წელს ჩამოყალიბდა სამსუბიექტიანი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკური პარტია და ეროვნულ ძალთა გაერთიანება-კონსერვატორები) ბლოკი, ხოლო უკვე 2004 წელს რესპუბლიკური პარტია ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირების შემდეგ გაემიჯნა ალიანსს; 2005 წელს კონსერვატორები, რესპუბლიკელები და პარლამენტის უპარტიო წევრების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ოპოზიციური ფრაქცია დემოკრატიული ფრონტი; 2009 წელს ახალი მემარჯვენეების, ჩვენი საქართველო - თავისუფალი

2012 წელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოპოზიციურ ფრონტზე ჩამოყალიბდა კოალიცია (შედიოდა ექვსი პარტია: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, საქართველოს კონსერვატიული პარტია და მრეწველობა გადარჩენს საქართველოს), რომლის წამყვანი ძალა და ლოკომოტივი მილიარდერ ბ. ივანიშვილის მიერ შექმნილი პარტია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო იყო. კოალიციაში შემავალ პარტიებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ კომუნისტური წარსულის და თანამედროვე დასავლური საზოგადოების ღირებულებების, ინსტიტუტების და ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსის მიმართ, რაც 2016 წელს კოალიციის დაშლის მიზეზი გახდა.

მიგრაცია დამარცხებულიდან გამარჯვებულ პარტიაში ასევე მაჩვენებელია სისტემის ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონის, რაც თავის მხრივ განპირობებულია პოლიტიკური პარტიების კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებთან მეტად სუსტი კავშირებით და გამოკვეთილი უპრინციპობით. პარტიები ერთმანეთს პოლიტიკურ ოპორტუნიზმში ადანაშაულებენ, ბევრი პარლამენტში მოხვედრას ცდილობს პირადი გამორჩენის, განსაზღვრული ბიზნეს ინტერესების დაცვის და გატარების მიზნით.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლა შეფასდა წინგადადგმულ ნაბიჯად. თავისთავად ის ფაქტი, რომ არჩევნების წაგების შემდეგ ყოფილმა მმართველმა პარტიამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, არ შეწყვიტა არსებობა, როგორც ეს წინა მმართველ პარტიებს დაემართა, ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა; თუმცა ბევრმა მისმა წევრმა დატოვა პარტია, ნაწილი გადავიდა გამარჯვებულ პარტიაში, ნაწილი გამოეყო და დაარსეს თავისი პოლიტიკური პარტიები. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა დომინანტური პოზიცია და ელექტორატის დიდი ნაწილი, ის დარჩა ძირითად

დემოკრატების და რესპუბლიკური პარტიის გაერთიანებით ჩამოყალიბდა „ალიანსი საქართველოსთვის“, რომელიც 2010 წელს თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაიშალა.

ოპოზიციურ პარტიად,¹⁵⁸ რაც პოზიტიური სიახლეა და წინადადებულ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოში მრავალპარტიული სისტემის კონსოლიდაციისათვის.

საზოგადოების სოციალურ ჯგუფებთან სუსტი კავშირების და ამორფული ღირებულებების გამო, პოლიტიკურ ასპარეზზე ახლადგამოსული ძალების ამბიციები, მათ შორის დაპირისპირებები და შეჯიბრობითობა, ხდება მრავალი ორგანიზაციულად სუსტად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიის დაარსების საფუძველი. პოლიტიკური პარტიები, როგორც მდგრადი, სტაბილური და ღირებული ინსტიტუტები, სუსტად არიან ინსტიტუციონალიზირებული და შედეგად ან მთლიანად ქრებიან პოლიტიკური სპექტრიდან, ან ხდება მათი სრული მარგინალიზაცია.

ქართული პარტიული სისტემა იყო და არის ასიმეტრიული: ერთ მხარეს არის დიდი ძალის მქონე ერთი დომინანტური პარტია, ხოლო მეორე მხარეს - ფრაგმენტირებული, სუსტი ოპოზიციური პარტიები. გარკვეულ პირობებში, როცა ხელისუფლების პოპულარობა ეცემა, ოპოზიციური წრიდან ჩვეულებრივ ერთ-ერთი პარტიის მომხრეთა ბაზა ფართოვდება და ეს კიდევ უფრო ასუსტებს მცირერიცხოვან პარტიებს, უმეტესობა ვერ ლახავს საარჩევნო ბარიერს, ვერ ხვდება საკანონმდებლო ორგანოში და ვერ ახდენს გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. მმართველი პარტია ხელისუფლების რეალურ ალტერნატივად, სერიოზულ პოლიტიკურ ძალად არც ერთ ოპოზიციურ პარტიას არ აღიქვამს.

მიუხედავად დარეგისტრირებული პარტიების დიდი რიცხვისა (200-ზე მეტი), კლასიკური გაგებით, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა სისტემა არ შეიძლება ჩაითვალოს მრავალპარტიულად.

¹⁵⁸ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები: კოალიცია ქართული ოცნება - 53.25% (მაჟორიტარული), 54.07% (პარტიული სია); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 41.39% (მაჟორიტარული), 39.68% (პარტიული სია); 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატი - 62.09%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი - 21.71%; NDI გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტების 51% ნაციონალურ მოძრაობას მიიჩნევდა უძლიერეს ოპოზიციურ პარტიად (NDI აგვისტო, 2014 და Public Attitudes in Georgia, მაისი 2014); რესპონდენტების 52%-მა დაასახელა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უძლიერეს ოპოზიციურ პარტიად (NDI poll, დეკემბერი 2013); რესპონდენტთა 47% თვლის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას უძლიერეს პარტიად (NDI poll, ივლისი და სექტემბერი 2013); რესპონდენტთა 51% თვლის ერთიან უძლიერეს პარტიად ნაციონალურ მოძრაობას (NDI, Public Attitudes in Georgia, აგვისტო 2014; <https://new.ndi.org/node/23862>; წვდომა 2018 წლის 12 მაისი; NDI Poll, მარტი - აპრილი, 2015, <https://www.ndi.org/georgia-polls>, წვდომა 2018 წლის 12 მაისი.

საქართველოს პარლამენტში მოხვედრილი პარტიების რაოდენობა, თუ არ ჩავთლით 1992 წლის არჩევნებს როგორც გამონაკლისს, პარლამენტში სტაბილურია, ყველა არჩევნებში ორი ან სამი პარტია/ბლოკი ხვდება პარლამენტში. არჩევნებს ყოველთვის ჰყავს ერთი ცალსახა გამარჯვებული - დომინანტი პარტია. 1990 წლებში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან საქართველოში არ ყოფილა პრეცედენტი, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერა რამდენიმე პარტიაზე გადანაწილებულიყო ისე, რომ მთავრობის ფორმირებისას გამარჯვებული პარტია იძულებული გამხდარიყო სხვა პარტიებთან ერთად შეექმნა კოალიცია. გარდა ამისა, ერთი და იგივე პარტია იგებს ყველა დონის არჩევნებს - საპრეზიდენტო (რაც მნიშვნელოვანი იყო, სანამ საქართველოში საპრეზიდენტო სისტემა იყო), საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებსაც, და შედეგად, ერთპიროვნულად აკომპლექტებს და აკონტროლებს ყველა სახელისუფლებო შტოს. მმართველი პარტია გარდაიქმნება სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალად, ის ღებულობს ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ხოლო სახელმწიფო და საჯარო ადმინისტრაცია ამ გადაწყვეტილებებს ახორციელებს. პრაქტიკულად არ არის განსხვავება სახელისუფლებო და პარტიულ ბიუროკრატias შორის. მმართველ პარტიას შეუძლია ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება არჩევნებისას საკუთარი წარმატების უზრუნველსაყოფად და ინარჩუნებს ხელისუფლების სადავეებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

როდესაც მმართველი ძალა მთლიანად აკონტროლებს სახელმწიფო აპარატს და პოლიტიკურ რესურსებს და ოპოზიციურ პარტიებს არ აქვთ გაერთიანების უნარი, ისინი დღის წესრიგში აყენებენ გარკვეულ საკითხებს, აკრიტიკებენ ხელისუფლებას უმოქმედობის თუ არასწორი მოქმედებების გამო, მაგრამ მათი კრიტიკა, როგორც წესი, იგნორირებულია, შეიძლება ჩამოყალიბდეს ჰეგემონური პარტიული სისტემა. ჰეგემონური პარტიის შემქმნელებს კი არ უჭირთ მოსახლეობის გარკვეული სეგმენტის ერთგულების მოპოვება და შენარჩუნება, რეალური ოპონენტების მოშორება, გზიდან ჩამოცილება ან გადმოხიზება და „ოფიციალური“ ოპოზიციური პარტიის ფორმირება.

მლიერი და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური პარტიები აძლიერებენ სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალს გავლენა მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე. ავტორიტარული მმართველობის დროსაც კი, მლიერმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეიძლება გააერთიანონ საზოგადოების განსხვავებული ჯგუფები, ინდივიდები და დაჯგუფებები სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონებიდან, პოლიტიკური აქტივიზმის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირები. ამით ისინი აერთიანებენ დაქსაქსულ ჯგუფებს, ახდენენ მასების მობილიზაციას, აძლიერებენ საზოგადოების პოზიციას სახელმწიფოსთან მოლაპარაკებების საწარმოებლად და იძულებულს ხდიან მმართველ ძალას დათანხმდეს პოლიტიკურ თანამშრომლობას.

ხელისუფლების დასამარცხებლად ოპოზიციური ძალების გაერთიანების საკითხი ქართულ რეალობაში ახალი არ არის და ყველა ხელისუფლების დროს, რაღაც პერიოდში, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. კონფრონტაციის მაღალი დონის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიები დროდადრო ერთიანდებიან კოალიციებში და საარჩევნო ბლოკებში. ეს ხდება წინასაარჩევნო პერიოდისა და პოლიტიკური ბრძოლის დროს, როცა სიტუაციიდან ჩანს, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებათ, კონსოლიდაციით მიიღონ სასურველი შედეგი. ასე, 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს, ბურჯანაძე-სააკაშვილი-ჟვანიას გაერთიანებამ მათ გარშემო შემოკრიბა სხვა პოლიტიკური ძალები. 2007 წელს შეიქმნა “გაერთიანებული ოპოზიცია” ხელისუფლების წინააღმდეგ და იმის შემდეგ, რაც ვერ მიაღწია წარმატებას თავის ჩანაფიქრში (შეეცვალა ხელისუფლება), დაიშალა. ოდნავ მოგვიანებით ჩამოყალიბდა “ალიანსი საქართველოსთვის”, 2012 წლის არჩევნებისთვის - კოალიცია ქართული ოცნება შეიქმნა, 2018 წელს, როგორც ალიანსი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, გაერთიანდა 10 ოპოზიციური პარტია და დააფუძნა „ძალა ერთობაშია“¹⁵⁹ ხოლო 2019 წლიდან ოპოზიციურმა პარტიებმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მოთხოვნით, ერთიანობის და თანამშრომლობის უპრეცედენტო მაგალითი გვაჩვენეს.

¹⁵⁹ წყარო: 10 ოპოზიციური პარტია გაერთიანდა და მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ დააფუძნა, <http://liberali.ge/news/view/38430/10-opozitsiuri-partia-gaertianda-da-modzraoba-dzala-ertobashia-daafudzna>, წვდომა 2018 წლის 20 ივლისი.

3.4. საზოგადოების ღირებულებები

საზოგადოება, თუ ის ლიბერალურია, პლურალისტური უნდა იყოს. საჯარო სივრცეში სხვადასხვა ცხოვრებისეული საკითხის გარშემო უნდა თანაარსებობდეს სხვადასხვა ინტერესები, იდეები თუ რწმენები, არც ერთი რელიგიური მიმდინარეობა არ უნდა ფლობდეს მონოპოლიას ჭეშმარიტებაზე. ქართული საზოგადოება, დღესდღეობით, უფრო ჰომოგენურია, ვიდრე პლურალისტული. პლურალიზმის კულტურა დაბალია და ეს ეხება ნებისმიერ სფეროს:

პოლიტიკას - თუ მოვიდა ახალი ხელისუფლება და ის არის პოპულარული, მისი მომხრეების უმრავლესობა თვლის, რომ სხვებს არსებობის უფლება არ აქვთ, არ აქვთ პრობლემების კომპრომისით, რაციონალური დიალოგით და შეთანხმებით გადაწყვეტის უნარი;

საზოგადოებრივ ცხოვრებას - იგი ნაკლებად მრავალფეროვანია, განსხვავებული ინტერესები, იდეები და ღირებულებები მიუღებელია და არც ისე ბევრია შინაგანად თავისუფალი და გამბედავი ინდივიდი, რომელიც თავის ქცევებში და შეხედულებებში საკუთარი გონების და სინდისის ხმას მიჰყვება და გაბატონებულ, მოდურ შეხედულებებთან კონფლიქტს არ მოერიდება.

გახშირებულია ჰომოფობია - არსებობს შეუწყნარებლობის მაღალი მაჩვენებელი ლგბტ ჯგუფების მიმართ, ადგილი აქვს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას (რელიგიური უმცირესობების - მუსლიმების, იეღოველების მიმართ), ხშირია ქალთა მიმართ ძალადობა.

ანალიტიკოსების აზრით, სანამ მოსახლეობაში მთლიანად თუ არა, საზოგადოების იმ აქტიურ ნაწილში მაინც, რომელიც პოლიტიკურ კლასს და სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენს, და რომელიც რეალურად განსაზღვრავს იმ ნორმებსა და ღირებულებებს, რითაც მთელი საზოგადოება ცხოვრობს - სანამ ამ კრიტიკულად მნიშვნელოვან უმცირესობაში, ელიტაში არ არის პლურალიზმი, მანამდე რაც არ უნდა ჩაიწეროს კონსტიტუციაში ის ვერ იმუშავებს სრულყოფილად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი პროდასავლური ორიენტაციისაა და წლების განმავლობაში ავრცელებს და იცავს დასავლური ტიპის ლიბერალურ ღირებულებებს. მაგრამ ბოლო დროს, ახლო წარსულიდან მოყოლებულმა განსხვავებულმა ღირებულებებმა, მესამე სექტორის მიღმა, დაიწყეს საზოგადოებრივი სფეროს ძერწვა. ადამიანებმა ნებაყოფლობით, (თუ გარეშე არალიბერალური ძალების ჩარევით), დაიწყეს ტრადიციული არალიბერალური ღირებულებების და მიზნების ირგვლივ გაერთიანება (საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ამგვარი არალიბერალური გაერთიანებების ყველაზე აშკარა მაგალითებია მართლმადიდებლური ჯგუფები, „ქართული მარში“.) ქართულ საზოგადოებაში გააქტიურდნენ პრორუსული ორიენტაციის ორგანიზაციები, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩრდილში იმყოფებოდნენ. თავიდან ისინი შეიქმნენ პროდასავლური პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საპასუხოდ. ხოლო 2004 – 2012 წლებში ქვეყანაში გატარებულმა რეფორმებმა, რომლებმაც დაასრულეს ფართოდ გავრცელებული კორუფცია და გააძლიერეს სახელმწიფო, ბევრს თანამდებობები, სტატუსი და ძალაუფლება დააკარგვინა, ახალი ნორმები და ინსტიტუტები მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია ანტილიბერალური ჯგუფების გაძლიერება. 2012 წლის არჩევნების შედეგად ძალაუფლებაში მოსულმა ქართულმა ოცნებამ, თუმცა განაცხადა, რომ ქვეყნის პროდასავლურ კურსს გააგრძელებდა (2014 წელს გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება), მაგრამ ამავე დროს წააქეზა ეს ჯგუფებიც, ვინაიდან ჩათვალა რომ ერთი საერთო მტერი - ნაციონალური მოძრაობა, ძირითადი ოპოზიციური ძალა, - ჰყავდათ.¹⁶⁰

კრემლი საკუთარი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად და პროპაგანდის გასავრცელებლად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დაფინანსების იდენტურ მეთოდებსა და სქემებს იყენებს.¹⁶¹ ფინანსდება პოლიტიკური კლასის გარკვეული ნაწილი - პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პრორუსულ და ანტიდასავლურ მესიჯებს ავრცელებენ, მედიის ნაწილი, ე.წ. ინტელიგენციის

¹⁶⁰ Youngs, R., 2018, ed., *The Mobilization of Conservative Civil Society*, Carnegie Endowment for International Peace.

¹⁶¹ წყარო: <https://monitori.ge/> რუსული-პროპაგანდის-დაფინ/, წვდომა 2018 წლის 11 სექტემბერი.

წარმომადგენლები, რომლებშიც შედიან კულტურის და მეცნიერების მუშაკები, საჯარო ავტორიტეტის მქონე პირები, ცნობილი სახეები, ბიზნესმენები, რელიგიური ინსტიტუტები, ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც მოსახლეობა უსმენს და რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე. ყველა ამ აქტორს შეუძლია ქვეყნის მოსახლეობაში ევროსკეპტიციზმისა და დასავლეთისადმი შიშის დანერგვა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს არჩეული დასავლური კურსისგან გადახვევას და რუსული გავლენის სფეროში დაბრუნებას. რუსული პროპაგანდის დაფინანსებაში ადვილად იკითხება ერთიანი ხელწერაც – ფინანსების გაუმჭვირვალობა: ფინანსების მოძრაობაში კვალის მოძებნა და რაიმეს ოფიციალურად დადასტურება, თითქმის შეუძლებელია. საქართველოში ერთ-ერთ მთავარი გამოწვევა ისიც შეიძლება იყოს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებას რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ რაიმე ქმედითი ღონისძიებებისთვის არ მიუმართავს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (DFID) ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში მომზადდა კვლევა,¹⁶² რომელმაც განიხილა ის მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში ყველაზე მეტად გამოირჩევიან პრორუსული რიტორიკით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში ღია ანტიდასავლური რიტორიკით და პრორუსული პლატფორმით განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოს არასამთავრობო ორგანიზაციები – „ევრაზიის ინსტიტუტი“ და „ევრაზიული არჩევანი“, რომლებთანაც აგრეთვე დაკავშირებულია რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს ორგანიზაციები თავიანთ ანალიტიკურ ნაშრომებსა თუ სტატიებში ეფუძნებიან რუსულ წყაროებს და სრულ მხარდაჭერას უცხადებენ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ქმედებებს და ცდილობენ მათ პოპულარიზაციას საქართველოში. აღნიშნული ორგანიზაციები და ჯგუფები დაფინანსების წყაროებს არ ამჟღავნებენ. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” 2018 წლის 17 მაისს გამოქვეყნებულ

¹⁶² წყარო: კვლევა ვებ-გვერდისთვის damoukidebloba.com, რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე და მედიაზე, 2015, <https://idfi.ge/ge/russian-influence-of-georgian-ngos-and-media>, წვდომა 2018 წლის 17 სექტემბერი.

კვლევაში¹⁶³ მითითებულია გორჩაკოვის ფონდი, პრიმაკოვის ფონდი და სხვა რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტები.

ასევე, ბოლო დროს, გამოჩნდნენ აგრესიულად განწყობილი, ანტილიბერალური მარგინალური ჯგუფები, რომლებიც ავრცელებენ ქსენოფობიურ, თითქმის ფაშისტურ და პრორუსულ შეხედულებებს. მოითხოვენ სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსების აკრძალვას, უცხოელებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლას, ემიგრაციის, განსაკუთრებით მუსლიმური ქვეყნებიდან, აკრძალვას, აპროტესტებენ მათი ბიზნესების მზარდ რაოდენობას. ასეთ ჯგუფებს მიეკუთვნება „ქართული ძალა“, 25 წლამდე ასაკის მამაკაცებით დაკომპლექტებული, რომელიც 2015 წლიდან აქტიურობს, „ქართული მარში“ - ნეო-ნაცისტური ორგანიზაციების კავშირი, გააქტიურდა 2017 წლიდან.¹⁶⁴ ეს ჯგუფები მართავენ საპროტესტო გამოსვლებს ქსენოფობიური მოწოდებებით, ხშირად მონაწილეობენ ძალადობრივ აქციებში, საკუთარ თავს წარმოგვიდგენენ ქართული კულტურული ღირებულებების და ტრადიციების დამცველად. ისინი უარყოფენ რომ რუსეთის მომხრენი არიან. თუმცა, ზოგი ამ ჯგუფებიდან, მაშინ როდესაც, ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია სწორედ რუსეთის მიერ, ღიად მოითხოვს რუსეთთან, აგრესორ ქვეყანასთან, უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებას. მათი აზრით, ყველა ძლიერი სახელმწიფო იმპერიალისტურია, საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა ჭეშმარიტად სუვერენული ვერ იქნება, მან უნდა აირჩიოს ის ქვეყანა, რომლის პოლიტიკურ კურსსაც დაუჭერს მხარს და გაატარებს, ხოლო რუსეთი, როგორც ერთმორწმუნე (მართლმადიდებელი) ქვეყანა, რომელიც ებრძვის აგრესიული დასავლური ლიბერალიზმის საფრთხეს, ყველა სხვა არჩევანზე უკეთესია. თუ საქართველო უარს იტყვის დასავლეთის პოლიტიკურ თამაშში მონაწილეობაზე, საქართველო-რუსეთის კონფლიქტით გამოწვეული ბევრი პრობლემა - ტერიტორიულის ჩათვლით - მოგვარდება. ამ ჯგუფებს მოიხსენიებენ როგორც პრორუსულ ჯგუფებს და

¹⁶³ წყარო: ქართული ნეონაციზმის ანატომია, <http://www.transparency.ge/ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia>, წვდომა 2018 წლის 23 მაისი.

¹⁶⁴ წყარო: Civil.ge, Ultrationalists March Against Immigration, Counter-Protesters Rally Against Occupation, July 2017, <https://old.civil.ge/eng/article.p hp?id=30272>.

ისინი, ანალიტიკოსების აზრით, ფინანსდებიან, იმართებიან რუსეთის ფედერაციიდან¹⁶⁵ და ემსახურებიან რეგიონში რუსეთის ავტორიტარული გავლენის გაძლიერებას.¹⁶⁶

პოლიტიკურ სფეროშიც იგივე ტენდენციები შეინიშნება: 1990 წლების დასაწყისიდან ყველა ქართველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორი დასავლური ლიბერალური ღირებულებების მიმდევარი იყო, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელიწადში მდგომარეობა ამ მხრივ შეიცვალა. გამოჩნდნენ ისეთი პოლიტიკური აქტორები, რომლებიც ანტიდასავლური იდეების გავრცელებას უწყობენ ხელს.¹⁶⁷ მაგალითად, პარტია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო მიიჩნევა რუსეთის გავლენის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად საქართველოში. მისი ლიდერის რიტორიკა პრორუსული პროპაგანდის ძირითად პოსტულატებს ეყრდნობა. ძირითადი გზავნილია ის, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისთვის საქართველოს ძალისხმევა უშედეგოა, დასავლეთი – ევროკავშირი და ამერიკა – საქართველოს ატყუებენ და მას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ინსტრუმენტად იყენებენ. ასევე ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევა პატრიოტთა ალიანსიც. დემოკრატიული მოძრაობისგან განსხვავებით, რომლის ლიდერებიც უშუალოდ ხვდებიან რუს პოლიტიკოსებს და სტუმრობენ მოსკოვს, პატრიოტთა ალიანსის ლიდერები დასაწყისში დეკლარირების დონეზე კატეგორიულად ემიჯნებოდნენ რუსეთის პოლიტიკურ ელიტას და აცხადებდნენ, რომ წარმოადგენდნენ “პროქართულ” პოლიტიკურ ძალას (აღსანიშნავია, რომ ტერმინში “პროქართულობა” როგორც აღნიშნული პოლიტიკური ძალის, ისე სხვა სუბიექტების მიერ ხშირად იდება უკიდურესი, აგრესიული ნაციონალიზმი. მეტიც, ეს ტერმინი დიდწილად პრორუსული და მკვეთრად ანტიდასავლური სენტიმენტების შენიღბვის იარაღად იქცა“),¹⁶⁸ თუმცა იმის შემდეგ რაც ამ პარტიამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად შეძლო

¹⁶⁵ Kakoiashvili, I., Chaganava, A., Watt, A. G. M., Snip, I., eds., 2016, *Threats of Russian Soft and Hard Power in Georgia*, European Initiative Liberal Academy, Tbilisi and the German Marshall Fund of the United States; A Minority Staff Report, 2018, *Putin's Asymmetric Assault on Democracy in Russia and Europe: Implications for U.S. National Security*, prepared for the use of the Committee on Foreign Relations United States Senate.

¹⁶⁶ Sharp Power – Rising Authoritarian Influence, 2017, National Endowment for Democracy (NED), International Forum for Democratic Studies; წვდომა <https://www.ned.org/sharp-power-rising-authoritarian-influence-forum-report/>, 2018 წლის 22 მარტი.

¹⁶⁷ ქართული ოცნების დამაარსებელმა მიანიშნა ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილების შესაძლებლობაზე - Rettman, A., 2013, Georgia PM Says 'Why Not?' on Eurasian Union, <https://euobserver.com/foreign/121315>, წვდომა 2018 წლის 14 აპრილი; Rimple, P., 2015, How Strong Is Russia's Soft Power in Georgia, <http://eurasianet.org/node/72671>, წვდომა 2018 წლის 14 აპრილი.

¹⁶⁸ ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი, 2016, *რუსეთის ხისტი და რბილი ძალის სფეროები საქართველოში*, კვლევა ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის (GMF) მხარდაჭერით.

საკუთარი წარმომადგენლების შეყვანა პარლამენტში, ის რუსეთში რუსეთის ფედერაციის სათათბიროს დეპუტატებთან რეგულარულად მართავს შეხვედრებს, მან რუსეთს საქართველო-ნატო-რუსეთის ფორმატის შექმნა შესთავაზა¹⁶⁹.

1990-იან წლებში, როდესაც ქვეყანაში აღზევდა დამოუკიდებლობის მოძრაობა. საზოგადოების მცირე ნაწილი, კომუნისტური ნომენკლატურა, ე.წ. „წითელი ინტელიგენცია“ და ის ადამიანები, რომლებმაც ახალი ყველაფერი აშინებთ, დაუპირისპირდა ეროვნულ მოძრაობას მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია, ვინაიდან კომუნისტურმა რეჟიმმა ყოველგვარი ლეგიტიმურობა დაკარგა საზოგადოების ფართო ფენებში 1989 წლის 9 აპრილს. თუმცა ეს დაპირისპირება (დასავლეთი თუ რუსეთი) გარკვეულწილად დღესაც არსებობს, მაგალითად, რაც აშკარად თვალში საცემი გახდა ბოლო წლების განმავლობაში 9 მაისის ფაშიზმზე გამარჯვების აღნიშვნის დღესთან დაკავშირებით. საზოგადოების გარკვეული წარმომადგენლებისთვის ეს დღე სტალინიზმის და პუტინიზმის აღნიშვნის დღედ იქცა, რაც ნიშნავს არა მხოლოდ ნოსტალგიას საბჭოთა კავშირის მიმართ, არამედ რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის ქვეშ დაბრუნების იდეის მიმართ მხარდაჭერას.¹⁷⁰ საზოგადოებაში ნატო-სა და ევროკავშირის მიმართ სკეპტიციზმი მატულობს, ამან თავი იჩინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ და განსაკუთრებით ფეხს იკიდებს 2013 წლის შემდეგ. მოსახლეობის ბოლო გამოკითხვებიც ამას ადასტურებენ. მაგალითად, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის¹⁷¹ შეკითხვაზე: მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი, საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი, დადებითი პასუხების პიკი 2013 წლის ნოემბერში იყო (85%), მაგრამ უკვე 2015 წლის დეკემბერში გამოკითხვაში ეს რიცხვი 69%-მდე შემცირებული. ასევე, ეროვნულ დემოკრატიული

¹⁶⁹ წყარო: "პატრიოტთა ალიანსმა" რუსეთს საქართველო-ნატო-რუსეთის ფორმატის შექმნა შესთავაზა, <https://www.allnews.ge/politika/154695-.html>, წვდომა 2018 წლის 28 აპრილი.

¹⁷⁰ წყარო: კუნჭულია, ლ., 2019, „უკვდავი პოლკი“ საქართველოში საბჭოთა კავშირის უმღერის, <https://www.radiotavisupleba.ge/a/უკვდავი-პოლკი-საქართველოში-საბჭოთა-კავშირის-უმღერის/29924885.html>, წვდომა 2019 წლის 18 13 მაისი; Нодиа Г., 2019, Праздники раздора, <https://www.ekhokavkaza.com/a/29954830.html?fbclid=IwAR01VrYNf3IbC79bvwxEcMFvONvNDxw4vPiO9AfGAK2M0GqcHhinyNBnXA>, წვდომა 2019 წლის 37 მაისი.

¹⁷¹ Nodia, G., 2018, *Navitivists Versus Global Liberalism in Georgia*, IN *The Mobilization of Conservartive Civil Society*, Youngs, R., ed., Carnegie Endowment for International Peace.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ საქართველოში პრორუსული განწყობები არა დრამატულად, მაგრამ მაინც მატულობს. მაგალითად, კითხვაზე ‘საქართველო უნდა გაწევრიანდეს ევრაზიულ კავშირში?’ 2013 წელს 11 პროცენტი პასუხობდა დადებითად, 2015 წელს კი უკვე – 19 პროცენტი. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული 2019 წლის კვლევების თანახმად, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს გამოკითხულთა 77%, ნატოში კი – 74%; ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხურ დასახლებებში მოსახლეობის მხოლოდ 28% უჭერს მხარს ნატოში გაწევრიანებას, თითქმის ნახევარი – 49% – კი წინააღმდეგია. რაც შეეხება აზერბაიჯანულ მოსახლეობას, ისინი თვლიან რომ მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუმცა საქართველოში, ევროკავშირისა და ნატოს მიმართ მხარდაჭერა კვლავაც მაღალია, მოსახლეობაში არსებობს აღქმა რომ დასავლეთი საფრთხეს წარმოადგენს ქართული კულტურისა და ღირებულებებისთვის.¹⁷² ანტიდასავლური კამპანია, რომელიც სამი ტიპის მითზე – ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ღირებულებითზე არის დამყარებული – საქართველოში ბოლო პერიოდში მუდმივად მატულობს¹⁷³. არაინფორმირებული საზოგადოება, რომელშიც განათლების დონეც არ არის მაღალი, ადვილად იჯერებს ამ მითებს. მაგრამ პოზიტიურია ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის დღესაც პრიორიტეტს დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობა და ევროკავშირის და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში გაერთიანები წარმოადგენს.

დღესდღეობით, ძლიერ სამოქალაქო აქტორს, გავლენიან და საზოგადოებისთვის მაღალი ნდობის მქონე ავტორიტეტულ ინსტიტუტს წარმოადგენს მართლმადიდებლური ეკლესია. ეკლესიას მიაჩნია, რომ ქვეყანაში ის არის ერთადერთი მონოპოლიური და განმსაზღვრელი ინსტიტუტი. ის აცხადებს პრეტენზიას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე და ინარჩუნებს ავტორიტეტულ მდგომარეობას პოლიტიკურ სივრცეშიც, ცდილობს გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე,

¹⁷² წყარო: <https://www.ndi.org/georgia-polls>.

¹⁷³ წყარო: ელენე გოცაძე, ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი.

2011 წელს ეკლესია გამოვიდა საკანონმდებლო ინიციატივების – სამოქალაქო კოდექსში რელიგიური უმცირესობების სტატუსის შესახებ ჩასწორების, 2014 წელს – ანტიდისკრიმინაციული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების წინააღმდეგ. არის შემთხვევები, როდესაც ეკლესიის წარმომადგენლები ლობირებენ ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას, რაც არის პირდაპირ რუსეთში მიღებული კანონების ასლი. ასე იყო, მაგალითად 2013 წელს, როდესაც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის წინააღმდეგ კანონმდებლობა მიიღეს რუსეთში, საუბარია გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავ კანონზე და იგივეს ცდილობდნენ საქართველოში.

2015 წელს ეკლესია აქტიურად ჩაერია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული საგნის - “მე და საზოგადოება” - სასწავლო პროგრამის განხილვაში. საგანი შევიდა სასწავლო გეგმაში მხოლოდ საპატრიარქოს სასწავლო ცენტრის წარმომადგენლების მიერ შეტანილი ჩასწორებებისა და რიგი ტერმინების ამოღების შემდეგ.¹⁷⁴

2019 წლის საშობაო ეპისტოლეში კათოლიკოს - პატრიარქმა აღნიშნა, რომ საქართველოში არსებობს „სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონების დიდი მცდელობა“, სიტყვის თავისუფლება კი არის საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს უფლებათაგან ერთ-ერთი, მაგრამ ხშირად, სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობენ. პატრიარქს მყისიერად დაეთანხმა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა რომ საჭირო იყო შესაბამისი ზომების მიღება, და ასევე პრეზიდენტიც თავის საახალწლო მილოცვაში შეეხო ცრუ ინფორმაციისა და დეზინფორმაციისგან თავის დაცვის აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს არასამთავრობო სექტორმა, ოპოზიციამ და ანალიტიკოსებმა შეშფოთება გამოთქვეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ცილისწამების

¹⁷⁴ წყარო: საპატრიარქოს ცენტრი: „მე და საზოგადოება“ მოზარდს მშობლების პატივისცემას დააკარგვინებს, <http://liberali.ge/news/view/18788/sapatriarqos-tsentr-me-da-sazogadoeba-mozards-mshoblebis-pativistsemas-daakargvinebs>, წვდომა 2018 წლის 17 აპრილი.

სისხლის სამართლებრივად დასჯა მათ ჩათვალეს უპირობოდ სიტყვისა და გამოხატვის შეზღუდვად და დემოკრატიიდან უკან გადადგმულ ნაბიჯად.

ეკლესიის დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო ჯგუფების მიმართ არაერთგვაროვანია. ეკლესია, ერთი მხრივ, თანამშრომლობს ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, რომელთა დღის წესრიგს უპირატესად რელიგიური ან ტრადიციული ღირებულებების დაცვა წარმოადგენს. ეს ჯგუფები ძირითადად ნაციონალისტურია და მათივე თქმით, ქართველობის იდეას იცავენ. მზად არიან ძალადობრივი მეთოდები გამოიყენონ იმ მოვლენების საწინააღმდეგოდ, რომლებიც, მათი აზრით, არ შეესაბამება საქართველოს კულტურასა და ტრადიციას (ასეთებია “მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი”, „წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი“, „დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“. “სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა”.¹⁷⁵)

მეორეს მხრივ, არასამთავრობო სექტორის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის უფლებებზე მუშაობს, ეკლესიისთვის მიუღებელია, მათ ფსევდოლიბერალების სახელით მოიხსენიებს და ხშირად ადანაშაულებს ტრადიციების უგულვებელყოფაში. რაც შეეხება სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა მათთან ერთგვარ იერარქიაზე არის დაფუძნებული და მისი იდეოლოგიის მიხედვით, მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია არსებობს - მართლმადიდებლობა.

საქართველოს პატრიარქი ოფიციალურად ევროინტეგრაციისადმი ერთგულებას აფიქსირებს და ეკლესია მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პოლიტიკას. თუმცა, პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები თვლიან, რომ ყველაზე სერიოზული მოკავშირე, რომელიც რუსეთს საქართველოს შიგნით ყავს, არის მართლმადიდებლური ეკლესია. და ბევრიც თვლის, რომ ეკლესია საქართველოში რუსეთის რბილი ძალის გატარების ძირითადი ინსტრუმენტია.¹⁷⁶

¹⁷⁵ წყარო: თბილისში „სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა“ ფუნქცია, <http://www.radiotavisupleba.ge/a/1993772.html>. წვდომა 2018 წლის 3 მაისი.

¹⁷⁶ Pkhaladze, T., 2012, *Religion as the Instrument of Russian Foreign Policy towards Neighboring Countries: Georgia, Latvia, Ukraine*, ed., International Centre for Geopolitical Studies; Kakoishvili, I., Chaganava, A., Watt, A. G. M., Snip, I., eds., 2016, *Threats of Russian Soft and Hard Power in Georgia*, European Initiative Liberal Academy, Tbilisi and the German Marshall Fund of the United States.

ამ მოსაზრებას აძლიერებს ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქები, სასულიერო პირები თავიანთ საჯარო განცხადებებში, ქადაგებებში კვებავენ განსხვავებულის მიმართ შეუწყნარებლობის კულტურას, ხშირად აჟღერებენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც თავისი შინაარსით არის ანტილიბერალური და ანტიდასავლური. ეკლესიის უდიდეს და ყველაზე გავლენიან ნაწილს მჭიდრო კავშირები აქვს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთის ანტი-დასავლური პროპაგანდის ერთ-ერთი აქტიური კომპონენტია. იყო შემთხვევები, როდესაც ბევრმა მაღალი და საშუალო რანგის სამღვდელოებამ ღიად დაუჭირა მხარი რუსეთის პოლიტიკას და გააკრიტიკა დასავლური ლიბერალიზმი.

ეკლესიური მოქალაქეები არიან კონსერვატორი ადამიანები, რომლებიც მაინც უფრო ანტიმოდერნულად არიან განწყობილნი. ისინი არ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან ეკლესიას და რელიგიას (ეკლესიურობას და რელიგიურობას). მათთვის რელიგიურობა დაყვანილია რიტუალურ ქცევის ნორმებზე და ასოცირდება ეროვნულ ტრადიციებთან და იდენტობასთან, მათ სურთ ჰქონდეთ განსაკუთრებული საკუთარი ტერიტორია, არა მარტო რელიგიურობის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური მოწყობის თვალსაზრისითაც - ანუ ქვეყანა, არა მარტო პოლიტიკური, არამედ იდენტობის და კულტურის თვალსაზრისით, უნდა იყოს უფრო ჩაკეტილი საზღვრებით.

კონსერვატორული ჯგუფები თვლიან რომ გლობალური ლიბერალიზმის ძალებს სურთ წაართვან ქართველებს იდენტობა/ქართველობა, თვლიან რომ საქართველო ოკუპირებულია ლიბერალური იდეოლოგიის მიერ, ზუსტად ისევე როგორც ოკუპირებული იყო კომუნისტური იდეოლოგიის მიერ.¹⁷⁷

შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის პირდაპირ და უშუალო საფრთხეს არ წარმოადგენს პოლიტიკური პლურალიზმისთვის და, აგრეთვე, საზოგადოების გარკვეული ნაწილის, იმის და მიუხედავად, როგორი ღირებულებების მატარებელიც არ

¹⁷⁷ წყარო: ლევან ვასაძე: ოკუპირებული ვართ ლიბერალური იდეოლოგიის მიერ, ვართ ტუსადები, <https://1tv.ge/news/levan-vasadze-okupirebuli-vart-liberaluri-ideologiis-mier-vart-tusaghebi/>, წვდომა 2018 წლის 16 აპრილი.

უნდა იყოს ეს სოციალური ჯგუფი, ინტერესებს გამოხატავს.¹⁷⁸ ანტილიბერალური გაერთიანებები ნამდვილად წარმოადგენენ ქართული საზოგადოების გარკვეული სეგმენტის ინტერესებს, ისინი ლეგიტიმურად არ აღიქვამენ სხვა ჯგუფების არსებობის უფლებას. მაგალითად, საქართველოში ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ქმედებებს განსხვავებული რელიგიური მრწამსის მატარებელი ჯგუფების მიმართ, რომელმაც კულმინაციას 2000 წელს მიაღწია - როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ექსტრემისტი წარმომადგენლები თავს დაესხნენ რელიგიურ უმცირესობებს, უფრო კონკრეტულად კი იეღოვას მოწმეებს. მსგავს ძალადობრივ ინციდენტს ჰქონდა ადგილი 2013 წლის 17 მაისს, როდესაც ლგბტ უფლებების დამცველთა მცირერიცხოვანი ჯგუფი შეიკრიბა ჰომოფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის მშვიდობიანი მსვლელობით აღსანიშნავად. ღონისძიება ჩაშალა მოწინააღმდეგე მსვლელობის მომიტინგეების დიდმა და გაბრაზებულმა მასამ, რომელსაც მოჰყვებოდნენ და აგულიანებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური უფლებამოსილი პირები.

ქართული ეკლესიური საზოგადოება უფრო ინდიფერენტულია სოციალური პრობლემების მიმართ და უფრო მეტ მზადყოფნას ამჟღავნებს მონაწილეობა მიიღოს ისეთ დემონსტრაციებში, რომლებიც მიმართულია სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დამცველთა აქტივისტების, რელიგიური უმცირესობების ან ნებისმიერი სხვა ჯგუფის, რომელიც ვერ ჯდება „ჭეშმარიტი“ ქართული იდენტობის თვითაღქმის ფარგლებში,¹⁷⁹ წინააღმდეგ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ეპოქის პერიოდებში ქართული ინტელიგენცია, საზოგადოების ყველაზე უფრო გავლენიანი ფენა იმ პერიოდში, ქრისტიანობას პირდაპირ საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციასთან და ევროპული ცივილიზაციის კუთვნილებასთან აკავშირებდა. დღეს მართლმადიდებლობა ასოცირდება ანტიდასავლურ ფასეულობებთან და „ერთმორწმუნე“ რუსეთთან „დათმობებით დალაგების“ და დასავლეთთან იზოლაციურ პოლიტიკასთან. რყევებმა და

¹⁷⁸ Keane, J., 1999, *Civil Society: Old Images, New Visions*, Redwood City: Stanford University Press; Diamond, L., 1999, *Developing Democracy: Toward Consolidation*, Baltimore: Johns Hopkins University Press; Inglehart, R. and Welzel, C., 2005. *Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence*, Cambridge University Press.

¹⁷⁹ მაისურაძე, გ., 2014. (დისკრიმი)ნაცია, ბლოგი-გიორგი-მაისურაძე-დისკრიმინაცია, <https://www.radiotavisupleba.ge/a/25372036.html>, წვდომა, 2018 წლის 25 მარტი.

სიმწელებმა, რომელიც მოიტანა თავისუფლებამ ბევრი, ცხადია არა მოაზროვნე, მიიყვანა ძველი, შეჩვეული ცხოვრების წესის მონატრებამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში გააქტიურდა დისკუსიები რელიგიის/სეკულარიზაციის თაობაზე. მართალია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უპირობო ნდობას მართლმადიდებელ ეკლესიას უცხადებს, მაგრამ, ამავე დროს, ეკლესიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაც სულ უფრო თვალშისაცემი ხდება.

თავი 4. სამოქალაქო საზოგადოების გავლენა პოლიტიკურ კურსზე

ყოველ სახელმწიფოში, იმისდა მიხედვით, თუ როგორი პოლიტიკური რეჟიმია, როგორია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონე და მოქალაქეთა პოლიტიკური კულტურა, ისტორიული ტრადიციები და სხვა ფაქტორები, ყალიბდება მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის, მონაწილეობის, ესა თუ ის ფორმა და დონე. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მონაწილეობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ქმედებები, რომელთა მეშვეობით ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის რიგითი წევრები გავლენას ახდენენ ან ცდილობენ მოახდინონ გავლენა ხელისუფლების ინსტიტუტებზე და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკაში მონაწილეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის მიერ მისი საკუთარი, ინდივიდუალურად გაცნობიერებული მიზნების მიღწევის ერთ - ერთი შესაძლებლობა. ამასთან ერთად, საკუთარი მოთხოვნილებების რეალიზაციის ფორმა ყალიბდება ინდივიდის ხელისუფლებასთან, სახელისუფლებო ორგანოებთან, სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და ძალებთან ურთიერთობის პროცესში.

არასამთავრობო ორგანიზაციათა სექტორის ძირითადი პრიორიტეტია მთავრობის გადაწყვეტილებებზე და ხელისუფლების ქმედებებზე გავლენის მოხდენა. სწორედ ამის მიხედვით აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობას როგორც ექსპერტები, ასევე თავად მესამე სექტორის წარმომადგენლები. საქართველოში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათ, გამომდინარე თავისი პოზიციებიდან, შეუძლიათ საზოგადოებას, სახელმწიფო სააგენტოებს, ინსტიტუტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შესთავაზონ ის ინიციატივები, რომლებიც მათი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობამ სამოქალაქო სექტორი მეტად გავლენიან ძალად აქცია. უფრო მეტიც არასამთავრობოების გავლენა იზრდებოდა იმითაც, რომ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები გადადიოდნენ და იწყებდნენ ხელისუფლებაში მოღვაწეობას. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა 2004-2012 წლებში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, როდესაც მათ ხელი შეუწყვეს ქვეყანაში

მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებები დროის სხვადასხვა პერიოდში განუყრელად ახორციელებდნენ დემოკრატიის დასავლურ პრაქტიკას და იცავდნენ კანონის უზენაესობას, მაგრამ ყველა აღიარებდა ამ ნორმებს როგორც ძირითად საყრდენს.

სამოქალაქო სექტორის პოლიტიკურ პროცესებზე მოხდენის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ალბათ 2003 წლის ნოემბრის მოვლენები წარმოადგენს, რომელიც ცნობილია „ვარდების რევოლუციის“ სახელით. 2000 - იანი წლების დასაწყისში ხელისუფლების პოპულარობა მკვეთრად დაეცა, ახალგაზრდა და რეფორმისტული ფრთა გაემიჯნა ხელისუფლებას და მთავარ ოპოზიციურ ძალად იქცა. ხელისუფლება სულ უფრო იხრებოდა ავტორიტარული მმართველობისკენ, მთავარი ოპოზიციური ძალა კი დასავლური დემოკრატიული ღირებულებების დამცველად და მიმდევრად მოეწოდებოდა ქვეყანას. ამ მოვლენებმა სიტუაცია მესამე სექტორშიც შეცვალა. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის და ხელისუფლების არადემოკრატიული ქმედებებისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის საზოგადოების რესურსების მობილიზაცია დაიწყო. მაგალითად, სტუდენტური ორგანიზაციების ქსელი ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების - განსაკუთრებით კი თავისუფლების ინსტიტუტის - მხარდაჭერით 2003 წლის გაზაფხულზე ახალგაზრდულ მოძრაობაში გადაიზარდა, რომელსაც „კმარა“ ეწოდა და რომელიც სერბული ორგანიზაციის, „ოტპორის“ ქართულ ანალოგს წარმოადგენდა.¹⁸⁰ „კმარამ“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების ორგანიზებაში, საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებასა და საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩეველთა აპათიის დაძლევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „კმარა“ სამოქალაქო საზოგადოების ერთ დომინანტ აქტორს არ წარმოადგენდა, ის არასამთავრობო ორგანიზაციების,

¹⁸⁰ Kakachelia, K. and Lebanidze, B., 2016, *Georgia's Protracted Transition: Civil Society, Party Politics and Challenges to Democratic Transformation* IN G. Nodia, ed., 2016, *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University Press; Angley, R. E., 2013, *Escaping the Kmara Box: Reframing the Role of Civil Society in Georgia's Rose Revolution*, Studies of Transition States and Societies 5(1): 42–57; Rosenberg, T., 2011, *Join the Club: How Peer Pressure can Transform the World*. New York: Norton; Welt, C., 2010, *Georgia's Rose Revolution: From Regime Weakness to Regime Collapse*, In Stoner-Weiss, K., McFaul, M. and Bunce, V., eds., *Democracy and Authoritarianism in the Post-Communist World*, Cambridge, New York: Cambridge University Press, pp. 155–189; Kandelaki, G., 2006, *Georgia's Rose Revolution: A Participant's Perspective*, <http://www.usip.org/sites/default/files/sr167.pdf>, წვდომა 2016 წლის 6 მარტი.

ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების და მას მედიის პროდუქტი იყო.¹⁸¹ 2004 წლიდან კმარას აქტივისტთა ნაწილი პოლიტიკურ თანამდებობებზე დაინიშნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აგრეთვე არჩევნების მონიტორინგში. 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მოხდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა ეგზიტპოლების ორგანიზებაში, ამავე დროს ნაციონალურ დემოკრატიულ ინსტიტუტთან მომუშავე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) პირველად ჩაატარა ხმების პარალელური დათვლა და შედეგად არჩევნების გაყალბების დამაჯერებელი საბუთი შექმნა. არასამთავრობო სექტორის დამსახურება იყო, რომ მოპოვებული საბუთების საფუძველზე, ჩატარებული არჩევნების გაყალბების მასშტაბმა ეჭვის ქვეშ დააყენა მთლიანად არჩევნების ლეგიტიმურობა¹⁸². ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისთვის ხმების პარალელური დათვლის მონაცემები იმის კონკრეტულ სტატისტიკურ საბუთს წარმოადგენდა, რომ მთავრობამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად მასობრივ გაყალბებებს მიმართა.

ეგზიტპოლებმა დიდი გავლენა მოახდინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური შედეგების დელეგიტიმაციაზე. ფაქტობრივად შეიქმნა სიტუაცია, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებმა ვერ უზრუნველყვეს ძალაუფლების კანონიერი და კონსტიტუციური გადაცემა, როდესაც ხალხმა მთავრობის შეცვლა მოინდომა. არჩევნებზე მომხდარმა დარღვევებმა ძირითადი ოპოზიციური პარტიების ლიდერობით მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვიეს; ამ პროტესტების როგორც მობილიზაციაში, ასევე ორგანიზებული და მშვიდობიანი ხასიათის

¹⁸¹ Angley, R. E., 2013, *Escaping the Kmara Box: Reframing the Role of Civil Society in Georgia's Rose Revolution*, *Studies of Transition States and Societies* 5(1): 42–57.

¹⁸² ნოდია, გ. და ა.პ. სქოლტაბი, ა. პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი; ნოდია, გ., 2005, *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი; Nodia, G. ed., 2016, *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University Press.

უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელი დემოკრატიული აქტივისტების ქსელმა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სამოქალაქო სექტორის როლის მნიშვნელობა ქვეყანაში აშკარად შესუსტდა. არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე ბევრი ცნობადი სახე, რომელიც ზემოთ აღწერილ მოვლენებს მხარს უჭერდა, სახელმწიფო სტრუქტურებში გადავიდა და რევოლუციური მუხტის ორგანიზებულ სამოქალაქო ძალად გარდაქმნა არ მოხდა.¹⁸³ თუ ადრე საერთაშორისო საზოგადოება და დონორები არასამთავრობო სექტორს უზრუნველყოფდნენ ფინანსური რესურსებით, ახლა მათი პრიორიტეტი თავად ხელისუფლების დაფინანსება გახდა, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ამით უფრო ეფექტურად შეუწყობდნენ ხელს აუცილებელი ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმების გატარებას და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ამგვარად, არასამთავრობო სექტორის პრობლემა იყო ინტელექტუალური გადინება და სამთავრობო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის უუნარობა. 2003 წლის შემდეგ გაძლიერებული სახელმწიფო ინსტიტუტების ფონზე სამოქალაქო სექტორი ნაკლები ქმედითუნარიანობით გამოირჩეოდა. ამას გააჩნდა რამოდენიმე მიზეზი: დონორების მხრიდან დაფინანსების სახელმწიფო რეფორმებზე გადატანა და დიდი რაოდენობით კვალიფიციური კადრების გადინება სახელმწიფო სექტორში. მეორეს მხრივ არსებობს სხვა მოსაზრებაც: სამოქალაქო სექტორის შესუსტების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ სამოქალაქო საზოგადოება არც არასოდეს ყოფილა განსაკუთრებულად ძლიერი, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში გატარდა ეფექტური რეფორმები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააძლიერეს სახელმწიფო ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება გაძლიერებული სახელმწიფოს ფონზე უფრო სუსტად გამოჩნდა.¹⁸⁴

საქართველოში ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობას ყოველთვის ახასიათებდა, როგორც თანამშრომლობა, ასევე კონფრონტაცია.¹⁸⁵ ის, თუ

¹⁸³ Lutsevych, O., 2013, How to Finish a Revolution: Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine”, Chatham House, Briefing Paper.

¹⁸⁴ გ. ზედანია, გ., 2010, *არაცივილური საზოგადოება*, ტაბულა 2010, <http://www.tabula.ge/ge/story/52336-araciviluri-sazogadoeba>, წვდომა 2018 წლის 19 მაისი.

¹⁸⁵ ნოღია, გ., *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

რამდენად შეუძლია არასამთავრობო ორგანიზაციას გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე, ნაწილობრივ დამოკიდებულია ამ ორგანიზაციის კომპეტენციაზე და რამდენად შესწევს მას უნარი განავითაროს თვითორგანიზაციისა და არტიკულაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ასევე მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც. 1990 წლებიდან დაწყებული, ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს ორგანიზაციის კავშირი დასავლეთთან. საქართველოში ხელისუფლებები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დასავლეთიდან მომავალ მხარდაჭერას¹⁸⁶ და რეკომენდაციებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დემოკრატიული მმართველობა. საზოგადოებაც მხარდაჭერას უცხადებდა ხელისუფლების დასავლური ღირებულებებისაკენ ორიენტაციას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებიც ასოცირდებიან არა მხოლოდ დასავლელ დონორებთან, მაგრამ ასევე დასავლეთის იდეებთან და ღირებულებებთან, ყოველთვის უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდათ გავლენა მოეხდინათ მთავრობაზე. თუმცა, დაკვირვებებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა.

2012 წლის შემდეგ თუმცა ევროპული და ევროატლანტიკუსი ინტეგრაცია დარჩა მმართველი პარტიის ოფიციალურად გაცხადებულ საკვანძო პრიორიტეტად, მათი პოლიტიკური რიტორიკა და ნაბიჯები ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ გამორიცხავდა “ევრაზიულ კავშირში” გაწევრიანებას, თუკი ეს საქართველოს სტრატეგიისთვის საინტერესო იქნებოდა.¹⁸⁷ ბოლო პერიოდში გააქტიურდა თემა ამერიკული ბიზნესის შევიწროებასთან დაკავშირებით, რომლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ანაკლიის პროექტის შეჩერებას განიხილავენ, რასაც რუსეთის ინტერესებთან აკავშირებენ. ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ რა, რომ ანაკლიის პროექტი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესს პრიორიტეტს წარმოადგენს და პროექტის ჩავარდნაზე

¹⁸⁶ პრო-დასავლურ ორიენტაციაზე პოლიტიკური კონსენსუსის დამადასტურებელი ინფორმაცია: საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, 2014; საქართველოს ახალი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2011), <http://civil.ge/eng/article.php?id=24299>, წვდომა 2018 წლის 28 მარტი; ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს - ევრო-კავშირის სამოქმედო გეგმა, 2006; ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის, 2004.

¹⁸⁷ Rettman, A., 2013, Georgia PM says 'why not?' on Eurasian Union, <https://euobserver.com/foreign/121315>, წვდომა: 20 აპრილი 2015; Rimple, P., 2015, How Strong Is Russia's Soft Power in Georgia, <http://eurasianet.org/node/72671>, წვდომა: 20 აპრილი 2015.

პასუხისმგებლობას მთლიანად კონსოციუმს აკისრებს და აცხადებენ, რომ ახალი ინვესტორის მოძიების შემდეგ, ანაკლიის პროექტი ყველა შემთხვევაში განხორციელდება. თუმცა ოპოზიცია პროექტის ჩაშლაში ხელისუფლებას ადანაშაულებს და აცხადებს, რომ არსებული ხელისუფლების პირობებში ანაკლიის პროექტის განხორციელების შანსი ნულს უტოლდება.¹⁸⁸ დიდი ხმაური ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე გამოიწვია ამერიკელი სენატორების და კონგრესმენის წერილმა, სადაც ისინი მიუთითებენ „საქართველოს კავშირებზე ამერიკის მტრულად განწყობილ მეტოქეებთან და მტრებთან“.¹⁸⁹

აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები რეაგირებენ ხელისუფლების გადაცდომებზე, არასამართლებრივ ქმედებებზე, საუბრობენ დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მედია რესურსების გამოყენება, „მესამე სექტორი“-ს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა. მას მედია გადაცემებში, დამოუკიდებელ ექსპერტებად, ყველაზე ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს იწვევენ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინ, როდესაც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მას მედია წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებით სამოქალაქო საზოგადოება ახორციელებს კონტროლს ელიტების საქმიანობაზე, საქართველოში ზუსტად რომ პოლიტიკური ელიტები იყენებენ თავის სასარგებლოდ მედიას, და იმის მაგივრად რომ საზოგადოებამ გააკონტროლოს ისინი და გაუწიოს მონიტორინგი მათ საქმიანობას, თავად ისინი აკონტროლებენ საზოგადოებას.¹⁹⁰ ამასთან ერთად, ელიტა ყოფელთვის იყენებდა მედიას თავისი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, მაშინ როდესაც „სხვა“ - ალტერნატიული, ოპოზიციურად განწყობილი - ელიტა იყენებდა მედიას ძალაუფლების მოპოვებისათვის (ზოგჯერ რევოლუციის საშუალებითაც). საქართველოში სამოქალაქო

¹⁸⁸ Civil.ge, 09.01.2020, განახლება: მთავრობა ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულებას წყვეტს, <https://civil.ge/ka/archives/333734>, წვდომა: მარტი 15, 2020; ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულების შეწყვეტას პოლიტიკოსები აფასებენ, <https://civil.ge/ka/archives/333890>, წვდომა: მარტი 15, 2020.

¹⁸⁹ Civil.ge, 16.05.2020, ამერიკელი დეპუტატები ქართულ ოცნებასა და ივანიშვილს „ამერიკის მტრებთან კავშირში“ ადანაშაულებენ, <https://civil.ge/ka/archives/352207>, წვდომა: ივნისი 20, 2020.

¹⁹⁰ ზედანია, გ., 2011, *პოლიტიკური და სამოქალაქო ჟურნალი* ტაბულა, 67(8): 8-9.

საზოგადოების სექტორს და მას მედიას შორის არსებული მჭიდრო კავშირების გამო, არასამთავრობო ორგანიზაციების ბევრი ლიდერი ცნობად სახედ იქცა და მათ აქვთ უნარი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე.

სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტის მობილიზაციის უნარი. თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ინტერესს იჩენს სწორედ იმ საკითხების მიმართ, რომელზეც ეს ორგანიზაცია მუშაობს, მაშინ ამ ორგანიზაციას გაცილებით უადვილდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის მოხდენა. როდესაც აქტიური ადამიანები იკრიბებიან კონკრეტული პრობლემის განსახილველად ან მთავრობისთვის თავისი მოთხოვნების და პრიორიტეტული საკითხების წარსადგენად, შეიძლება ამ აქტივობამ სასურველი შედეგი გამოიღოს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მთავრობის მხრიდან არაადეკვატურმა პასუხმა ამომრჩევლებში შეიძლება მთავრობით უკმაყოფილება და მისი გაკიცხვა გამოიწვიოს.

ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ძალიან ძნელია მარტომ წარმატებით ჩაატაროს გარკვეული ცვლილებისაკენ წარმართული ადვოკატირების კამპანია ან მოახდინოს გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. რაც უფრო განვითარებული აქვს არასამთავრობო ორგანიზაციას სხვებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევები, მით უფრო შეუძლია მას მიაღწიოს კონკრეტულ მიზნებს და მოიპოვოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენის გარკვეული დონე. ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე უფრო აქტიურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ისწავლეს, როგორ გაერთიანდნენ საერთო მიზნების მიღწევისათვის.

ამ ტიპის თანამშრომლობის კონკრეტული წარმატების მაგალითად საქართველოში უმსხვილესი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა - ახალგაზრდა იურისტების ასოციაციამ, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ და სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ - მოიყვანეს ე.წ. “must-carry”/“must-offer” შემთხვევა, რომლებიც მიიღო საქართველოს პარლამეტმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.

სამოქალაქო საზოგადოებრივი მოძრაობა "ეს შენ გეხება" 2012 წლის თებერვალში დაიწყო. ამ კამპანიაში მონაწილეობას იღებდნენ არჩევნების სამეთვალყურეო ორგანიზაციები, საინფორმაციო სააგენტოები და იურიდიული ადვოკატირების ორგანიზაციები. ამ კამპანიის მიზანი იყო მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით და ჩართულობით საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა და კონკურენტუნარიანი, ამომრჩევლებისათვის მისაღები წინასაარჩევნო გარემოს შექმნა. კამპანიის მონაწილეებმა მოუწოდეს საქართველოს პარლამენტს განეხილა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ავალდებულებდა საკაბელო სატელევიზიო კომპანიებს ახალი ამბების პროგრამები გადაეცათ ყველა ტელევიზიით. ამ ინიციატივის მიზანი იყო ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის გაზრდა მოსახლეობისათვის 2012 წლის ოქტომბრის საარჩევნო კამპანიის განმავლობაში. თავდაპირველად მმართველი პარტიის (გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა) კანონმდებლები ამ 'must-carry/must-offer' წესების წინააღმდეგ გამოვიდნენ, ისინი ამტკიცებდნენ რომ ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვევდა კერძო კომპანიების საქმიანობაში ჩარევას. მაგრამ შემდგომში ისინი დათანხმდნენ შემოთავაზებას და პარლამენტმა მიიღო სათანადო საკანონმდებლო შესწორებები საარჩევნო კოდექსთან შესაბამისობაში. 'must-carry/must-offer' წესები შევიდა ძალაში და თბილისის სამი სატელევიზიო მაუწყებლის (მე - 9 არხის ჩათვლით, რომელიც ეკუთვნოდა (co-own) ქართული ოცნების ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის, მეუღლეს), გადაცემები ხელმისაწვდომი გახდა მთელი ქვეყნის მასშტაბით კაბელური ტელევიზიის დაახლოებით 180 000 მაყურებლისათვის. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამტკიცებენ, ამან უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა არჩევნებზე და ერთ-ერთი ის ფაქტორი გახლდათ, რომელმაც ოპოზიციის გამარჯვებას შეუწყო ხელი. ძალაუფლება გადაცემული იქნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით, ყოფილმა სახელისუფლებო პარტიამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ აღიარა დამარცხება, კონსტიტუციურ - დემოკრატიული მექანიზმების საშუალებით გადასცა ძალაუფლება გამარჯვებულ პარტიას, თავად კი ლეგიტიმურ ოპოზიციურ პარტიად მოგვევლინა.

ექსპერტები დათანხმდნენ, რომ მართლაც ‘must-carry/must-offer’ - მა მართლაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროცესებში და ერთ-ერთი ფაქტორი იყო ოპოზიციის გამარჯვების უზრუნველყოფაში. მათი მტკიცებით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა რეალურად მოხდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაერთიანებული ძალისხმევით: ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააჟღერეს მოთხოვნა და ამ მოთხოვნას ძლიერად უჭერდა მხარს საერთაშორისო საზოგადოება.

საერთაშორისო საზოგადოების როლის მნიშვნელობა კარგად გამოჩნდა ასევე ხელისუფლების და ოპოზიციის დაპირისპირების დროს საარჩევნო სისტემაზე. 2020 წლის 2019 წლის 14 ნოემბერს ქართულმა ოცნებამ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარების შესახებ თავისივე საკონსტიტუციო ცვლილება ჩააგდო. ორი კვირის განმავლობაში ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო აქტივისტები აქციებს მართავდნენ, კანონპროექტის ჩაგდებას აპროტესტებენ და ქართული ოცნებისგან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ დადებული პირობის შესრულებას ითხოვდნენ. მმართველ გუნდში აცხადებდნენ, რომ საარჩევნო სისტემას აღარ გადახედავდნენ და რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არსებული შერეული სისტემით ჩატარდებოდა. მზარდი პოლიტიკური პოლარიზაციის და ქვეყნის დესტაბილიზაციის საფრთხის ფონზე, საერთაშორისო და ქართველმა აქტორებმა მოუწოდეს ევროკავშირს და საერთაშორისო დემოკრატიულ საზოგადოებას უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ პროცესში რათა დაძლეულიყო კრიზისი.¹⁹¹ ევროპელმა პოლიტიკოსებმა ქართველ აქტივისტებს გამოუცხადეს სოლიდარობა.¹⁹²

¹⁹¹ Kornely Kakachia and Bidzina Lebanidze, “Does EU have role in stopping backsliding in Georgia?”, EUObserver, 5 December 2019, <https://euobserver.com/opinion/146784>.

¹⁹² Civil Georgia, 09.12.2019, საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის მორიგი შეხვედრა შედგა, <https://civil.ge/ka/archives/330752>, წვდომა: ივნისი 7, 2020.

ვითარების განსამუხტად, მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის შეხვედრები გაიმართა (პირველი შეხვედრა 30 ნოემბერს გაიმართა), რომელთა ინიციატორიც დიპლომატიური კორპუსი და საერთაშორისო პარტნიორები იყვნენ და რომელთა მიზანიც საარჩევნო სისტემის რეფორმირების გარშემო კონსენსუსის მიღწევა იყო. ამ მოლაპარაკებებში არ იყვნენ ჩართულნი სამოქალაქო აქტივისტები საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სირცხვილია“ (იგივე „ქვეყნის სამსახურში“), რომელიც პროტესტის ერთ-ერთი მთავარი და უმნიშვნელოვანესი მონაწილე იყო და რომლის წვლილიც უდიდესი იყო პროპორციული არჩევნების დაპირების მიღწევაში. ქართულმა ოცნებამ თავდაპირველად პოზიციები არ დათმო და ეს შეხვედრები უშედეგოდ დასრულდა.

თუმცა 2020 წლის 8 მარტს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, აშშ-ს ელჩის რეზიდენციაში ხელისუფლებამ და ოპოზიციამ მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით (120 პროპორციული, 30 მაჟორიტარული) და 1%-იანი ბარიერით ჩატარდება; კანონპროექტი გულისხმობს ე.წ. 40%-იან ჩამკეტ მექანიზმსაც, ანუ პარტია, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული სისტემით 40.54%-ზე ნაკლებ მხარდაჭერას მიიღებს, მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირებას ვერ შეძლებს. ამ ცვლილებების გასატარებლად საჭიროა სათანადო საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება.

ფართოდ გავრცელდა მოსაზრება იმის თაობაზე რომ საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების ზეწოლა იყო ძირითადი მიზეზი თუ ხელისუფლებამ რატომ დათმო პოზიციები და წამოვიდა შეთანხმებაზე და რომ დასავლეთის დიპლომატიური კორპუსი არის ამ შეთანხმების შესრულების მთავარი გარანტი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების (საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის დიალოგში, 2014) მიხედვით, თუ ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრი იმასთან დაკავშირებით, ძლიერად თუ სუსტად ახდენენ სამოქალაქო ორგანიზაციები გავლენას ადგილობრივ ადმინისტრაციაზე თანაბრად განაწილდა (33%-33%), ცენტრალურ სახელმწიფო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით, უმრავლესობა

(53.2%) თვლის, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების გავლენა სუსტი ან ძალზე სუსტია, ხოლო რესპონდენტთა მეხუთედის აზრით, ორგანიზაციები საერთოდ ვერ ახდენენ ვერანაირ გავლენას ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებზე. ამავე დროს, ბოლო წლების მოვლენებმა ცხადყო, რომ საერთაშორისო საზოგადოებაც შეიძლება გარკვეულ წილად დაკარგოს გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე. ამ მოსაზრების აშკარა დადასტურებაა საქართველოში განვითარებული მოვლენები საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

კონსტიტუციის გაუმჯობესების და მისი ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისია თავდაპირველად ექსპერტებისგან, პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო სტრუქტურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შედგებოდა. პროცესში ჩართული იყო ვენეციის კომისია. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე საყოველთაო სახალხო განხილვების საორგანიზაციო კომისიაში მხოლოდ სამი პოლიტიკური პარტია - ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო, მოძრაობა თავისუფლებისთვის- ევროპული საქართველო და პატრიოტთა ალიანსი მონაწილეობდნენ.

საკონსტიტუციო ცვლილებები ბევრი დისკუსიის საგანი გახდა, როგორც პოლიტიკურ წრეებში, ისე სამოქალაქო საზოგადოებაში. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას და შემდგომ საყოველთაო განხილვებს ოპოზიციის კრიტიკა მოჰყვა იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველი პარტია ისეთ სისტემას აყალიბებდა, რომელიც მის ძალაუფლებას კიდევ უფრო გაამლიერებდა და ხელისუფლებაში ყოფნას გაახანგრძლივებდა. საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია კონსტიტუციაში იმ ცვლილებების წინააღმდეგ გამოდიოდა, რომელთა თანახმადაც, უქმდებოდა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები, (პრეზიდენტს 300 ხმოსანი აირჩევდა); მცირდებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის უფლებამოსილებები, უქმდებოდა საარჩევნო ბლოკების შექმნის უფლება, რჩებოდა 5%-იანი საარჩევნო ბარიერი, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ე.წ. გადაუნაწილებელი მანდატები გადაეცემოდა მხოლოდ

ერთს - არჩევნებში პირველ ადგილზე გასულს, გაუქმდებოდა ეროვნული უშიშროების საბჭო, შეიცვლებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევის წესი, ქუთაისს გაუუქმდებოდა საპარლამენტო ქალაქის სტატუსი და სხვა.

არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ საპარლამენტო მანდატების განაწილების ახალი წესი ვერ უზრუნველყოფდა პარლამენტში პოლიტიკური პარტიების პროპორციულ წარმომადგენლობასა და მდგრადი მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრებას და თვლიდნენ, რომ წარმოდგენილი წესით დაირღვევოდა სამართლიანი არჩევნების ძირითადი - თანასწორობის პრინციპი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს პარლამენტს, რომ მანდატების განაწილების წესი შესაბამისობაში მოეყვანა სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან და მიეღოთ გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების წესი, ხოლო საარჩევნო ზღურბლი შემცირებულიყო 3 პროცენტამდე.

ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო და ღია საზოგადოება საქართველოს ფონდი - რომელთაც საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა, 8 მაისს კომისიის მუშაობის ერთობლივი შეფასებით ვენეციის კომისიას მიმართეს - ვენეციის კომისიის პოზიცია შესაძლოა ყოფილიყო „ყველაზე ეფექტური მექანიზმი კონსტიტუციის პროექტში არსებული პრობლემური ჩანაწერების გამოსასწორებლად“.

14 ივნისს ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ვენეციის კომისიის მიერ საკონსტიტუციის ცვლილებებზე დასკვნის გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე, ერთობლივი განცხადება გაავრცელა. „მმართველი პარტიის მიერ გაკეთებული რიგი განცხადებები აჩენს ეჭვს, რომ ხელისუფლება ცდილობს იპოვოს გზები, თუ როგორ აარიდოს თავი ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინებას და ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლება ცდილობს დააკნინოს ვენეციის კომისიის გარკვეული რეკომენდაციები“.

საქართველოს პარლამენტმა 22 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ“ კანონის პროექტი პირველი მოსმენით, 115 ხმით ერთხმად მიიღო. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით გამართულ კენჭისყრაში მხოლოდ „ქართული ოცნების“ დეპუტატები მონაწილეობდნენ.

მიღებული გადაწყვეტილებით 2023 წელს პრეზიდენტს საარჩევნო კოლეგია აირჩევდა, 5 წლის ვადით, დებატების გარეშე, ფარული კენჭისყრით, ნაცვლად პირდაპირი საყოველთაო არჩევნებისა. საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული წესით 2024 წელს ჩატარდებოდა, გაუქმდებოდა მაჟორიტარული სისტემა. განხილვების დროს მიღებული გადაწყვეტილებით საარჩევნო ბარიერი კი მხოლოდ ერთჯერადად, სავარაუდოდ, 5%-დან 3%-მდე დაიწევდა, და ამავე დროს, პარტიებს ბლოკების შექმნის საშუალება აღარ ექნებოდათ. ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან ეს ცვლილებები უარყოფითად იქნა შეფასებული.

არასამთავრობოებმა მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას, სანამ პარლამენტი საბოლოოდ განიხილავდა და მიიღებდა ახალ კონსტიტუციას, გამოიყენებინათ მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი და დახმარებოდნენ საქართველოს ქვეყანაში მიმდინარე არახელსაყრელი მოვლენების შერბილებასა და თავიდან აცილებაში.

23 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა, ერთხმად, 115 ხმით, საკონსტიტუციო ცვლილებები მეორე მოსმენით მიიღო. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში, რომელიც პარლამენტმა პირველი და მეორე მოსმენით უკვე მიიღო, ოპოზიციური სპექტრის ძირითად უკმაყოფილებას საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ნორმები იწვევდა. ოპოზიცია აპროტესტებდა საპარლამენტო არჩევნების პროპორციულ სისტემაზე გადასვლის ვადის 2024 წლამდე გადადებას და პარტიებისთვის საარჩევნო ბლოკებად გაერთიანების უფლების ჩამორთმევას. ოპოზიცია ასევე ითხოვდა, რომ საარჩევნო ბარიერის 5%-დან 3%-მდე დაწევის გადაწყვეტილება არ დარჩენილიყო გარდამავალ დებულებად, რომელიც მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იმოქმედებდა, არამედ - ქვეულიყო კონსტიტუციის მუდმივ ნორმად, რომლითაც შემდგომი საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდებოდა. შეხვედრაზე მიღებულ

ერთობლივ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ „ოპოზიციურმა პარტიებმა დაადასტურეს, რომ მზად არიან ხელისუფლებასთან დიალოგისთვის, რათა მესამე მოსმენისთვის მივიღოთ ცვლილებების კომპრომისული პროექტი“.

ვენეციის კომისიამ მზადყოფნა გამოთქვა ორგანიზება გაეწია მმართველი გუნდისა და ოპოზიციის დიალოგისთვის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით და მხარეები, მოლაპარაკებებისათვის, 6 სექტემბერს, სტრასბურგში მიიპატიჟა. საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე შეუთანხმებლობის გამო ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების დიალოგი არ შედგა. სტრასბურგში შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე საპარლამენტო უმრავლესობამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო რომ, მმართველი პარტია, ქართული ოცნება, აღარ აპირებდა საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებში მონაწილეობას და, პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე, ქვეყნის ძირითად კანონს მესამე მოსმენით, რედაქციული ცვლილებებით დაამტკიცებდა.

6 სექტემბერისთვის სტრასბურგში დაგეგმილი შეხვედრა საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაუქმდა. საქართველოს პარლამენტმა 26 სექტემბრის რიგგარეშე სხდომაზე 117 ხმით 2-ის წინააღმდეგ საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო. ორმა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ევროპულმა საქართველომ - რომლებიც პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების გაუქმებას ეწინააღმდეგებოდნენ და პარლამენტის სრულად პროპორციული სისტემით არჩევას 2020 წლიდან მოითხოვდნენ, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო (სხდომა კენჭისყრამდე, პროტესტის ნიშნად დატოვეს).

ეს კონკრეტული მაგალითი ცხადყოფს იმას, რომ არც არასამთავრობო სექტორს, არც ქვეყანაში არსებულ ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ სპექტრს, რეალურად არ შესწევს უნარი გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებზე და რომ ქვეყანაში რეალურად არ არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც შედგება რაციონალური ინდივიდებისაგან, რომელთაც

გააზრებული აქვთ თავისი და საზოგადოებრივი ინტერესები და რომლებიც წარმოდგენილნი არიან ძალთა სხვადასხვა ცენტრებით და შეუძლიათ გააწონასწორონ ხელისუფლება და აიძულონ ის იყოს ანგარიშვალდებული.

პრინციპში, თუ გადავხედავთ საქართველოს არც ისე შორეულ ისტორიას (1991 – 2012 წლებში განვითარებული მოვლენებს) ერთი მხრივ, ისე ჩანს, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უნარი ორგანიზება გაუკეთოს წინააღმდეგობას და სახალხო ძალის მობილიზება მოახერხოს. სამოქალაქო საზოგადოებამ წვლილი შეიტანა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაში, როგორცაა მაგალითად ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ძალის გამარჯვება საქართველოში 1991 წელს, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგს განსაზღვრავდა ორი იდეა - ნაციონალიზმი და დემოკრატია; ვარდების რევოლუცია 2003 წელს, რომელმაც აჩვენა ქართველი ხალხის ვალდებულება დაიცვან როგორც დემოკრატიის ღირებულებები, ასევე თავიანთი პოლიტიკური უფლებები; და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ძალაუფლების კონსტიტუციური გადაცემის პირველი პრეცედენტი.

მეორე მხრივ, ექსპერტები ამტკიცებენ,¹⁹³ რომ სამოქალაქო საზოგადოების პოტენციური გავლენა მოახდინოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მეტად შეზღუდულია. მაშინ როდესაც განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში საზოგადოების აქტივობები, რომლებიც ელიტებს გამოწვევის წინაშე აყენებენ, ასახავენ კრიტიკულად განწყობილ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელთა წევრებს სურთ და შეუძლიათ ზეწოლა მოახდინონ მოქმედ ხელისუფლებაზე, რომ მათ მოთხოვნებს გაეცეს პასუხი, ქართულ საზოგადოებას კვლავ უძღვება და აკონტროლებს ელიტა. ქვეყანაში, სადაც მასების მობილიზების დიდი პოტენციური მართლმადიდებელ ეკლესიას და ლიდერთა ვიწრო წრით მართულ პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ, სამოქალაქო საზოგადოების სექტორი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან მოთამაშეს და მას არ შეუძლია განახორციელოს

¹⁹³ ზედანია, გ., 2011, *პოლიტიკური და სამოქალაქო ჟურნალი* ტაბულა, 67(8): 8-9.

ხარისხობრივი ცვლილება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში. საქართველოში ძირითადად ყველაფერს განსაზღვრავს პოლიტიკური არენა.

ძირითადი დასკვნები

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან საქართველომ რთული და არც თუ უმტკივნეულო გზა გაიარა სახელმწიფო მშენებლობის გზაზე. 2003 წლის შემდეგ კი მიაღწია თვალსაჩინო პროგრესს სახელმწიფო მშენებლობაში, მაგრამ ამას თან არ ახლდა დემოკრატიული სისტემის შესაბამისი გაძლიერება. ეს წარუმატებლობა შეიძლება დიდწილად აიხსნეს სამოქალაქო საზოგადოების სისუსტით.

საქართველოში სახელმწიფო მშენებლობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზუსტად სამოქალაქო საზოგადოების სისუსტით, კონკრეტულად კი - დემოკრატიის შუალედური ინსტიტუტების სისუსტით არის გამოწვეული ის ძირითადი პრობლემები, რომლის წინაშეც საქართველო აღმოჩნდა სახელმწიფო მშენებლობის გზაზე:

- 90-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიის შუალედური ინსტიტუტების არ არსებობამ განაპირობა ანარქიული პოლიტიკური კულტურის აღმოცენება, ხოლო იმან, რომ საზოგადოება თავის ქმედებებში გასცდა ყოველნაირ ინსტიტუციურ ჩარჩოებს ქვეყანაში არა მხოლოდ დემოკრატიაზე შეუქმნა საფრთხე, არამედ სახელმწიფო სრულ პოლიტიკურ კოლაფსამდე მიიყვანა;¹⁹⁴
- 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დემოკრატიის პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა ვერ უზრუნველყვეს კონსტიტუციურ ფარგლებში ძალაუფლების გადაცემა;¹⁹⁵
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში განსაკუთრებით გამწვავდა დემოკრატიული ანგარიშვალდებულების საკითხი.¹⁹⁶

¹⁹⁴ ძალადობრივი გზით ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა (1991-1992 წწ.)

¹⁹⁵ „ვარდების რევოლუცია“ არჩევნების გაყალბების შედეგად (2003 წ.).

¹⁹⁶ Georgian Institute of Politics, 23.12.2019, „Observers Warn Georgia’s Democracy is Deteriorating“. <http://gip.ge/observers-warn-georgias-democracy-is-deteriorating/#more-13559>.

სახელმწიფო მშენებლობისგან (არშემდგარი სახელმწიფოდან¹⁹⁷ სახელმწიფოს გაძლიერებამდე¹⁹⁸) განსხვავებით, პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელოვანი ცვლილება, დროის შედარებით მოკლე პერიოდში, ნაკლებად თვალშისაცემია. ყველაზე აშკარად განსხვავება გამოიხატა ხელისუფლების ცვლილების ფორმაში,¹⁹⁹ მეორეს მხრივ, რაც არ შეცვლილა ქვეყანაში არის ის, რომ დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები ერთმანეთს აღიქვამენ არა კონკურენტებად, არამედ მტრებად.²⁰⁰

განხილული პერიოდის განმავლობაში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თითქმის არ შეინიშნება თვისობრივი განსხვავება პოლიტიკური მონაწილეობის ფორმების, პარტიებისა და საზოგადოების ურთიერთკავშირის, ფრაგმენტაციის და პოლარიზაციის დონის, პარტიების სტრატეგიებისა და იდეოლოგიების მხრივ.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით რამდენიმე დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი:

- საქართველოს პოლიტიკური სისტემის ყველაზე დიდი ნაკლი არის სახელმწიფოს სხვადასხვა შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილების არ არსებობა. არჩევნებში გამარჯვებული პარტია იმარჯვებს მნიშვნელოვანი უპირატესობით და მთლიანად აკომპლექტებს სახელმწიფო აპარატს. რეალურად ყველა სამთავრობო სტრუქტურა იმართება ერთი ძალით - მმართველი პარტია ყოველთვის ახდენს ძალაუფლების კონცენტრაციას ხელისუფლების ყველა შტოზე - აღმასრულებელი არის ეს, საკანონმდებლო, სასამართლოები, თუ ადგილობრივი თვითმმართველობა. ხოლო საზოგადოებრივ გაერთიანებებს თუ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს რეალურად არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ, რომ ინსტიტუციური არხების გამოყენებით გავლენა მოახდინონ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე. პარტიული სისტემა სუსტად არის ინსტიტუციონალიზირებული, არასტაბილურია, ფრაგმენტაციის დონე მეტად

¹⁹⁷ 90-იანი წლების დასაწყისი.

¹⁹⁸ 2003 წლის შემდეგ გატარებული რეფორმების შედეგი.

¹⁹⁹ 1991-92 წწ.: პირველი დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების შეიარაღებული ძალისხმევით დამხობა; 2003 წლის საყოველთაოდ აღიარებული გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე ხელისუფლების გადაყენება მშვიდობიანი პროტესტის საშუალებით; 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები - მმართველი პარტიის მიერ არჩევნებში დამარცხების აღიარება და ძალაუფლების გადაცემა კანონის დაცვით.

²⁰⁰ 1991-92 წწ.: განდევნილი ხელისუფლების მხარდამჭერების ტოტალური დევნა; 2003 წ.-ს შემდეგ ბევრი პოლიტიკური აქტორის გაუცხოება და დაპირისპირება ახალ ხელისუფლებასთან; 2012 წლის შემდეგ ყოფილი სამთავრობო პარტიის ოფიციალური პირების სამართლებრივი დევნა და სტიგმატიზაცია.

მაღალია, პოლიტიკური პარტიები ადვილად იქმნებიან და ასევე ადვილად ქრებიან პოლიტიკური არენიდან.

- პოლიტიკური გარემო საქართველოში პოლარიზებულია, მაღალია კონფრონტაციის დონე პოლიტიკურ პარტიებს შორის. თუ ადრე დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა ძირითადად ოპოზიციურ და სახელისუფლებო პარტიებს შორის, ახლა დაპირისპირებას ადგილი აქვს როგორც ოპოზიციურ და სახელისუფლებო პარტიებს, ასევე ოპოზიციურ პარტიებს შორის, რომელთაგან ზოგი ფაქტობრივად სახელისუფლებო პარტიის სატელიტად აღიქმება, ხოლო ზოგი ადრე ერთ გუნდს შეადგენდნენ და გარკვეული უთანხმოებების გამო გაიყვნენ.
- ქართული პარტიები არ წამოზრდილან ე.წ. სოციალური გახლეჩებიდან. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების კავშირები საზოგადოებასთან საკმაოდ სუსტია, ხოლო მათი იდენტობა და მხარდაჭერა დამოკიდებულია ლიდერის სახელზე ან ფინანსურ რესურსებზე და არა პოლიტიკურ პრინციპებსა თუ ღირებულებებზე.
- დაბალია იდეოლოგიური პოლარიზაციის დონე. არცერთი პოლიტიკური პარტია, გავლენიანი თუ პატარა, საჯაროდ არ უპირისპირდება ლიბერალურ ღირებულებებს. თუმცა 2012 წლის შემდეგ მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა: პოლიტიკურ სცენაზე გამოჩნდნენ და გააქტიურდნენ ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავს დემოკრატიულად აცხადებენ, მაგრამ ღიად ანტი-დასავლურ პროპაგანდას ავრცელებენ და რუსეთის რბილი ძალის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.

მოცემული ნაშრომი აჩვენებს, რომ საქართველოში არსებითად სამოქალაქო საზოგადოება განაპირობებს პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხსა და მასშტაბს და განსაზღვრავს რეალურად რამდენად წარმოადგენენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელისუფლების გამაწონასწორებელ და პოლიტიკურ რეჟიმზე გავლენის მომხდენ ძალებს.

- მესამე სექტორი (არასამთავრობო ორგანიზაციები) საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება და შეუძლია ძალისხმევის გაერთიანება კონკრეტული მიზნების მისაღწევად, მხოლოდ პროფესიული

სამოქალაქო აქტივიზმის სფეროდ დარჩა, ვერ შექმნა თავისი დასაყრდენი ძალა თავად საზოგადოებაში, ვერ მოიპოვა ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რაც ამცირებს მის შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს ხელისუფლებაზე. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ იქცნენ ჭეშმარიტ შუალედურ ინსტიტუტებად, რომელთაც შეუძლიათ ხარისხობრივი ცვლილებები მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში.

- საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმი ასოცირდება პროფესიულ აქტივიზმთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და არა თავად საზოგადოების სპონტანურ, ბუნებრივ აქტივობასთან. თანამედროვე ქართულ რეალობაში სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზაციას აუცილებელი სოციალურ-პრაქტიკული მომწიფებულობა აკლია. მოქალაქეთა დიდი ნაწილი მხოლოდ არჩევნებში იღებს მონაწილეობას ან ზოგჯერ საპროტესტო გამოსვლებსაც უერთდება. მაგრამ თითქმის არ არსებობს კონკრეტული პრობლემების გარშემო მოქალაქეთა გაერთიანებები ან ორგანიზაციები მასობრივად გაერთიანებული წევრებით. ერთადერთი სფერო, სადაც მაღალია მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელი - ეკლესიაა. ნებაყოფლობით საწყისზე შექმნილი გაერთიანებების რიცხვმა, თუმცა იმატა ბოლო წლებში, მაგრამ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სტანდარტებთან შედარებით უმნიშვნელოა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მხრივ, ქართული საზოგადოება, ზოგადად პასიურია, თუ არ ჩავთვლით ქვეყნისათვის საბედისწერო ან პრინციპიალურად მნიშვნელოვან მოვლენებს.
- ქართულ საზოგადოებაში პლურალიზმის კულტურა დაბალია და ეს ეხება ნებისმიერ სფეროს, როგორც პოლიტიკას, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებას. მოქალაქეთა სხვადასხვა ფენების აქტივიზმი პრაქტიკაში გამოწვეულია განსხვავებული მოთხოვნებით, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ხოლო საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმების პლურალიზმის შეწყნარება და გაგება საკმაოდ ჭირს. საჯარო სივრცე საქართველოში ახლო წარსულში უფრო ერთგვაროვნად გამოიყურებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი

ნაწილი წლების განმავლობაში ავრცელებდა და ავრცელებს ლიბერალურ ღირებულებებს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მოწმობს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ქვეყნის დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციას. ამავე დროს, მდგომარეობა შეიცვალა გარკვეულ წილად იმ მხრივ, რომ უფრო გააქტიურდნენ ტრადიციული არალიბერალური ღირებულებების მატარებელი გაერთიანებები და პრორუსული ორიენტაციის ორგანიზაციები.

- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მონაწილეობა არ აქვს მიღებული მოხალისეობრივ აქტივობებში, შედარებით თვალშისაცემია ახალგაზრდების მოხალისეობრივი აქტივობები სტიქიური უბედურებების შედეგების აღმოფხვრისას, რეპრესიული ნარკოპოლიტიკის თუ რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. რაც შეეხება თანმიმდევრული მოქმედებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, ქართული საზოგადოება ამ ტიპის აქტივიზმისათვის სუსტად არის განვითარებული. არ არსებობს მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთა შექმნის საფუძველი ნებაყოფლობითობა ან მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება იქნებოდა და, რომლებიც განახორციელებდნენ შუამავალ როლს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს, კერძო და საჯარო სფეროებს, კერძო და საერთო ინტერესებს შორის. მოქალაქეებს მეტად უჭირთ თავისი ინტერესების გარშემო თვითორგანიზება, ერთობლივად მოქმედება დასახული მიზნების მისაღწევად და სახელმწიფოზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. დღესდღეობით საქართველოს უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს საკმარისად ძლიერი სოციალური ძალები ან პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ იქცნენ სახელმწიფოს საპირწონედ.

ამგვარად, სახელმწიფო მშენებლობის და პოლიტიკური მონაწილეობის ურთიერთმიმართების ანალიზის საფუძველზე დადასტურდა ნაშრომის საწყისი ჰიპოთეზა - მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკური მონაწილეობა არასტაბილური და არათანმიმდევრულია, სამოქალაქო საზოგადოება არ არის საკმარისად ძლიერი და შეკრული, რომ აიძულოს სახელმწიფო, მის წინაშე ანგარიშვალდებული იყოს არის ის,

რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები ვერ ასრულებენ დემოკრატიის შუალედური ინსტიტუტების ფუნქციებს.

საქართველოს უახლეს ისტორიაში არის ეპიზოდები, როდესაც სახელმწიფო დომინირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებზე, დგას სამოქალაქო საზოგადოებაზე მაღლა და გარკვეულ წილად იმორჩილებს მას, რაც სამოქალაქო საზოგადოების სისუსტეზე მიუთითებს. ასევე გვხვდება პერიოდები, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება პერიოდულად აქტიურდება, იზრდება სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობა, მათი გავლენა რიგ საკითხებზე, მაგრამ ამის საფუძველს ძლიერი სოციალური ბაზა არ წარმოადგენს; ამის საფუძველს წარმოადგენს არა იმდენად ძლიერი სოციალური ბაზა, რამდენადაც საერთაშორისო საზოგადოების თანადგომა. უმეტეს შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების აქტივობები ატარებენ სპონტანურ, რეაქციულ ხასიათს და წარმოადგენენ პასუხს გარეშე ან შიდა საფრთხეებზე.

ქვეყანაში სიტუაციის მკვეთრი გამწვავების შემთხვევაში, შესაძლებელია მოსახლეობა პოლიტიკურად გააქტიურდეს. შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საზოგადოებასა და ძალაუფლების მატარებელ ინსტიტუტებს შორის არსებობდეს დაპირისპირების საფრთხე მიძინებულ მდგომარეობაში, მაგრამ თანდათან გაძლიერდეს და მოულოდნელად ამოხეთქოს მიტინგების, გაფიცვების ან ძალადობრივი ქმედებების ფორმით. საქართველოში, როგორც წესი, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ყველაზე მკვეთრ დაპირისპირებებს ადგილი აქვს არჩევნების პერიოდში, როდესაც წყდება არსებული ხელისუფლების შენარჩუნების ან შეცვლის საკითხი.

ბიბლიოგრაფია

დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია, სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტი, გამოქვეყნებული 2015 წლის 11 მარტს, https://issuu.com/georgianpolitics3/docs/report-geo-001_0, წვდომა 2017 წლის 5 სექტემბერი;

ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი, 2016, *რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში*, კვლევა ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის (GMF) მხარდაჭერით;

კავკასიის ბარომეტრის (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევები სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე და პოლიტიკურ დამოკიდებულებებზე): <http://crrc.ge/ka/>, <http://www.crrccenters.org>, წვდომა 2018 წლის 23 სექტემბერი;

საერთაშორისო კვლევა „მოხალისეობა და სამოქალაქო ჩართულობა“, 2011, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი / კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი;

დარჩიაშვილი, დ. და ნოდია, გ., 2003, *სუსტი სახელმწიფოს სინდრომი და კორუფცია, საერთაშორისო იდეა, დემოკრატიის შენება საქართველოში*, სტატია 5: ძალაუფლების სტრუქტურები საქართველოში, გვ. 16-22;

ზედანია, გ., 2011, *პოლიტიკური და სამოქალაქო ჟურნალი* ტაბულა, 67(8): 8-9;

_____, 2010, *არაცივილური საზოგადოება*, <http://www.tabula.ge/ge/story/52336-araciviluri-sazogadoeba>, წვდომა 2018 წლის 19 მაისი;

მაისურაძე, გ., 2014, *(დისკრიმი)ნაცია*, <http://www.radiotavisupleba.ge/content/ბლოგი-გიორგი-მაისურაძე-დისკრიმინაცია/25372036.html>, წვდომა 2015 წლის 22 აპრილი;

ნოდია, გ., 2005, *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამა;

ნოდია, გ. და სქოლტბაზი, ა.პ., 2006, *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები*, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, ეუთოს დემპკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი;

შველიძე, დ. და გურული, ვ. (რედაქტორი), 2008, *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა (1987-1992 წ.წ.)*, თბილისი: უნივერსალი, <https://georgiacenturyxx.wordpress.com/2012/04/22/პოლიტიკური-დაპირისპირებ/>, წვდომა 2008 წლის 17 მაისი ;

A Minority Staff Report, 2018, *Putin's Asymetric Assault on Democracy in Russia and Europe: Implications for U.S. National Security*, prepared for the use of the Commiittee on Foreign Relations United States Senate;

Acemouglu, D. and Robinson, J.A., 2005, *Economic Origins of Dictatorship and Democracy*, New York: Cambridge University Press;

Almond, G.A. and Verba, S., eds., 1989, *The Civic Culture. Political Attitudes and Democracy in Five Nations*, Newbury Park;

Angley, R. E., 2013, *Escaping the Kmara Box: Reframing the Role of Civil Society in Georgia's Rose Revolution*, *Studies of Transition States and Societies* 5(1): 42-57;

Bader, M., 2010, *Against All Odds: Aiding Political Parties in Georgia and Ukraine*, Vossiuspers UvA – Amsterdam University Press;

Banfield, D. C., 1958, *The Moral Basis of a Backward Society*, Glencoe, IL: Free Press;

Barker, E., 1958, trans., *The Politics of Aristotle*, London: Oxford U. Press;

Beissinger, M. R., and Crawford Y, eds. 2002. *Beyond state crisis? Post-colonial Africa and post-soviet Eurasia in comparative perspective*, Washington DC: Woodrow Wilson Center Press;

Bertsch, G.K., Craft C.B., Jones, S.A. and Beck M.D., eds., 1999, *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Routledge;

Beyme, Klaus von, 1985, *Karl Marx and Party Theory*, *Government and Opposition*, 20(1), pp. 70-87;

Broers, L., 2005, *After the 'Revolution': Civil Society and the Challenges of Consolidating Democracy in Georgia*, *Central Asian Survey*, 24(3): 333-350;

Brooks, T., 2012, *Hegel's Philosophy of Right*, Wiley-Blackwell; 1 edition;

- Bryce, J., 1901, *Study in History and Jurisprudence*, New York: Oxford University;
- Budge, I., Crewe, I. and Farlie, D., 1976, eds., *Party Identification and Beyond*, New York: John Wiley;
- Budge, I., Robertson, D. and Hearl, D., 1987, eds., *Ideology, Strategy and Party Change: Spatial Analysis of Post-War Election Programs in 19 Democracies*, Cambridge: Cambridge University Press;
- Carment, D., 2003, *Assessing State Failure: Implications for Theory and Policy*; Third World Quarterly, 24(3): 407- 427;
- Caryl, C., 2012, *The Georgian paradox*. Foreign Policy, <http://foreignpolicy.com/2012/01/31/the-georgian-paradox/>, წვდომა 2015 წლის 16 მარტი;
- Cheterian, V., 2008, *Georgia's Rose Revolution: Change or Repetition? Tension between State-Building and Modernization Projects**, Nationalities Papers, 36(4): 689 -712;
- Civil Georgia, 2012, *Authorities agree to pass 'must-carry' rules*, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=24911>, წვდომა 2015 წლის 15 მარტი;
- _____, 2020, *განახლება: მთავრობა ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულებას წყვეტს*, <https://civil.ge/ka/archives/333734>, წვდომა: მარტი 15, 2020;
- _____, 2020, *ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულების შეწყვეტას პოლიტიკოსები აფასებენ*, <https://civil.ge/ka/archives/333890>, წვდომა: მარტი 15, 2020;
- _____, 2020, *ამერიკელი დეპუტატები ქართულ ოცნებასა და ივანიშვილს „ამერიკის მტრებთან კავშირში“ ადანაშაულებენ*, <https://civil.ge/ka/archives/352207>, წვდომა: ივნისი 20, 2020.
- Clark, J., 1992, *Democratising Development: NGOs and the State*, Development in Practice, 2(3): 151-162;
- Clark, J. B., 1899. *The Distribution of Wealth: A Theory of Wages, Interests, and Profits*, New York: Macmillan;
- Coleman, J. S., 1988, *Social Capital in the Creation of Human Capital*, American Journal of Sociology, 94:S95-S120;
- Collier, R.B., 1999, *Paths Toward Democracy: The Working Class and Elites in Western Europe and South America*, New York: Cambridge University Press;
- Coppieters, B., and Legvold, R., 2005, eds., *Statehood and Security: Georgia After the Rose Revolution*. Cambridge: The MIT Press;

Conniff, J., Winter, 1978-1979, *Hume on Political parties: The Case for Hume as a Whig*, The Johns Hopkins University Press, Sponsor – American Society for Eighteenth- Century Studies (ASECS), 12(2): 150-173;

Christophe, B., 1999, *Bringing Culture Back Into a Concept of Rationality. State-society Relations and Conflict in Postsocialist Transcaucasia*; Presentation on the FU Berlin conference;

David E. Mark, 1996, *Eurasia Letter: Russia and the New Transcaucasus*, Foreign Policy 105(winter): 141-159;

Devdariani, J. and Hancilova, B., 2002, *Georgia's Pankisi Gorge: Russian, Us and European connections*, CEPS (Center for European Policy Studies), Policy Brief No. 23;

Diamond, L., 1999, *Developing Democracy: Toward Consolidation*, Baltimore: Johns Hopkins University Press;

_____, 2009, *The Spirit of Democracy: The Struggle to Build Free Societies Throughout the World*, 1 Reprint ed. New York: St. Martin's Griffin;

Diamond, L. and Gunther, R., eds. 2001, *Political Parties and Democracy*, Baltimore: John Hopkins University Press;

Dfwatch Staff, 2014, *Georgia's Governing Coalition Launches Local Election Campaign*, <http://dfwatch.net/georgias-governing-coalition-launches-local-election-campaign-59354-28216>,
 წვდომა 2015 წლის 22 იანვარი;

Duverger, M., 1959, *Political Parties: Their Organization and Activity in the Modern State*, London: Methuen;

Ehrenberg, J., 1999, *Civil Society: The History of An Idea*, New York University Press;

Eisenstadt, S.N., 1972, *Studies of Modernization and Sociological Theory*, History and Theory, 13(3): 225-252;

Erickson, B. and Nosanchuk, T. A., 1990, *Sociology and Anthropology*, 27(2): 206-220;

European Parliament, 2007, *Report on the Rule of Volunteering in Contributing to Economic and Social Cohesion*;

Evans, G., and Whitefield, S., 1993, *Identifying the Bases of Party Competition in Eastern Europe*, British Journal of Political Science, 23(4): 521-548;

Evers, A., 1995, *Part of the Welfare Mix: The Third Sector as an Intermediate Area*, VOLUNTAS: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations 6:159–182;

Fernando, J. L. and Heston, A. W., 1997, *NGOs Between States, Markets, and Civil Society*, The American Academy of Political Science, *Annals of the American Academy of Political and Social Science*, 554(1): 8-20;

Finifter, A.W., 1993, ed., *Political Science: The State of the Discipline II*, Washington, D.C.: American Political Science Association;

Foley, M. W. and Edwards, B., 1999, *Is it Time to Disinvest in Social Capital?* *Journal of Public Policy*, 19(2): 141-174;

Friedrich, C.J. and Brzezinski, Z.K., 1965, *Totalitarian Dictatorship and Autocracy*, 2nd ed. Cambridge, MA: Harvard University Press;

Fukuyama, F., 1996, *Trust: The Social Virtues and the Creation of Prosperity*, 1st Free Press Pbk, New York: Free Press.

_____, 2002, *Social Capital and Development: The Coming Agenda*, *SAIS Review* 22(1): 23-37;

_____, 2004, *State-Building: Governance and the World Order in the 21st Century*, Ithaca, NY: Cornell University Press;

_____, 2011, *The Origins of the Political Order: From Prehuman Times to the French Revolution*, New York: Farrar, Straus and Giroux;

_____, 2014, *Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy*, New York: Farrar, Straus and Giroux;

_____, 2011, *Samuel Huntington's Legacy*, <https://foreignpolicy.com/2011/01/06/samuel-huntingtons-legacy/>, წვდომა 2018 წლის 22 მარტი;

Gellner E., 1996, *Conditions of Liberty: Civil Society and its Rivals*, Penguin Books;

Goldstone, A., Gurr, T. R., Harff, B., Levy, M. A., Marshall, M. G., Bates, R. H., Epstein, D. L., Kahl, C. H., Surko, P. T. and Unger, A. N., 2000, *State Failure Task Force Report, Phase III Findings*, first presented at a conference held at the offices of Science Applications International Corporation (SAIC), McLean, Virginia;

Goodheart, D., 2011, *Misha's Freedom Laboratory*, <https://www.prospectmagazine.co.uk/magazine/mikheil-saakashvili-interview-georgia-freedom-tblisi>, წვდომა 2017 წლის 11 ივნისი;

Harding, L., 2012, *Bidzina Ivanishvili: The eccentric billionaire chasing Georgia's leadership*, the guardian.com, <http://www.theguardian.com/world/2012/oct/01/bidzina-ivanishvili-profile-georgia> წვდომა 2015 წლის 16 აპრილი;

Hegel, G.W.F., 2008, *Philosophy of right*, Trans. S.W. Dyde. New York: Cosimo Classics;

Hayek, F.A., 1994, ed., *The Road to Serfdom*, University of Chicago Press;

Heurlin, C., 2009, *Governing Civil Society: The Political Logic of NGO-State Relations Under Dictatorship*, VOLUNTAS: International Journal of Voluntary and Nonprofit Organizations, 21(2): 220-239;

Hobbes, T. 2010, *Leviathan: Or the Matter, Forme, and Power of a Common-Wealth Ecclesiasticall and Civill*, ed. by Ian Shapiro, Yale University Press;

Howard, M. M., 2003, *The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe*, Cambridge: Cambridge University Press;

Huber, M., 2004, *State-Building in Georgia: Unfinished and at Risk?*, Clingendael Institute;

Hume, D., 1987, ed. *Essays: Moral, Political and Literary*, Indianapolis: University of Indiana Press;

Huntington, S. P., 1993, *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century*, University of Oklahoma Press.

_____, 2006, *Political Order in Changing Societies*, New Haven: Yale University Press;

Inglehart, R., 1997, *Modernization and Postmodernization: Cultural, Economic, and Political Change in 43 Societies*, Princeton: Princeton University Press;

Inglehart, R. and Welzel, C., 2005. *Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence*, Cambridge University Press;

Janda, K., 1993, *Comperative Political Parties: Research and Theory*, IN *Political Science: The State of the Discipline II*, Finifter, A.W., ed., Washington, D.C.: American Political Science Association, pp. 163-191;

Kakoiashvili, I., Chaganava, A., Watt, A. G. M., Snip, I., eds., 2016, *Threats of Russian Soft and Hard Power in Georgia*, European Initiative Liberal Academy, Tbilisi and the German Marshall Fund of the United States, 2016;

Kandelaki, G., 2006, *Georgia's Rose Revolution: A Participant's Perspective*, <http://www.usip.org/sites/default/files/sr167.pdf>, წვედომა 2016 წლის 6 მარტი;

Kasse, M., 1999, *Interpersonal Trust, Political Trust, and Non-Institutionalized Political Participation in Western Europe*, West European Politics, 22(3): 1-21;

Katz, R. S. and Crotty, W. J., eds., 2005, *Handbook of Party Politics*, SAGE Publications;

Keane, J., 1999, *Civil Society: Old Images, New Visions*, Redwood City: Stanford University Press.

Keynes, J. M., 1936, *The General Theory of Employment, Interest and Money*, New York: Harcourt Brace;

- Klofstad, C. A., 2005, *The Art of Associating: The Causal Influence of Peers on Civic Participation*, Unpublished paper, University of Miami;
- Krouwel, A., 2004, *Partisan States. Legal Regulation of Political Parties in France, Germany, The Netherlands and the United Kingdom*, Nijmegen: Ars Aequi Libri /Wolf Legal Publishers;
- Kurtsikidze, S., and Chikovani, V., 2002, *Georgia's Pankisi Gorge: An Ethnographic Survey*, Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, Working Paper Series;
- La Palombara, J. and Weiner, M., 1969, *Political Parties and Political Development*, SPD-6 Studies in Political Development, Princeton University Press;
- Laver, M. and Schofield, N., 1990, *Multiparty Government: The Politics of Coalition in Europe*, Oxford: Oxford University Press;
- Laver, M. and Shepsle, K. E., 1996, *Making and Breaking Governments*, Cambridge: Cambridge University Press;
- Leighley, J. E., 1990, *Social Interaction and Contextual Influences on Political Participation*, American Politics Quarterly, 18(4): 459-475;
- Lake, R. L. & Huckfeldt, R., 1998, *Social Capital, Social Networks, and Political Participation*, Political Psychology, 9(3): 567-584;
- Leoe, R., 2011, *Georgian Military (Senaki) Revolt of 1998*, http://www.historyguy.com/Georgian_Military_Revolt.html, წვდომა 2017 წლის 19 თებერვალი;
- Lester W. M. and Goel, M.L., 1977, *Political Participation*, Chicago: Rand McNally, 8(2): 269;
- Levitsky, S. and Lucan A. W., 2010, *Competitive Authoritarianism*, Cambridge: Cambridge University Press;
- Levitsky, S. and Cameron, M. A., *Democracy Without Parties? Political Parties and Regime Change Fujimori's Peru*, Wiley Online Library, 19 December 2008, <https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/j.1548-2456.2003.tb00248.x>, წვდომა 2018 წლის 8 მარტი;
- Leys, C., 2009, *The Rise and Fall of Development Theory*, Indiana University Press;
- Liddell, H.G. & Scott, R., 1984, *A Greek-English Lexicon*, Oxford: Clarendon, s.v. "koinonia.";
- Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC), 2014, *Follow-up Report on Civic Engagement*, http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/FINAL_GPAC_2014_Civic_Engagement_Report_04.08.2014_ENG.pdf, წვდომა 2018 წლის 17 ოქტომბერი;
- Lutsevych, O., 2013, *How to Finish a Revolution: Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine*, Chatham House, Briefing Paper;

- Riedel, M., *Between Tradition and Revolution*, 1984, trans., Walter Wright, Cambridge U. Press;
- Lieven, A., 2001, Georgia: A Failing State? EURASIA INSIGHT February 7, 2001, წვდომა: <https://eurasianet.org/departments/insight/articles/eav013001.shtml>, წვდომა 2018 წლის 22 ოქტომბერი;
- Linz, J.J. and Stepan. A., 1996, *Problems of Democratic Transition and Consolidation, Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*, Baltimore: Johns Hopkins University Press;
- _____, 1996, *Toward Consolidated Democracies*, Journal of Democracy 7(2):14–33;
- Lipset, S. M., 1959, *Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy*, American Political Science Review 53(1): 69-105;
- _____, 1963, *Political Man: The Social Bases of Politics*, New York: Anchor Books edition;
- _____, 1994, *The Social Requisites of Democracy Revisited: 1993 Presidential Address*, American Sociological Review, 59(1):1-22;
- _____, 1969, ed. *Politics and the Social Sciences*, New York: Oxford University Press;
- Lipset, S. M. and Rokkan, S., 1967, *Cleavage Structures, Party Systems, and Voter Alignments: An introduction*, Party systems and voter alignments: Cross-national perspectives, eds., New-York: The Free Press, pp. 1–64;
- Locke, J., 1988, *Two Treatises of Government*, Cambridge University Press;
- Manent, P., 2003, *Modern Democracy as a System of Separations*, Journal of Democracy 14(1): 114–125;
- Marcussen, H. S., 1996, *NGOs, the State and Civil Society*, Review of African Political Economy, 23(69): 405-423;
- Marshall, A., 1920, *Principles of Economics*, London: Macmillan;
- McClurg, S. D., 2003, *The Role of Social Networks in Explaining Political Participation*, Political Research Quarterly, 56(4): 449-464;
- Montesquieu, Charles de, 1989, *The Spirit of the Laws*, eds., by Cohler, A. M., Miller, B. C. and Stone H.S., Cambridge University Press;
- Moore, B., Jr., 1993, *Social Origins of Dictatorship and Democracy: Lord and Peasant in the Making of the Modern World*, Beacon Press;
- Midgal, J., 1988, *Strong Societies and Weak States: State-Society Relations and State Capabilities in the Third World*, Princeton: Princeton University Press;
- Mill, J.S., 1977, *Essays on Politics and Society*, Buffalo, NY: University of Toronto Press;
- _____, 1909, ed., *Principles of Political Economy*, London: Longmans;

- Muller, E. N. and Seligson, M. A., 1994, *Civic Culture and Democracy: The Question of Causal Relationships*, *The American Political Science Review*, 88(3): 635–652;
- Müller, W. C., 2000, *Political Parties in Parliamentary Democracies: Making Delegation and Accountability Work*, *European Journal of Political Research*, 37, pp. 309-333;
- Müller, W. C. and Støm, K., 2000, eds., *Coalition Government in Western Europe*, Oxford: Oxford University Press;
- _____, 1999, eds., *Policy, Office, or Votes? How Political Parties in Western Europe Make Hard Decisions*, Cambridge: Cambridge University Press;
- Najam, A., 1996, *Understanding the Third Sector: Revisiting the Prince, the Merchant, and the Citizen*, *Nonprofit Management and Leadership*, 7(2): 203-219;
- Newton, K., 2001, *Trust, Social Capital, Civil Society, and Democracy*, *International Political Science Review*, 22(2): 201-214;
- Nodia, G., 2012, *Georgia's Election: Lesson and Prospect*, <https://www.opendemocracy.net/ghia-nodia/georgias-election-lesson-and-prospect>, წვდომა 2017 წლის 11 ნოემბერი;
- _____, 2020, *The Uncertain State of Georgia's Democracy*, https://3dcftas.eu/publications/the-uncertain-state-of-georgia%E2%80%99s-democracy?fbclid=IwAR3Xz4SkQWeWSEBD5kkNAho8MJs7ZBJq9PjGTpZ-ES9wz_Lb4EOTZRi-Ic, წვდომა 2020 წლის 7 ივნისი;
- Nodia, G. ed., 2016, *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Konrad-Adenauer-Stiftung and Ilia State University Press;
- Norris, P., 2002, *Democratic Phoenix: Reinventing Political Activism*, Cambridge University Press;
- O'Donnell, G., 1994, *Transitions to Democracy: Toward a Dynamic Model*, *Comparative Politics*, 5(1), pp. 55-69;
- Neumann, S., 1956, *Toward a Comparative Study of Political Parties*, ed., Modern political parties, University of Chicago Press;
- O'Donnell, G., 1994, *Delegative Democracy*, *Journal of Democracy* 5(1):55–69.
- Olson, M., 1965, *The Logic of Collective Action, Public Goods and the Theory of Groups*, Cambridge MA: Harvard University Press.
- Parry, G., 1972, *The Idea of Political Participation*, ed., Participation in Politics, Manchester University Press, p. 3-38;
- Parsons, T., 1971, *The System of Modern Societies (Foundations of Modern Sociology)*, Prentice Hall.

Peet, R. & Hartwick, E., 2009, *Theories of Development: Contentions, Arguments, Alternatives*, Guilford Press; Second edition;

Pkhaladze, T., 2012, *Religion as the Instrument of Russian Foreign Policy towards Neighboring Countries: Georgia, Latvia, Ukraine*, ed., International Centre for Geopolitical Studies;

Przeworski, A., et.al., 2000, *Democracy and Development: Political Institutions and Material Well-Being in the World, 1950-1990*, Cambridge: Cambridge University Press.

Przeworski, Rueschemeyer, D., Stephens, E.H. and Stephens, J.D., 1992, *Capitalist Development and Democracy*, University of Chicago Press;

Putnam, R., 1994, *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*, Princeton University Press;

_____, 2001. *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community*, 1st ed. New York: Touchstone Books by Simon & Schuster.

Rayner, S. and Malone, E.M., 2000, *Security, Governance and the Environment IN Environment and security: Discourses and Practices*, Lowi, M. and Shaw, B., ed., Basingstoke: Macmillan, pp. 49–65;

Rettman, A., 2013, Georgia PM Says 'Why Not?' on Eurasian Union, <https://euobserver.com/foreign/121315>, წვდომა 2018 წლის 14 აპრილი;

Rimple, P., 2015, *How Strong Is Russia's Soft Power in Georgia*, <http://eurasianet.org/node/72671>, წვდომა 2018 წლის 14 აპრილი;

Rocher, C., 1996, *NGOs, Civil Society and the State: Building Democracy in Transitional Countries*, *Development in Practice*, 6(3): 270-271;

Rosenberg, T., 2011, *Join the Club: How Peer Pressure can Transform the World*. New York: Norton;

Rueschemeyer, D., Stephens, E.H. and Stephens, J.D., *Capitalist Development and Democracy*, 1992, University Of Chicago Press;

Rustow, D., 1970, *Transition to Democracy: Toward a Comparative Model*, *Comparative Politics* 2(2): 337–363;

Sartori, G., 1976, *Parties and Party Systems: A Framework for Analysis*, Cambridge University Press;

National Endowment for Democracy (NED), *Sharp Power – Rising Authoritarian Influence*, 2017, International Forum for Democratic Studies; წვდომა <https://www.ned.org/sharp-power-rising-authoritarian-influence-forum-report/>, 2018 წლის 22 მარტი;

- Shelley, L., Scott, E.R. and Latta, A., 2007, eds., *Organized Crime and Corruption in Georgia*, Routledge Transnational Crime and Corruption;
- Sinnar, S., 1995/1996, *Mixed Blessing: The Growing Influence of NGOs*, *Harvard International Review*, 18(1): 54-55, 57, 79;
- Skocpol, T., 1994, *Social Revolutions in Modern World*, Cambridge University Press;
- Skocpol, T., 2004, *Diminished Democracy: From Membership to Management in American Civic Life*, the Julian J. Rothbaum Distinguished Lecture Series. Norman: University of Oklahoma Press.
- Stein, R., 2013, *Nation of Devils: Democratic Leadership and the Problem of Obedience*, New Haven: Yale University Press;
- Smith, A., 2009, *Wealth of the Nation*, Thrifty Books;
- Sobieraj, S. and White, D., 2004, *Taxing Political Life: Reevaluating the Relationship Between Voluntary Association Membership, Political Engagement, and the State*, *The Sociological Quarterly*, 45(4): 739-764;
- Stoner-Weiss, K., McFaul, M. and Bunce, V., eds., *Democracy and Authoritarianism in the Post-Communist World*, Cambridge, New York: Cambridge University Press;
- Stroller, B., 2001, *Mutiny in Mukhrovani*, <http://lists.csbs.utah.edu/pipermail/marxism/2001-May/049342.html>, წვდომა 2017 წლის 16 თებერვალი;
- Schumpeter, J., 1942, *Capitalism, Socialism and Democracy*, New York, Harper Perennial;
- Sumbadze, N., 2003, *Civic Participation in Public and Political Life*, International IDEA, Building Democracy in Georgia, Discussion Paper 7: Tbilisi: Developing a Democratic Community in Georgia;
- _____, 2013, *Determinants and Consequences of Civic Participation*, New York: Institute for Policy Studies, ASCN (Academic Swiss Caucasus Net);
- Pritchett, L., Woolcock, M. & Matt Andrews, 2017, *Building State Capability: Evidence, Analysis, Action*, Oxford University Press;
- Tatum, J. D., 2009, *Democratic Transition in Georgia: Post-Rose Revolution Internal Pressures on Leadership*, *Caucasian Review of International Affairs* 3(2): 156–171;
- Tilly, C., 1978, *From Mobilization to Revolution*, Addison-Wesley;
- _____, 2007, *Democracy*, New York: Cambridge University Press;
- Tocqueville, Alexis de, 2006, *Democracy in America*, Harper Perennial Modern Classics;
- Tönnies, F., 1955, *Community and Association (Gemeinschaft und Gesellschaft)*, London: Routledge;

- Torpe, L., 2003, *Democracy and Associations in Denmark: Changing Relationships Between Individuals and Associations?* Nonprofit and Voluntary Sector Quarterly, 32(3): 329-343;
- Uslaner, E. M., 2002, *The Moral Foundations of Trust*, Cambridge University;
- Verba, S. and Nie, N., 1972, *Participation in America: Political Democracy and Social Equality*, New York Harper and Row;
- Verba, S., Schlozman, K. L. and Brady, H., 1995, *Voice and Equality: Civic Voluntarism in American Politics*, Cambridge, MA: Harvard University Press;
- Waal, Thomas de., 2011, *Georgia's Choices: Charting a Future in Uncertain Times*, https://carnegieendowment.org/files/georgias_choices.pdf;, წვდომა 2017 წლის 15 მაისი;
- Wallace, C. & Pichler, F., 2009, *More Participation, Happier Society? A Comparative Study of Civil Society and the Quality of Life*, Social Indicators Research, 93(2): 255-274;
- Weber, M., 1958, ed., *The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism*, New York: Charles Scribner's Sons;
- _____, 1978, *Economy and Society*, 2 vols. Berkeley: University of California Press;
- _____, 1946, *From Max Weber: Essays in Sociology*, New York: Oxford University Press;
- Welton, G., (No date): *Evaluating the Failure to Oppose: Political Opposition in Post-Revolutionary Georgia*, http://www.geowel.org/files/evaluating_the_failure_to_oppose.pdf, წვდომა 2018 წლის 15 სექტემბერი;
- Wheatley, J., 2005, *Georgia from National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the Former Soviet Union*, Ashgate Publishing Company, Burlington;
- World Bank, 2012, *Fighting Corruption in Public Services: Chronicling Georgia's Reforms*, International Bank for Reconstruction and Development / International Development Association or the World Bank, Washington, DC;
- Youngs, R., 2018, ed., *The Mobilization of Conservative Civil Society*, Carnegie Endowment for International Peace;
- Вебер М., 2003, *Политические работы (1895-1919)* / Пер. с нем. М., 2003.

